ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 24 იანვარი, 2011 | №19 (5404) | ფასი: 30 თეთრი

## რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ფულს ათეთრებს

გვ.4



# რუსეთი მერაბიშვილის წინააღმდეგ ახალ გეგმას ამუშავებს

ხელისუფლების შიგნით დაპირისპირება გარდაუვალია

გვ.6



## საქართველოში გაუფილტრავ წყალს ვსვამთ

გვ.5

ქვეყანაში თურქეთში
აკრ ალული
ქათმის ბარკლები შემოდის



## რაში სჭირდება სააკაშვილს ორი დედაქალაქი

გვ.2

პარლამენტის როლი კიდევ უფრო დაკნინდება





გვ.5

## სააკაშვილს ყველაზე მეტად სახალხო კრების ეშინია



## სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასვლას საერთოდ არ აპირებს

გვ.3

რაზე უნდა პრეზიდენტს ამერიკელების დათანხმება

## ხელისუფლება ახალი პროვოკაციისთვის ემზადება

გვ.6



გვ.3

## როგორც კი მტერი გაგვიღიმებდა, ჩვენ მაშინვე ყველაფერს ვპატიობდით

## გამსახურდია შევარდნაძის, გუგუშვილის, ბალუაშვილის, მარგიანის დაკითხვას მოითხოვს



გვ.7

## 3090

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ISSN 1987-9385

**7** სააკაშვილი ხელისუფლებაში ოპოზიციამ დატოვა

**10** ზვიად სიჭინავა ისევ პრეზიდენტია

**2** ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევა

**11** რუუდ ვან ნისტელროი: „ყოველთვის მსურდა „რეალში“ დაბრუნება“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რაში სჭირდება სააკაშვილს ორი დედაქალაქი

ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ოპოზიცია დღეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პაპავას თქმით, ტალახის მსროლელს ავიწყდება, რომ ის არა მარტო იმას სვრის, ვისაც ტალახს მოახვედრებს, არამედ ტალახის ხელში აღებით თვითონაც დასვრილია. ეს კი ეხება აბსოლუტურად ყველას, ვინც ამ სიბინძურეშია ჩართული.

რამდენი წლით არის ეს ხელისუფლება მოსული, რატომ აკეთებს სააკაშვილი ორ დედაქალაქს და უნდა ველოდეთ თუ არა უახლოეს პერიოდში ჩანაცვლების სცენარის განხორციელებას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.



შორენა კოწოწაშვილი

*— ბატონო ლადო, ითქვა, რომ ახალი გადასახადები, გაზრდილი ჯარიმები და ა.შ, საბიუჯეტო პრობლემებს უკავშირდება, რომლის მოგვარება და 230 მლნ-ის ამოღება თავის თავზე ადეიშვილმა აიღო. ნიშნავს თუ არა ადეიშვილის ეს განცხადება იმას, რომ პროკურატურამ და ძალოვანებმა იტვირთეს საბიუჯეტო პრობლემების მოგვარება?*

— თავიდან, როცა წესრიგი მყარდებოდა საბიუჯეტო სექტორში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, მაშინვე ძალიან დიდი როლი ჰქონდათ ძალოვანებს. იმიტომ, რომ საჭირო იყო ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარება. შემდგომ, შეგახსენებთ, რომ შეიქმნა ძალოვანი სტრუქტურა ფინანსთა სამინისტროში — ფინანსური პოლიცია. ასე რომ, ძალოვან სტრუქტურებს ყოველთვის სერიოზული მნიშვნელობა აქვთ წესრიგის შენარჩუნებაში. ცუდია, თუ ხდება უფლებამოსილების გარკვეულწილად გადაჭარბება და ბიზნესის ტერორში ყოფნა, იმიტომ, რომ ბიზნესს ეს არ აზიანებს. ბიზნესი უბრალოდ გაჩერდება. ესა თუ ის პიროვნება თუ თავის ბიზნესს დახურავს, ბაზარზე მიწოდება შემცირდება და ფასები გაიზრდება. ასე რომ, ჩვენ აქ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, აუცილებელია ძალოვანი სტრუქტურები მუშაობდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში და თავის მოვალეობას ასრულებდნენ. ვიღაც კორუფციას უნდა ებრძოდეს, ვიღაცამ გადასახადები უნდა აკრიბოს, ხოლო ვინც გადასახადებს არ იხდის, ის უნდა ისჯებოდეს. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ისეთი მასობრივი მოვლენა, როდესაც ადგილი აქვს კანონმდებლობის დარღვევას. მეორეს მხრივ, რეალურად სიტუაცია ქვეყანაში მართლაც დამძიმებულია. ნაციონალური არხებიც ვერ მალავენ ამას. ამით თუ არ იწყება ახალი ამბები, მეორე-მესამე სიახლე მაინც არის ის, რომ სადღაც ტარიფები გაიზარდა, ფასები გაიზარდა, იმატა ხალხში უკმაყოფილებამ. არადა, ეს რეალობაა. ეს პროცესი გაგრძელდება.

*— გაუძლებს ამ ყველაფერს ქვეყნის ბიუჯეტი? არაერთხელ ითქვა, რომ 2011 წლის ბიუჯეტი არ არის სოციალურად ორიენტირებული. ხელისუფლება ხალხს სოციალური აფეთქებისკენ უბიძგებს?*

— მე ამაზე არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიტყვი: სოციალური დაძაბულობა შეიძლება სულაც არ იყოს აფეთქების საფუძველი. იმიტომ, რომ ბოლო ათწლეულების ქართული ისტორია გვიჩვენებს, რომ მასობრივი მღელვარება სულაც არ არის დაკავშირებული სოციალურ თემებთან. მაგალითად, 1956 წლის გამოსვლა, როცა ახალგაზრდობა გამოვიდა და შეწინააღმდეგა სტალინის კულტის კრიტიკას. ისინი არა იმდენად სტალინის კულტს იცავდნენ, რამდენადაც ქართულ ღირსებას. 1978 წელი — ქართული ენის დაცვა. 80-იანი წლების ბოლო, რომლის კულმინაცია იყო 1989 წლის 9 აპრილი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა. შემდგომ 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერი — იყო ბრძოლა არჩევნების სამართლიანობისათვის. 2007 წლის ნოემბერში კი — ღირსების შელახვის გამო. მაგრამ დღეს სოციალური ფონი ყველაზე მძიმეა. სოციალური ფონი იმდენად მძიმეა, რომ ამ შემთხვევაში ნებისმიერი თემა, რომელიც თავისთავად შეიძლება არ იყოს განსაკუთრებული, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ამან ქვეყანაში აფეთქება გამოიწვიოს.

*— არსებობს აზრი, რომ საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებამდე სააკაშვილმა შეიძლება ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. ამას გამორიცხავთ?*

— სეთი რამ დღევანდელი გადასახედიდან არ იკვეთება. სააკაშვილი თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს. იცით, რომ გაიარა გმირთა მოედანზე, დაინახა მემორიალთან მჯდომარე ვეტერანები, არ მოეწონა და მისცა დავალება შესაბამის სამსახურებს, რომ ისინი არა უბრალოდ აეყარათ, არამედ ფიზიკურად დაესაჯა კიდეც. ეს ქცევა გავს დაშინებული პრეზიდენტის ქცევას? ასე რომ, დღევანდელი გადასახედიდან არაფერი ისეთი არ ჩანს, რის გამოც სააკაშვილი და მისი გუნდი მიიღებდა გადაწყვეტილებას ნებისმიერი ვადამდელი არჩევნებისთვის.

*— ეხლა კი გკითხავთ ოპოზიციაზე. როგორი ფონია ოპოზიციურ ფლანგზე?*

## პარლამენტის როლი კიდევ უფრო დაკნინდება

— ოპოზიცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მან მოახერხა ის, რომ საზოგადოება დღეს უფრო მეტად ოპოზიციას აკრიტიკებს, ვიდრე ხელისუფლებას. იმიტომ კი არა, რომ საზოგადოებას ხელისუფლება შეუყვარდა, არა. საზოგადოების დიდ ნაწილს ხელისუფლება როგორც სძულდა, ისევ ისე სძულს. მაგრამ ხვდება, რომ ხელისუფლების კრიტიკას აზრი არ აქვს. ხოლო ოპოზიციას როცა აკრიტიკებს, იმის იმედით, რომ ეგებ რაღაც შეცვალოს და გამოსწორდეს და აღარ გაგრძელდეს ი, რაც დღეს ხდება. სამწუხაროდ, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი დღეს ერთმანეთისადმი ტალახის სროლითაა დაკავებული. ტალახის მსროლელს ავიწყდება, რომ ის არამარტო იმას სვრის, ვისაც ტალახს მოახვედრებს, არამედ ტალახის აღებით თვითონაც დასვრილია. ეს ეხება აბსოლუტურად ყველას, ვინც ამ სიბინძურეშია ჩართული.

*— ამ სიბინძურემ რეალურად გამოკვეთა თუ არა ოპოზიციის ის ფლანგი, რომელიც მზადაა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ჩასანაცვლებლად? ამბობენ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ ალასანია-თარგამაძეზე.*

— როდესაც არის შეხვედრები ნებისმიერ უცხოელ ექსპერტებთან, საქართველოს სპეციალისტებთან, ისინი ყველა ძალიან სერიოზულად მოიხსენიებს გიორგი თარგამაძეს და ქრისტიან-დემოკრატებს. თვლიან, რომ ისინი არიან კონსტრუქციული ოპოზიცია. ძნელია უცხოელებისათვის იმის ახსნა, რომ ძალიან ბევრისათვის საქართველოში ქრისტიან-დემოკრატები მთავრობის მიერ შექმნილი ოპოზიციაა, მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული და დაფინანსებული. უცხოელებს მოსწონთ, ის რომ ქრისტიან-დემოკრატები პარლამენტში არიან და მწვავედ აკრიტიკებენ ხელისუფლებას. გარკვეული სიმპათიები აქვს ირაკლი ალასანიას. შეიძლება მომავალში დასავლეთმა გარკვეული რეკომენდაციები მისცეს მასაც და გიორგი თარგამაძესაც, რომ არჩევნებზე ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ. რამდენად იქნება ეს ქართველი ხალხის ინტერესში, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, თუ მოქმედ რეჟიმს ძალიან გაუჭირდა, მისი ასე ვთქვათ, კონსტრუქციული ჩანაცვლებისთვის არსებობენ ქრისტიან-დემოკრატები.თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, ჩემი აზრით, ხელისუფლება არ ფიქრობს იმას, რომ მას სადმე რამე უნდა გაუჭირდეს. უფრო მეტიც, მას უკვე აქვს გარკვეული პრევენციული ზომები მიღებული. მაგალითად ქუთაისში პარლამენტის გადატანით პარლამენტი გახადეს ნაკლებპრესტიჟული ორგანო. იმიტომ, რომ პრაქტიკულად ახლა იქ წავლენ მხოლოდ ის „ყურცქვიტა ნაბიები“, რომლებიც რასაც უბრძანებენ თითს იმ ღილაკს დააჭერენ. ასევე იქნებიან ბიზნესმენები, რომელთა მართვა ყოველთვის ადვილია, იმიტომ, რომ ბიზნესმენისთვის პარლამენტში ყოფნა მთავარია იმისთვის, რომ თავის ბიზნესს მიხედოს, ხოლო ასეთ ბიზნესმენს რასაც ჩასძახებ, იმას გაგიკეთებს. იქნება ხალხი, რომელიც შრომის წიგნაკს პირველად იქ გახსნის, თუკი მას ასეთი რამე დასჭირდება. მაშასადამე, პარლამენტის როლის კიდევ უფრო მეტად დაკნინება მისი ქუთაისში გადატანით პრაქტიკულად გარანტირებულია. ქუთაისში აგრეთვე მზადდება შენობა მთავრობისთვის. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, სადაც ვიძახით, რომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკაა საჭირო, ორ დედაქალაქს რატომ ვაკეთებთ? ფუფუნებაა ორი დედაქალაქი. თბილისიდან ხომ მთელი საქართველოს დაფარვა შეიძლება. თბილისსა და ქუთაისს შორის სამგზავრო დრო ორ საათ ნახევარია. თუ დავუშვათ ქუთაისიდან ბათუმში მიდიხარ, თბილისიდან ორსაათნახევრით გვიან ჩახვალ. რა დიდი განსხვავებაა? ამას არც ოპერატიული მოძრაობის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ პოლიტიკური მუხტი თბილისიდან განიფანტოს. ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ იმ სისტემით, როგორი სისტემითაც საქართველო ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ჩამოყალიბდა ის, რომ მთელი ინტელექტუალური პოტენციალი თავმოყრილია თბილისში. ხელისუფლების ჩანაფიქრით კი პარლამენტი ამ ინტელექტუალური პოტენციალიდან შორს უნდა იყოს. ასეთ პირობებში მე ნამდვილად არ ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ ხელისუფლებას დღეს განცდაა აქვს, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა ჩაატაროს.

*— ეს ყველაფერი იქეთ არის მიმართული, რომ ამ ხელისუფლებამ კარგა ხნით შეინარჩუნოს ძალაუფლება?*

— ბატონმა სააკაშვილმი იძახის სინგაპურისკენ უნდა წავიდეთო და სინგაპურში ერთი მმართველი პარტიაა, რომელიც 50 წელია უცვლელია. მან ასევე ბრძანა, ჩვენი პარტია ხელისუფლებაში 70 წლით არის მოსულიო. ეს განცხადებები ცხადყოფს, თუ რას ფიქრობს ის და მისი გუნდი. რაც შეეხება დღევანდელი რეჟიმის შესუსტებას, ეს ისევ შიგნით ნაცინალებში უნდა მოხდეს, თუკი იქნება იქ დაპირისპირება. მაგრამ დღეს ეს ჭორები, ჩემი აზრით, უფრო სასურველობას უფრო ასახავს, ვიდრე რეალობას.

*— ანუ ის ფაქტი, რომ ხელისუფლების იდეოლოგი ლევან რამიშვილი და რუსული ინტერესების გამტარებლად ცნობილი კახა ბენდუქიძე რომ ერთად დადგნენ, თქვენთვის არაფრის მანიშნებელი არ არის? ოპოზიციის ნაწილის აზრით, თავისუფლების ინსტიტუტი აქტიურად ემზადება ხელისუფლების ჩანაცვლებისთვის და რომ ეს გუნდი რუსულ ფულზეც უარს არ იტყვის.*

— ერთი რამე შემიძლია გითხრათ: ეს სქემები სუყველა შეიძლება განხილვის საგანი იყოს, მაგრამ ჩვენ უფრო ვართ ორიენტირებული ჩვენ სასურველობაზე, ვიდრე რეალობაზე. ასე რომ, ამ გუნდმა შესანიშნავად იცის, რაც უფრო მჭიდროდ იქნებიან სააკაშვილის გარშემო, მით უფრო დიდხანს და მყარად იქნებიან. ეს კონსტიტუციაც ხომ იმისთვის შეიცვალა, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდეს.

*— ბატონო ლადო, თქვენი აზრით, სრულდება დასავლეთის დაპირება, გადატვირთვა საქართველოს ხარჯზე არ მოხდებაო?*

— დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე შთაბეჭდილება არის ასე, რომ ამერიკის შეერთებული, რა თქმა უნდა, რეალურად ერთადერთი გარანტი არის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის. ხოლო ამ დონის მხარდამჭერი ჩვენ სხვა ქვეყანა მსოფლიოში უბრალოდ არა გვყავს. ეს გასათვალისწინებელია, მაგრამ იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკას აქვს თავისი ეროვნული ინტერესები, რომელთა შორის დღეს რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავება ნამდვილად არ არის. ამერიკა ძლიერია, მაგრამ არც იმდენად ძლიერია გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, რომ აწყობდეს ღია ცივი ომი. ამიტომ მას ურჩევნია „გაყინული“ ცივი ომი.

*— რუსეთს აწყობს დღეს ომი იგივე კავკასიაში?*

— რუსეთს ომი არანაირად არ აწყობს. რუსეთს უბრალოდ იმის ძალა მაინც აქვს, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, და მისი მსგავსი ქვეყნები, ჰყავდეს თავის კონტროლ ქვეშ. რაც შეეხება კავკასიაში ომს, არაფერი არ არის გამორიცხული. ყველაფერი არის შესაძლებელი. მაგრამ ვეჭვობ, რომ ასეთი სცენარი განვითარდეს, იმიტომ, რომ სწორედ ამერიკულ-რუსული ურთიერთობები არის იმაზე ორიენტირებული, რომ როგორმე ბალანსი იქნეს დაცული. დღეს მთელ მსოფლიოში ბევრად უფრო სერიოზული პრობლემაა მსოფლიო სავაჭრო ომი, რომელიც არის პრაქტიკულად ჩინეთსა და აშშ-ს შორის გაჩაღებული, ვინ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ექსპორტს. დღეს ეს გლობალური პრობლემაა. რუსეთი ამ ომში ჩამრთავი ფიზიკურად არ არის. დამატებით თავის ატკივება დღეს ამერიკელების ინტერესშიც არ არის. ამიტომაც მოიგონეს ეს გადატვირთვის პოლიტიკა. თეორიულად, რა თქმა უნდა, ომი არ არის გამორიცხული, თუმცა მისი ალბათობა, ჩემი აზრით, არ არის ისეთი მაღალი, რადგანაც გლობალური თვალსაზრისით, „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ ახლა სხვა ამოცანებით არიან დაკავებულნი.

## ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევა



ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი თანაპარტიელები მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს სავარაუდოდ დღეს შეიტანენ.

როგორც „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ პარტიის გამგეობის წევრმა ნატო ხოხიაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, სარჩელზე იურისტები მუშაობენ და სასამართლოში სავარაუდოდ, ხვალ შევა.

როგორც ცნობილია, ნოღაიდელს მისი ყოფილი თანაპარტიელები სახელფასო დავალიანების დაფარვას სთხოვენ.

ხოხიაშვილი ზურაბ ნოღაიდელის მიერ ახალი მოძრაობის დაფუძნების საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ ზურაბ ნოღაიდელმა ახალი პარტიის დაფუძნების შემდეგ, ძველი პარტიის დატოვებასთან დაკავშირებით „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის საბჭოს აუცილებლად უნდა მიმართოს.

— ვინაიდან ნოღაიდელი „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის წევრია, თუ ის ახალ პარტიას შექმნის, კანონის თანახმად, უნდა მოგვამრთოს განცხადებით ჩვენ და მოითხოვოს ძველი პარტიის დატოვება, რასაც ჩვენ არ დავაკმაყოფილებთ, — აღნიშნა ხოხიაშვილმა და დასძინა, რომ მომდევნო კვირაში ისინი ნოღაიდელის წინააღმდეგ სერიოზული ქმედებების განხორციელბას გეგმავენ.

— დეტალების დაანონსებისაგან ახლა თავს შევიკავებ, თუმცა ვიტყვი, რომ მომდევნო კვირაში ნოღაიდელს ისეთ სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ, რომ მას პარტიის შექმნის კი არა, თავის მოფხანის დროც აღარ დარჩება, — აღნიშნა ხოხიაშვილმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნოღაიდელის ახალი პარტია ლვოვის ქ. №56-ში განთავსდება, შესაძლოა „მოძრაობამ სამართლიანი საქართველოსთვის“ ამ შენობაზე პრეტენზიაც განაცხადოს.

— ამ საკითხს ჩვენ იურისტებთან ვარკვევთ, — განაცხადა ხოხიაშვილმა.

ცნობისთვის: ზურაბ ნორაიდელი თავისი ახალი პარტიის პრეზენტაციას გამართავს. ექს-პრემიერის ახალ პოლიტიკურ ძალას „სამართლიანი საქართველო“ ერქმევა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# როგორც კი მტერი გაგვილიმებდა, ჩვენ მაშინვე ყველაფერს ვპატიობდით



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ საკვირაო ქადაგებისას ღვთის მადლსა და მშვიდობაზე ისაუბრა.

— როდესაც ვისმენთ მადლი ღვთისა, მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი„, ეს არის უდიდესი ძალა. და თუ ადამიანი მოიპოვებს მადლსა ღვთისას, მას ეძლევა მშვიდობა. გამოდის, რომ ღვთის მადლი და მშვიდობა გადაჯაჭვულია ერთმანეთს, — ბრძანა პატრიარქმა.

მისი თქმით, ერი უნდა იყოს ღვთისმოშიში, ღვთისმორწმუნე და ღვთისმოსიყვარულე. უფალი ამ შემთხვევაში ერს ძალას აძლევს. თუმცა ეს ძალა დიდი ქონებით არ განისაზღვრება. ეს არის სულიერი ძალა და მადლი სულისა წმინდისა. ვერავითარი მიწიერი ძალა ამ ძალას ვერ შეედრება.

— ბიბლიაში ვკითხულობთ, ჟამი არს ნგრევისა, შენებისა, ომისა და მშვიდობისა და შევთხოვოთ უფალს, რომ დადგეს ჟამი მშვიდობისა. მინდა ყველამ ილოცოთ, რომ მსოფლიოში და განსაკუთრებით საქართველოში იყოს მშვიდობა, — ბრძანა ილია მეორემ.

მისი თქმით, მშვიდობამ უნდა დაისადგუროს ადამიანთა გონებაში, გულში, ოჯახებსა და მთლიანად საზოგადოებაში.

უწმინდესის თქმით, თუ ადამიანი ბოროტებას გაგიკეთებს, მხოლოდ სიკეთით უნდა უპასუხო, რადგან ბოროტება არა ბოროტებით, არამედ სიკეთით იკურნება.

— ქართველი ადამიანი ოდითგანვე ერთი თვისების მატარებელი იყო — ბოროტების გულში ჩადება არ იცოდა. როგორც კი მტერი გაგვილიმებდა, ჩვენ მაშინვე ყველაფერს ვპატიობდით და ახლაც ასეა, — ბრძანა პატრიარქმა. ილია მეორემ ერს სთხოვა, რომ ილოცოს საქართველოს გამთლიანებისთვის, რათა მადლმა სულისა წმინდისამ გააერთიანოს ქვეყანა.

**მედიანიუსი**

# ვირუსული გრიპის გამო ღუდუშაურის კლინიკაში კარანტინია გამოცხადებული

ღორის გრიპის ვირუსის შემთხვევების მატების გამო, თბილისის ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში კარანტინია გამოცხადებული. პაციენტების ახლობლებს საავადმყოფოში მისვლა და ახალობლების მონახულება ეკრძალებათ.

აღნიშნული ვირუსით საავადმყოფოში სულ 35 ადამიანია მოთავსებული. დაინფიცირებულთაგან ექვსი რეანიმაციულ განყოფილებაში წევს. აქედან ერთის მდგომარეობა განსაკუთრებულად მძიმეა და სუნთქვის აპარატზეა შეერთებული.

სხვა საავადმყოფოებში აღნიშნული ვირუსით დაავადებულ პაციენტთა შესახებ ინფორმაციის გაცემისგან თავი შეიკავეს.

როგორც „მედიანიუსს", იაშვილის სახელობის და რეასპუბლიკურ საავდმყოფოებში განუცხადეს, მათთან რაიმე განსაკუთრებული სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს და არც აქვთ უფლება მსგავსი ინფორმაცია გასცენ. ინფექციურ საავადმყოფოში კი განაცხადეს, რომ გრიპის სიმპტომებით მხოლოდ ერთი პაციენტი მიიყვანეს.

„მედიანიუსთან" საუბრისას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ნატა ავალიანმა კი აღინიშნა, რომ ამ სეზონზე გრიპის სულ 70-მდე ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 40 ადამიანი H1N1 ვირუსით იყო დაინფიცირებული. თუმცა ავალიანმა დასძინა, რომ ხშირ შემთხვევაში დავადებულთა შესახებ მათთან სრული ინფორმაცია არ შედის, რადგან ყველა ტესტირებას არ იტარებს.

ჯანდაცვის სამინისტრო ეპიდემიის გავრცელებას გამორიცხავს, თუმცა ყველას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

**მედიანიუსი**

# ბათუმში შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს თევზსაჭერი გემი ჩაიძირა

ბათუმში შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს თევზსაჭერი გემი ჩაიძირა. ეკიპაჟის ხუთი წევრი დახრჩობას სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა გადაარჩინეს.

არსებული ინფორმაციით, ერთი მეზღვაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იგი ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობს. ოთხი მეზღვაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მომხდარის მიზეზად ბაგირის გაწყვეტა სახელდება, რამაც გემის წონასწორობის დარღვევა გამოიწვია.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასვლას საერთოდ არ აპირებს

## რაზე უნდა პრეზიდენტს ამერიკელების დათანხმება

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი აცხადებს, რომ დევნილების გამოსახლების ფაქტი მოწმობს — არჩევნები ჯერ არ იქნება. თუმცა, სწორედ საპარლამენტო არჩევნებზე გაირკვევა, როგორ დალაგდება მომავალი პოლიტიკური სურათი ჩვენს ქვეყანაში.**
**რას აპირებს პრეზიდენტი სააკაშვილი? ვინ შეიძლება გახდეს პრემიერ-მინისტრი და როგორ შეიძლება, პროცესები განვითარდეს? ამ საკითხებზე დავით ზურაბიშვილს ვესაუბრეთ.**

***— ბატონო დავით, დევნილების გამოსახლების პროცესზე რას იტყვით? ალბათ, ეს იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, რატომ სურს მათი გაყვანა დედაქალაქიდან?***

— რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს — რაციონალურიც და ირაციონალურიც. რაციონალური მიზეზები არის ის, რომ ფართები სჭირდებათ, რაღაცები კიდევ გასაყიდი აქვთ და ხელს უშლით დევნილების იქ ყოფნა. მეორე მიზეზი ის არის, რომ იმდენს დაჰპირდნენ ამ ხელს და იმდენჯერ მოატყუეს, რომ მაინც არაფრის შემსრულებლები არ არიან და რაღაცნაირად დაფანტვა უნდათ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ადგილებში. ირაციონალური მიზეზი ის არის, რომ უბრალოდ რეგვნები არიან, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. სადისტურ სიამოვნებას იღებენ, როდესაც ადამიანს დაჩაგრავენ, ცინიკურად მოექცევიან. ეტყობა, საკუთარი თავის წინაშე მაღლდებიან, მხოლოდ დევნილების მიმართ არა აქვთ ასეთი დამოკიდებულება, ზოგადად საზოგადოების მიმართ აქვთ ასეთი დამოკიდებულება. გარდა ამისა, ეს კიდევ ერთხელ არის მიმანიშნებელი, პირდაპირ გვეუბნებიან: ჩვენ რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ, როგორც გვინდა, ისე მოგექცევით, ფეხებზე გვკიდია კანონიც, ადამიანურობაც, ჰუმანურობაც. არც სამართალია, არც არაფერი, ყველაფერი ჩვენ ვართ. ეს ყველაფერი ერთად მოქმედებს.

***— როგორ უნდა მოიქცეს ეს ხალხი? მათი უმრავლესობა უკან დაბრუნდა, რადგან, როგორც თავად ამბობენ, გაუსაძლისი პირობებია...***

— საზოგადოებამ პროტესტი მაქსიმალურად უნდა გამოთქვას და ყველაფერი შეძრას ქვეყნის შიგნითაც, ქვეყნის გარეთაც. თავისთავად, დევნილების პრობლემას ხალხი ვერ მოაგვარებს, თუ სახელმწიფოს ძალისხმევა არ არის, თუ სახელმწიფო არ არის მონდომებული, რომ ამ ხალხის წინაშე რაღაცნაირად პასუხისმგებლობა იგრძნოს, მიხედოს, საზოგადოებაში ინტეგრირება მოახდინოს და ნორმალური ცხოვრების პირობები შეუქმნას. ამას სხვა ვერავინ იზამს, ვერ მოხერხდება, ამ ხელისუფლებას კი ამის არავითარი სურვილი არა აქვს. ამიტომ, არ ვიცი, როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემა. საჭიროა ბრძოლა.

***— რა მეთოდებით?***

— ძალიან ბევრი მეთოდით შეიძლება ბრძოლა. მაგალითად, შეიძლება, დევნილების ორგანიზება მოხდეს და ათასობით სარჩელი სასამართლოში შევიდეს. ცხადია, ჩვენი სასამართლოს იმედი არავის აქვს, მაგრამ მაინც პროტესტი იქნება, რეზონანსი იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა შევაწუხოთ, აქციებიც უნდა გაიმართოს, ყველაფერი კომპლექსურად და ერთდროულად უნდა მოხდეს. პირდაპირ ვიტყვი, სანამ ეს ხელისუფლება არის, ეს პრობლემა არ გადაიჭრება. მერე გადაიჭრება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, ამ ხელისუფლების ხელში რომ არ მოგვარდება და ამ მდგომარეობაში რომ ეყოლებათ ეს ადამიანები, ფაქტია. ესენი დევნილებს მხოლოდ საარჩევნო რესურსს ისე განიხილავენ. არჩევნებამდე ამყოფებენ გაუსაძლის მდგომარეობაში, არჩევნების წინ კი ვიღაცებს მოისყიდიან, ვიღაცებს დააშინებენ, ბავშვებს ბათუმში „კარუსელებზე" წაიყვანენ და ამით ხმების საკმაოდ დიდ რესურსს მოგროვებენ. ამ ხელისუფლებისთვის ამ ხალხის გეტოს მდგომარეობაში ყოფნა ხელსაყრელია საარჩევნო თავლსაზრისით. ისინი ასე მიიჩნევენ. ადამიანებსა და პიროვნებებს არ აღიქვამენ, უყურებენ, როგორც საარჩევნო ხმების ყულაბას.

***— სატვირთო მანქანებში თუ ჩაყრიან ამ ადამიანებს, მერე არჩევნებზე მათგან ხმებს როგორ მიიღებენ?***

— აქამდე ასე არ იყო? ჯერ კიდევ 2007 წელს ბათუმიდან რომ გამოასახლეს დევნილები, კიდევ სხვა შემთხვევებიც იყო. პირველად ხომ არ ხდება, ხელისუფლება მიეჩვია და ამბობს, რასაც მინდა, იმას გავაკეთებო. ჯერ ხომ არჩევნები არ არის, თვეები რომ გავა და არჩევნები მოახლოვდება, მერე გამოვლენ და იტყვიან, ახლა ვიწყებთ ჩვენ დევნილებზე ზრუნვას, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო, მივლენ, ვიღაცას რაღაცას მიუტანენ. აქვთ იმედი და ცინიკური გათვლა, რომ დაავიწყდებათ რაც გაუკეთეს, მაინც შეძლებენ თავისის გატანას. ასე რომ იქცევიან, ეს ნიშნავს, რომ ახლა არჩევნების ჩატარებას არ აპირებენ.

***— იყო მოსაზრება, რომ გაზაფხულისთვის დაინიშნოს არჩევნები...***

— ძალიან მეეჭვება. არა მგონია, არჩევნები გაზაფხულისთვის დაინიშნოს. რატომ ჩაატარებენ არჩევნებს გაზაფხულზე, რა ძალა ადგათ.

***— არჩევნებისთვის არ ემზადება ხელისუფლება?***

— არა, რა თქმა უნდა, არ ემზადება. როდესაც არჩევნები ახლოვდება, ხომ ვიცით, რომ ხელისუფლება სრულიად სხვანაირად იწყებს საუბარს იმავე დევნილებთან. მართალია, არაფერს უკეთებენ რეალურად, მაგრამ ჰპირდებიან. მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, 2008 წელს, ლამის დედა დაიფიცა, საკრებულოში რომ შეხვდა დევნილებს, უთხრა, ყველანი დაბრუნდებით სახლში, აფხაზეთშიო. მაშინ მიიღო მათი ხმები, მაგრამ შეასრულა რამე? ეს პირველად ხომ არ ხდება.

***— ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ პრეზიდენტი ბოლოდროინდელ გამოსვლებში აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონს არ ახსენებს...***

— ეს პრობლემა მოაგვარა. ამ ხალხს, კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას ვგულისხმობ, ვინც ქვეყანას მართავს, მათთვის ეს არ არის მათი ქვეყანა. ეს არის მათთვის ტერიტორია, რომელიც ჩააბარეს და უთხრეს, რაც გინდა, აკეთეო, მისცეს რაღაც სივრცე და რაც უნდათ, იმას აკეთებენ. შეიძლება, ეს სივრცე ხან შემოაკლდეთ, დაუპატარავდეთ, მაგრამ მათია. რაც მათია, ის არის მათთვის ფასეული, დანარჩენი აღარ ენაღვლებათ, აქამდეც აღარ ენაღვლებოდათ. უბრალოდ, ეს იყო ცარიელი პროპაგანდა და ტყუილი. სიამოვნებით დაივიწყებდნენ ამ პრობლემას, მაგრამ ესმით, რომ წმინდა პროპაგანდის თვალსაზრისით არ გამოდის. ამიტომ, თუ ადრე, არჩევნების წინ პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობდა, სოხუმი მესიზმრებაო, სიზმრებს ხან სოხუმზე ხედავდა და ხან რაზე, არ ვიცი, ახლა ხედავს ტურისტს, თან — ორ მილიონს. ტურიზმმა ჩაანაცვლა, ორი მილიონი ტურისტი შემოვა და საქართველო გაბრწყინდება. მთელი პროპაგანდისტული მანქანა ახლა ტურიზმზეა დაქოქილი. სახელმწიფოებრიობის განცდა რომ ჰქონდეთ, ცოტა სხვანაირად მოიქცეოდნენ. არ აქვთ ეს განცდა. წარმოიდგინეთ, ბავშვებს სათამაშო რომ მისცე და ითამაშონ. ასეა, სათამაშო აქვს და თამაშობს. სათამაშოს ხელი მოსტყდა, მაგრამ დანარჩენი ხომ დარჩა. ამას უკირკიტებს და ერთობა.

***— ბატონო დავით, ხომ არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა გააცნობიერა, ტერიტორიული პრობლემის გადაჭრა რთულია და თავი დაანება?***

— გააცნობიერა-არ გააცნობიერა კი არა, არ ენაღვლება. მას ენაღვლება ერთადერთი რაღაც, რომ თვითონ იყოს ხელისუფლებაში და აკეთოს ის, რაც უნდა. რაღაც ტერიტორია იყო მოზომილი, ახლა უფრო პატარაა მოზომილი. ის ასე უყურებს.

***— შეიძლება, ეს პოლიტიკა ნატოს უკავშირდება?***

— ნატო საერთოდ დაივიწყეთ. გამორიცხულია. ეს ხომ წარმოუდგენელია. დღეს ამაზე საუბარი სასაცილოც კია. პერსპექტივის მსგავსი რამ იყო, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა ძალიან შორს გადასწია ეს პერსპექტივა. ეს არის ცარიელი პროპაგანდა. ამათ რომ ვუსმინოთ, კარგად ვცხოვრობთ და ყველაფერი ქვეყანაში კარგად მიდის, მაგრამ რეალურად ასე ხომ არ არის.

***— თუმცა, პრეზიდენტ სააკაშვილს***



***პრემიერობის პრეტენზია აქვს. როგორ შეძლებს?***

— მას აქვს ერთადერთი პრეტენზია, მას უნდა, რომ საქართველოს დირექტორი იყოს, ქვეყანა მართოს. პრემიერ-მინისტრი ერქმევა, პრეზიდენტი თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მისთვის სულ ერთია. როგორ იქნება, ეს ჯერ არ იცის, მაგრამ სხვადასხვა ვარიანტს ცდილობს. წასვლას რომ არ აპირებს, რა თქმა უნდა, ჩანს.

***— ეს ვარიანტები ხელისუფლებაში განიხილება?***

— არა მგონია, სერიოზულად განიხილებოდეს, მაგრამ თვითონ ცდილობს. ხელისუფლებაში დარჩენისთვის პრობლემა საგარეო ფაქტორია. მან უნდა მიაღწიოს იმას, რომ საგარეო ფაქტორის საქმე მოაგვაროს. რუსეთს ვერ დაითანხმებს, რადგან პუტინთან პიროვნულად აქვს ურთიერთობა გაფუჭებული იმდენად, რომ სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ ცდილობს, ამერიკა „შეაბას" იმაზე, რომ ისევ დარჩეს.

***— გამოუვა?***

— არ ვიცი. ჯერჯერობით არა მგონია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შეეცდება. ასე ადვილად რომ არ წავა, ცხადია. მისთვის აბსოლუტურად სულ ერთია, თავისი თანაგუნდელი დარჩება მემკვიდრედ თუ ვიღაც ოპოზიციონერი. თვითონ თუ არ იქნა, თავისი არქიტექტურული გენიის გამოვლინება არ გამოაჩინა ყოველ ნაბიჯზე და არაბი შეიხივით თუ სულთანივით არ იცხოვრა, ისე რა უნდა. პრეზიდენტი რომ არ იყოს, რა უნდა აკეთოს, როგორ ლექციებს წაიკითხავს? ვერც წარმოუდგენია სხვა რამე. მისთვის მთავარია, ის იყოს ისევ, ამაზე მუშაობას უფრო გაააქტიურებს და ამ შედეგებს ვნახავთ. ვნახავთ, რა ნაბიჯებს გადადგამს. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის დასარეგულირებლად საჭიროა, პიროვნულად მიხეილ სააკაშვილი არ იყოს საქართველოს ხელისუფლებაში მომავალში. სხვანაირად ეს ურთიერთობა ვერ ვითარდება. ამიტომ, იქიდან ეუბნებიან, 2013 წლამდე იყავი და მერე წადი, ცოტა ხანს დაისვენეო. კი არ ეუბნება, არ წავალო, მაგრამ არ უნდა და ცდილობს, ისე გააკეთოს, რომ ამერიკამ თქვას, ჯობია, ისევ ეს იყოსო. მისი მცდელობა ამისკენ არის მიმართული, მაგრამ, რამდენად მოახერხებს, არ ვიცი. ეს ყველაფერი საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდება. მაშინ იქნება გადამწყვეტი მომენტი. მაშინ დავინახავთ, რაზე მიდის და რას აპირებს, რა გუნდით დააკომპლექტებს უმრავლესობის სიას. ვიმეორებ, ყველაფერი მაშინ გამოჩნდება.

# საქართველო ევროსაბჭოში რუსეთს ნაკისრ ვალდებულებებს შეახსენებს

ქართველი დეპუტატები ევროსაბჭოში რუსეთს რეზოლუციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას კიდევ ერთხელ მოუწოდებენ.

როგორც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილმა სტრასბურგში გამგზავრებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთი ცდილობს

ევროსაბჭოს ყურადღება სხვა დოკუმენტის შემუშავებაზე გადაიტანოს და მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს გვერდი აუაროს, რასაც ქართული მხარე არ დაუშვებს

დარჩიაშვილის თქმით, საქართველოს დელეგაცია ევროსაბჭოში იმ მიზეზებსაც განმარტავს, რის გამოც მათ ქართულ-რუსული დოსიების განხილვაში მონაწილეობა არ მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე ქართულ-რუსული დებატები დღის წესრიგში რეგისტრირებული არ არის, თუმცა ქართული მხარე ამ საკითხებზე საუბარს მაინც აპირებს.

საპარლამენტო სესიაზე ქართველი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი მიგრაციის საკითხებზე მოხსენებისას გამოვა. მოხსენება მიგრაციის კომიტეტის აპარატის მიერაა მომზადებული.

ცნობისათვის: საქართველოს დელეგაციაში შედიან დეპუტატები: გიორგი გაბაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, აკაკი მინაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, პაატა დავითაია და გიორგი კანდელაკი.

ქართველი დეპუტატები სტრასბურგში უკვე გაემგზავრნენ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია ხვალ, 24 იანვას გაიხსნება 28 იანვარს დაიხურება.

**მედიანიუსი**

# რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ფულს ათეთრებს

**რუსეთის კონტროლის პალატამ აფხაზი სეპარატისტები მილიონების მოპარვასა და გაფლანგვაში ამხილა. ამის მიუხედავად, სეპარატისტთა ლიდერები ალბათ პოსტს მაინც შეინარჩუნებენ.**

**პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ გამოყოფილი თანხა, მოსკოვიდან დაწყებული, ცხინვალითა და აფხაზეთით დამთავრებული, იფლანგება.**

**მალაშხია მიიჩნევს, რომ რუსეთის მცდელობის მიუხედავად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესი პრაქტიკულად შეჩერებულია.**

**„ახალი თაობა“ შოთა მალაშხიას ესაუბრა.**



ნანა მიშელაშვილი

***— რუსეთის საანგარიშო პალატა აფხაზეთის სეპარტატისტულ ხელისუფლებას 347 მილიონი რუბლის გაფლანგვას ედავება. შემოწმება 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ სეპარატისტებმა რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ფულიდან საკმაოდ დიდი თანხა გაფლანგეს. რას იტყვით ამ ფაქტთან დაკავშირებით?***

— თავად რუსეთის ხელისუფლება არის ტიპური საბჭოთა კრიმინალური სტრუქტურა. ამდენად, მათ მიერ გამოყოფილი თანხა არ უნდა მოხმარდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და უნდა გაიფლანგოს. ეს თანხა, დაწყებული მოსკოვიდან, ცხინვალამდე და აფხაზეთამდე, იფლანგება. ეს არის მენტალურად დაშვებული კორუფცია, რუსეთი ასე არის აგებული და ასე მართავს ქვეყანას. რას ხმარდება ეს თანხები? პირველ რიგში, რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწყობას, მეორე რიგში, მარიონეტული რეჟიმის შენარჩუნებას, ასევე „ატკატის“ სახით ეს თანხები მოსკოვში ბრუნდება. ეს არის სქემა და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ამ ტერიტორიის დეოკუპაცია არ მოხდება.

***— გამოდის, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ფულს ათეთრებს?***

— კი, კორუმპირებული სისტემაა, ფულს ათეთრებს. ერთი სიტყვით, ეს თანხა ხელიდან ხელში გადადის. ყველას ახსოვს, კომუნისტების პერიოდში წითელი დირექტორები რომ იყვნენ, იგივე გრძელდება, იქ მენტალურად არაფერი არ შეცვლილა, ისევ საბჭოთა კავშირია, ყველაზე უფრო ცუდი ფორმით, იმაზე უარესი, რაც ბოლო პერიოდში არსებობდა.

***— რუსეთის საანგარიშო პალატის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია რუსეთის პრემიერს, სახელმწიფო დუმას და ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა. რაიმე რეაგირება თუ მოჰყვება რუსეთის მხრიდან სეპარატისტების მიერ თანხების გაფლანგვას, ბაღაფშის ან კოკოითის შეცვლა თუ არის მოსალოდნელი?***

— პრაქტიკულად არავითარი ცვლილება არ მოხდება. საბჭოთა კავშირის დროსაც ასე ხდებოდა, რომელიღაც ცეკას მდივანს სამაგალითოდ დასჯიდნენ, რაც იმას არ ნიშნავს, რომ კორუფციული სისტემა აღარ იქნება. ეს ხან იმისთვის კეთდებოდა, რომ ახალი კორუფციული კლანი წამოეწიათ, ხან იმისთვის, რომ იმიჯი შეექმნათ, ვითომ კორუფციას ებრძვიან. სისტემური კორუფციის გამოსწორებას რეფორმები სჭირდება, რუსეთის საანგარიშო პალატის დასკვნებით კორუფიცია არ აღმოიფხვრება. თავად მიუთითებენ, რომ პუტინისთვის აგარაკები შენდება, უზარმაზარი თანხები იხარჯება. როდესაც კორუფცია სათავეშია, არ შეიძლება, რომ ქვემოთ არ გრძელდებოდეს.

***— აფხაზეთსა და ცხინვალში სამხედრო ბაზების მშენებლობის კუთხით რა მდგომარეობაა, ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაქვთ?***

— სამხედრო სტრუქტურის თვალსაზრისით, ახალგორის გარდა, ცხინვალში, გალში და ოჩამჩირეში, მეტ-ნაკლებად ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობა. საბჭოთა კავშირის დროსაც ასე იყო, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბალტიისპირეთში, აშენებდნენ სამხედრო სტრუქტურას, მაგრამ როდესაც მთელი მსოფლიო დაირაზმა, თვალის დახამხამებაში გამოიყვანეს ჯარები.

***— ახალგორში მიმდინარეობს სამხედრო ბაზის მშენებლობა?***

— ახალგორში უფრო ნაკლებად მიმდინარეობს ბაზის მშენებლობა, კოკოითმა რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ მან ქართველებისგან ეს რეგიონი გაწმინდა. მერე ზემოდან მითითება მიიღო, რომ ასე ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება და განცხადებები შეცვალა, უნდოდათ სხვა მიდგომები ჰქონოდათ ახალგორთან დაკავშირებით. თუმცა, ახალგორის მოსახლეობა პრაქტიკულად იქ არ ცხოვრობს.

***— ახალგორში ლარის მიმოქცევა აიკრძალა. ასევე ავიწროებენ და ხურავენ ქართულ სკოლებს. რას უპირისპირებს ამას საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო არენაზე?***

— საერთაშორისო არენაზე ჩვენ გვაქვს საკმაოდ სერიოზული წარმატება. ეს იგივე ჯარია, რომელიც იდგა ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომელსაც ერქვა ე.წ. სამშვიდობო ჯარი. მსოფლიო ახლა ამ ტერიტორიებს უწოდებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, ამაზე აქტიურად საუბრობს ყველა ბოლო 6 თვის განმავლობაში. ამ 6 თვის შემდეგ, მათ უნდა გვითხრან, რას ვაპირებთ მათთან ერთად, რათა ეს ოკუპაცია შეიცვალოს. რუსეთი კიდევ უფრო აღრმავებს თავის ფაშისტურ მოტივაციას, მოსკოვში ხალხი გამოდის, რომელიც ამბობს, რომ ყველა კავკასიელი უნდა წაეთრიოს თუ არადა, დახოცავენ. ამ ფონზე, ევროკავშირის ზოგიერთი პარლამენტარი გამოდის და ამბობს, რომ პუტინს და მისნაირ პიროვნებას ევროკავშირში შესვლა უნდა აეკრძალოს. თემები გროვდება, ამას თავის ლოგიკური და სამართლებრივი დასასრული ექნება. ხვალ და ზეგ, ევროპას, ამერიკას, ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყნებს მოუწევთ რეზოლუციების მიღება, ოღონდ სანქციებთან დაკავშირებით, კერძო პირებთან დაკავშირებით შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებთან დაკავშირებით.

***— რას გულისხმობთ?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მიმართულებით ინვესტიციები მკაცრად შეიზღუდება. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ვინც ფულს შოულობს, მიხვდება, რომ თავის შვილს ვერ ასწავლის და ამ თანხების გადაქაჩვას ევროპულ სახელმწიფოებში დაიწყებს. ეს კიდევ უფრო მოკლავს რუსეთის ეკონომიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მარიონეტულ ხელისუფლებებს ვეღარ შეინახავს. ჩეჩნეთის ე.წ. პრეზიდენტის ესკორტი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტის.

***— მართლა?***

— კი, ასეა, კადიროვს გროზნოში მთელი არმია დაჰყვება. ეს ხომ საკმაოდ სოლიდური თანხები ჯდება. საკმარისია მას ათასი დოლარიც კი დააკლდეს, შეიძლება პოლიტიკა შეცვალოს და გამოაცხადოს, რომ რაღაცისთვის იბრძვის. ანუ რუსეთი ამ წკიპზეა. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთმა დაუშვა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა შეიძლება მოხდეს. რუსეთს თავად აქვს რეზოლუციებზე ხელი მოწერილი, სადაც ნათქვამია, რომ ქართველების ეთნოწმენდა მოხდა. მაგრამ ამბობს, მერე რა, აფხაზეთსა და ცხინვალს მაინც შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოები ეწოდოს. რუსეთმა ბოთლიდან ჯინი ამოუშვა და ამას რუსეთისთვის ბოლო წერტილი არ ექნება.

***— შეიძლება თუ არა, აფხაზეთსა და ცხინვალში სიტუაცია ისე დაიძაბოს, რომ თავად შიგნიდან აფეთქდეს ვითარება?***

— უკმაყოფილება ნამდვილად არსებობს. ვის სიამოვნებს, როდესაც აფხაზეთსა თუ ცხინვალში რუსი იქცევა როგორც ბატონ-პატრონი? როდესაც არის ეკოლოგიის დარღვევის ფაქტები, აფხაზებს გარკვეული რეაქციები აქვთ, მაგრამ მაინც ხმას ვერ იღებენ. ეს დაახლოებით იგივე პერიოდს ჰგავს, ჩვენ 60-იან წლებში საბურთალოზე, „ზაკვოს“ წინ აქციები რომ მოგვეწყო. იქ ჩავლაც კი საშიში იყო, რადგან ცოტა გვერდზე რომ გაგეხედა, ჯარისკაცი შუბლში ტყვიას დაგახლიდა. მაგრამ ეს სიტუაცია რომ მწიფდება, ეს რეალობაა. იქ რაც ხდება, ეს ხდება საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ამზადებენ „ბოევიკებს“. ადამიანების ცივილიზებულ სამყაროზე გადმოქაჩვის მექანიზმები არსებობს და ამის ამოქმედებაა საჭირო.

***— არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ შესაძლოა უახლოეს პერიოდში ლიხნის კრება შეიკრიბოს და აფხაზმა უხუცესებმა გარკვეული გადაწყვეტილება მიიღონ რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ლიხნის კრებას?***

— ამის მცდელობა 4-5 თვის თვის წინ იყო, შეიკრიბნენ, მაგრამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. შეკრება მაინცდამაინც ორგანიზებული ვერ იყო: ყველას შვილი ჰყავს, რაღაც მდგომარეობა აქვს, საკმაოდ გართულებული ვითარებაა. ამის დასტური ისიც არის, რომ „ამცახარამ“, რომელიც ვეტერანებისგან შედგება, გამოაქვეყნა განცხადება, სადაც რუსეთისთვის მიწების გადაცემა იმით გაამართლა, რომ რუსები გვეხმარებოდნენ, იარაღს გვაწვდიდნენო. ორი სამართლებრივი შეცდომა იქნა დაშვებული: პირველი აღიარეს, რომ რუსები ეხმარებოდნენ, რუსები კონფლიქტის მონაწილე მხარე იყვნენ და არიან, მეორე, დაავიწყდათ საკუთარი ისტორია, რუსული იმპერიული სახელმწიფო, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ, მათ მოღალატეებს ეძახდა და რუსებმა გაასახლეს ისინი. მაშინ ქართული ინტელიგენცია და ქართული სახელმწიფო სტრუქტურები რაც არსებობდა, იცავდა აფხაზების ინტერესებს. ზოგიერთმა კარგად იცის, რომ მათი თვითმყოფადობის შენარჩუნება, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ, ძლიერ სახელმწიფოზე გადის.

***— ლიხნის კრების მომავალ შეკრებასაც არ მოჰყვება არანაირი კონკრეტული შედეგი?***

— არის ვარაუდი, რომ შეკრება ისევ მოხდება, მაგრამ არა მგონია, რაიმე სერიოზული შედეგი დაიდოს. ეს არის ოკუპირებული ტერიტორია, იქ რამდენი აფხაზიც შეიძლება გამოვიდეს საომრად, სამჯერ მეტი შეირაღებული ფორმირება დგას რუსეთის. ამიტომ, იქ რაიმე მოძრაობა ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად გამორიცხულია. თუმცა, ჩვენთვის ცნობილია აფხაზების სურვილი, ხალხი ჩვენკენ სამკურნალოდ როდესაც გადმოდის, მათი პოზიციები ვიცით.

***— რაც შეეხება კოკოითის მორიგ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი თბილისისგან იმ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს, რომელიც მათ ომის დროს მიადგა. რას ემსახურება კოკოითის ეს განცხადება?***

— საქართველოს პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომ ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური ზარალი დაგვეთვალა. ეს თემა რუსეთის მხრიდან ჩვენს ქმედებაზე საპასუხოდ წამოვიდა, ხან ბაღაფში გამოდის და თანხებს ითხოვს, ხან კოკოითი. ერთი ფაქტია, რომ ჩვენ ეკონომიკური ზარალი მოგვადგა და ჩვენ ამ ზარალს აუცილებლად დავითვლით. ეს ზარალი სხვადასხვა მიმართულებით იქნება: ეს არის კერძო სექტორისთვის მიყენებული ზარალი, სახელმწიფო სექტორისთვის მიყენებული ზარალი, ასევე ეკონომიკის განვითარებლობისთვის, ეკოლოგიის დარღვევის და ასე შემდეგ. ამ ზარალის დათვლის და სასამართლოში გადატანის მეტი შანსი ახლა გვაქვს, ვიდრე ადრე. იმიტომ, რომ უამრავი რეზოლუცია არსებობს, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, მანამდე კი ეს ჯარები სამშვიდობო ეგიდით იდგნენ. დღეს სასამართლოებში და საერთაშორისო დონეზე ამ საკითხის გატანა და სასამართლოების მოგება უფრო რეალურია, ვიდრე ეს იყო 4 წლის წინ, როდესაც საქართველოს პარლამენტი ამ რეზოლუციას იღებდა.

***— რამდენიმე დღის წინ, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევებს და მოუწოდებს ევროკავშირის სტრუქტურებს დაუყონებლივი რეაგირებისკენ. ამ რეზოლუციებს შედეგად რა მოჰყვება?***

— ადამიანის უფლებების დარღვევები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოველდღიურად ხდება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ზოგიერთი სხვადასხვა დონეზე ასეთ შეკითხვას სვამდა: ქართველებმა გაისროლეს პირველმა თუ რუსებმა? შემდეგ ეს შეკითხვა მოხსნა. შემდეგ სვამდნენ მეორე შეკითხვას: თანაზომადად გვიპასუხა თუ არათანაზომადად რუსეთმა? ახლა ორივე შეკითხვა გაქრა და დღეს საუბრობენ, რომ ეს არის ოკუპირებული ტერიტორია, სადაც ეთნოწმენდა მოხდა, სადაც ადამიანის უფლებები ყოველდღე ირღვევა. რადგან ეს ყველაფერი ხდება, ამას სჭირდება გამოსწორება. ამ რეზოლუციებიდან გამოსწორების მექანიზმების შემუშავებაზე უნდა გადავიდეთ. ჩვენ ღია ვართ, ვამბობთ, გვითხარით, რა გამოვასწოროთ, ყველაფერს გამოვასწორებთ, მაგრამ ძალა დავატანოთ რუსებს, რომ მათაც გამოასწორონ იქ მდგომარეობა. ამის ბერკეტები არსებობს: ანგარიშების გაყინვა, გადაადგილების შეზღუდვა, რომელიმე ფირმის შემთხვევაში ყადაღის დადება, ინვესტიციების შეჩერება და ასე შემდეგ. იმდენად ინტეგრირებულია მსოფლიო, რომ მაშინ რუსეთს თვითიზოლაციისკენ წასვლა მოუწევს. თვითიზოლაცია, დღევანდელ დღეს, პრაქტიკულად გამორიცხულია. ეს არის მსოფლიოს ღირსების საკითხი, ან მსოფლიო არ გადაყლაპავს ეთნოწმენდას და დამოუკიდებელი სახელმწიფოების დარქმევას, ან თუ ეს გადაყლაპა, ისეთი რაღაც შეიძლება მოხდეს, რაც კატასტროფის მომასწავებელი იქნება. აქამდე ეს რეზოლუციები არ გვქონდა, გავიხსენოთ ისიც, რომ ამ ჯარებს ე.წ. სამშვიდობო ჯარები ერქვა.

***— ფაქტია ისიც, რომ ევროპა რუსეთის გაღიზიანებას ერიდება. თუნდაც ამ რეზოლუციების შეუსრულებლობის გამო, რუსეთს საერთაშორისო ორგანიზაციებში არც ხმა ჩამოერთმევა და არც რაიმე სანქცია ტარდება?***

— ეს დრო დადგება, სხვა გზა არ არის. არ შეიძლება ათას მეერთედ გააფრთხილო. შედეგი, რაც დღეს გვაქვს, არის სულ 5-6 თვის შედეგი, აქამდე ეს შედეგი არ გვქონდა. მანამდე, ტალიავინის კომისიის დროს არკვევდნენ, ეთნოწმენდა მოხდა თუ არა. მთელმა მსოფლიომ გაიგო, რაც მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ახლა კონკრეტულ ქმედებებზე უნდა გადავიდნენ, ეს ქმედებები აუცილებლად იქნება.

***— რა იქნება პირველი ნაბიჯი, რუსეთისთვის საერთაშორისო სტრუქტურებში ხმის ჩამორთმევა, შეჩერება, გარიცხვა თუ სხვა სანქციები?***

— პირველ რიგში, ალბათ, ეს იქნება ინვესტიციების შეჩერება. ეს იქნება არაოფიციალური ინფორმაცია, ცივილიზებული ქვეყნები თავიანთ ფირმებს მოუწოდებენ, რომ რუსეთი არაკეთილსინდისიერი, არასაიმედო პარტნიორია და ინვესტიციების ჩადება ამ ქვეყანაში რეკომენდებული არ არის. ბიზნესი მგრძნობიარეა და რუსეთიდან ფული ინტენსიურად გავა საზღვარგარეთ, ეს კიდევ უფრო დასწევს რუსეთში ეკონომიკის მდგომარეობას. ამას მოჰყვება ის, რომ დაიწყებენ პიროვნებების სანქციების გაცემაზე საუბარს, რათა ისინი ევროპაში ვერ გადაადგილდნენ. კიდევ ერთი, მათ ჩასატარებელი აქვთ ოლიმპიადა და 2012 წელს რუსეთში არჩევნები. შიდა დაპირისპირება რუსეთში კიდევ უფრო გამოჩნდება.

***— რაც შეეხება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების საკითხს, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ნაურუს, ვენესუელას და ნიკარაგუის შემდეგ, კიდევ რომელიმე ქვეყანამ აღიაროს ისინი?***

— ეს პროცესი პრაქტიკულად უკვე შეჩერებულია. საერთოდ, ნაურუს შემთხვევაში ეს არ იყო პირველი პრეცედენტი, ანალოგიური შემთხვევა ადრეც იყო, როდესაც ნაურუმ ორჯერ აიღო ფული, ერთხელ აღიარებისთვის და მეორედ აღიარების გაუქმებისთვის. ეს ნაურუს ბიზნესია, კუნძულზე ბიზნესს აწარმოებს, იმიტომ, რომ შიათ, საჭმელი არა აქვთ და უჭირთ.

***— რუსეთის მხრიდან სხვა ქვეყნებზე ზეწოლა არ გაგრძელდება, რომ მათ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება მოახდინონ?***

— რუსეთის მხრიდან ზეწოლა მიმდინარეობდა უკრაინასა და ბელორუსიაზე. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, იანუკოვიჩი გაურკვევლად საუბრობდა ამ თემაზე. მაშინ ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, ამას დასჭირდება მაქსიმუმ 6 თვე, როდესაც უკრაინა გამოხატავს თავის საგარეო პოლიტიკას და სეპარატისტების აღიარების თემაზე საერთოდ საუბარი არ იქნება. ბელორუსის შემთხვევაში ასევე ცნობილია ლუკაშენკოს პოზიცია. მსოფლიომ იცის, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია, რომლის დეოკუპაცია უნდა მოხდეს.

# სააკაშვილს ყველაზე მეტად სახალხო კრების ეშინია

**სახალხო კრება ბევრი ექსპერტისა თუ ოპოზიციონერის სამიზნე გახდა. ხელისუფლება კრების იდეის იგნორირებას ახდენს და ამტკიცებს, რომ სახალხო კრების იდეამ ჩაილურის წყალი დალია. გარკვეული დროის განმავლობაში „კრებელები" დუმდნენ, რაც ჭორების საბაბი გახდა. ნაახალწლევს კი ძალიან გააქტიურდნენ და, როგორც თავად ამბობენ, მალე ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამენ.**

**სერიოზულ ნაბიჯად შეფასდა სახალხო კრების მიერ მთელი თბილისის მასშტაბით სამოქალაქო წინააღმდეგობის რაიონული კომიტეტების დაფუძნება. ამ კომიტეტებს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. როგორც სახალხო კრების წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი ერთობლივი ძალით აღუდგებიან წინ რეჟიმის მიერ შექმნილ ურთულეს რეალობას და დაამარცხებენ მოსახლეობაში დანერგილ ნიჰილიზმსა და მითს დღევანდელი ხელისუფლების უძლეველობის შესახებ.**

**წინააღმდეგობების კომიტეტის შექმნაში ბევრმა სახიფათო ტენდენცია შენიშნა. ზოგიერთმა შიში გამოთქვა, ქვეყანაში ნეო-მხედრიონი იქმნებაო. ამ მოსაზრებას სრულიად უსაფუძვლოს უწოდებს სახალხო კრების წარმომადგენელი ირაკლი ბათიაშვილი. რატომ ეშინია ხელისუფლებას ყველაზე მეტად სახალხო კრების, არის თუ არა პროვოკაციები მოსალოდნელი და რა მიზანს ისახავენ წინააღმდეგობის კომიტეტები, ამის შესახებ ირაკლი ბათიაშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.**

თეა მარხვაი ე

**ირაკლი ბათიაშვილი:**

— არავითარი ფორმირებების შექმნას ადგილი არა აქვს. სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტების შექმნა ხდება წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, რომლის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის 25 ნოემბერს გავაკეთეთ. ამ კომიტეტებს ჩვენ ვქმნით ყველა რაიონში. ეს არის პროცესი, რომელიც დიდ შედეგს გამოიღებს. თბილისის ყველა რაიონში უკვე დაფუძნდა ეს კომიტეტები. ასევე დაფუძნდა დევნილთა კომიტეტი. ეს პროცესი მალე რეგიონებში გადაინაცვლებს. ეს სისტემა არის ხერხემალი სახალხო კრების. ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი არის სამოქალაქო მასშტაბური წინააღმდეგობა. ის მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა დაიწყოს.

***— სამოქალაქო წინააღმდეგობების კომიტეტების ფუნქციაში რა შედის?***

— მათ თითოეულ რაიონში არსებული პრობლემების მონიტორინგი და დეტალური აღრიცხვა უნდა განახორციელონ და ამ პრობლემებზე სათანადო რეაგირების გეგმა წარმოადგინონ; კომიტეტებმა სახალხო კრების მხარდამჭერები უნდა მოიზიდონ და განახორციელონ მათი დაყოფა შემდეგ ჯგუფებად: სახალხო კრების იდეის მხარდამჭერები, სახალხო კრების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების რეგულარული მონაწილეები, სახალხო კრების მუშა პროცესში ჩართული ჯგუფები; კომიტეტების მუშაობით უნდა მოხდეს სახალხო კრებასთან არსებული ქომაგის ჯგუფების ფორმირება და ასევე, სახალხო კრების ახალგაზრდული ფრთის ფორმირება. სამოქალაქო წინააღმდეგობის კომიტეტები გაწეული სამუშაოს შედეგად საზოგადოების მობილიზებას მოახდენენ.

***— წინააღმდეგობების კომიტეტების და ქომაგის ჯგუფების ფორმირებამ გარკვეული მითქმა-მოთქმა გააჩინა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ თქვენ ქმნით ახალ მხედრიონს.***

— რა შუაშია აქ მხედრიონი. ის თავიდანვე როგორც შეიარაღებული ფორმირება, ისე ჩამოყალიბდა. ჩვენ სრულიად სხვა ტიპის რამეს ვაკეთებთ. 2009 წელს მიმდინარე აქციის დროს ოპოზიციამ ჩამოაყალიბა სახალხო პატრული. მან თავისი მოვალეობა კარგად შეასრულა. ახლაც ასე იქნება.

***— თუ გაქვთ იმის გარანტია, რომ ამ ჯგუფებში ხელისუფლების შემოგზავნილი ადამიანები არ იქნებიან და პროვოკაციებს არ მოაწყობენ.***

— დარწმუნებული ვართ, რომ პროვოკაცია იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას უკვე შემოგზავნილი ეყოლება კრებაში თავისი ხალხი. სახალხო კრება გახდა მთავარი სამიზნე ხელისუფლებისათვის. მერაბიშვილი და სააკაშვილი სახალხო კრებას აღიქვამენ, როგორც მთავარ საფრთხეს.

***— ამბობთ, როგორც მთავარ საფრთხეს, ისე აღგვიქვამენო, ამ დროს კი თქვენს მიერ ორგანიზებული ყველა ღონისძიების იგნორირებას ახდენენ.***

— ეს არის ძალიან ჭკვიანური მეთოდი. მათ შექმნეს ისეთი სიტუაცია, რომ ყველა მხრიდან ჩვენი ლანძღვა-გინება მოდიოდა. აი, ამიტომ არ აქტიურობს თავად ხელისუფლება. ჩვენ ვართ ალყაში. სააკაშვილმა ჩვენში დაინახა საფრთხე. ის მართალია, რადგანაც სახალხო კრება არის ის ძალა, რომელიც ამ რეჟიმს საფრთხეს შეუქმნის.



# საქართველოში გაუფილტრავ წყალს ვსვამთ

თეა მარხვაი ე

**საქართველოში ძალიან მძიმე სოციალური ფონია. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. საქართველოს პრეზიდენტი კი ამტკიცებს, რომ ჩვენთან ცხოვრება საამურია. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი იშვიათად ახსენდება ოპოზიციასაც. ისინი ამ ეტაპზე ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებული. მოძრაობა „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გაავრცელა. ის ოპოზიციას ხელისუფლების მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ ომში მონაწილეობისგან თავის შეკავებას ურჩევს. მისი აზრით, ოპოზიციამ და პოლიტიკოსებმა დღეს სხვა თემებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, ამის შესახებ მოძრაობა „თეთრების" ლიდერი „ახალ თაობას" ესაუბრება.**



ქვეყანაში თურქეთში აკრ ალული ქათმის ბარკლები შემოდის

**თემურ შაშიაშვილი:**

— ჩვენს ჯანმრთელობას ძალიან დიდი საფრთხე ელოდება. რასაც არც საზოგადოება და არც პოლიტიკოსები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. ხელისუფლებამ პოლიტიკოსებში გააჩაღა დიდი პოლიტიკური ომი. მთელი ყურადღება აქეთ არის გადატანილი. ამის უკან იმალება ის, რომ იყიდება ქვეყანა. საქართველოს გარეთაც ძალიან დამძიმდა ვითარება. დღეს არავის არ სჯერა, რომ საქართველოში ასეთი მძიმე სოციალური ვითარებაა.

***— რატომ ან ვის არ სჯერა, რომ საქართველოში მძიმე ვითარებაა?***

— მე ხშირად მიწევს საზღვარგარეთ წასვლა. ძირითადად იქ მივდივარ, როცა არჩევნები ტარდება. იმიტომ, რომ არჩევნებზე ძალიან დიდი რაოდენობით ჩადიან ხოლმე სხვადასხვა ქვეყნებიდან ექსპერტები. ამ ექსპერტებს ვცდილობ გავაგებინო, რომ საქართველოში კატასტროფული ვითარებაა. ვუხსნი, რომ საქართველოში პენსია არის 100 ლარამდე. მერე იმასაც ვამატებ, თუ როგორი მაღალი კომუნალური გადასახადებია ჩვენთან. ვეუბნები, რა ღირს კვების ძირითადი პროდუქტები. ისინი მეუბნებიან, ეს იმ ქვეყანაში როგორ მოხდება, რომელიც ასეთ დიდებულ კონცერტებს მართავსო. ისინი აპელირებენ ჩვენი პრეზიდენტის განცხადებებით. სააკაშვილი გამოდის და ამბობს, რომ ბათუმში უფრო მეტი შენდება ვიდრე მოსკოვშიო. ჩვენ გვაქვს უდიდესი პრობლემა. ვისაც ოდნავ მაინც აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ამაზე დაფიქრდეს. მათ ქვეყნის შიგნით არსებულ სოციალურ ვითარებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. როგორმე მთელ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ, რომ საქართველოში კლატასტროფული ვითარებაა, ხალხი ფაქტიურად შიმშილით კვდება. იმაზე აღარ ვსაუბრობ, რომ საქართველო ფაქტიურად ჩვენ აღარ გვეკუთვნის.

***— რას ნიშნავს, ჩვენ აღარ გვეკუთვნის საქართველო?***

— იმას, რომ არაბებმა იყიდეს ფოთი, ყულევი იყიდეს აზერბაიჯანელებმა, ხოლო ყაზახებმა ხელში ჩაიგდეს ბათუმის პორტი. უცხოელები ამას ვერ იჯერებენ. გაკვირვებულები მეკითხებიან, აბა, თქვენ რომელი პორტი დაგრჩათო. ვპასუხობ, რომ არც ერთი. ვერ ვაჯერებ იმაშიც, რომ საქართველო რომელიც არის სოფლის მეურნეობის ქვეყანა, ცხოვრობს გარედან შემოტანილი პროდუქტებით. ჩვენ შემოგვაქვს გარედან ქათმის ხორცი, ძირითადად — ბარკლები. ეს პროდუქცია საქართველოში თურქეთიდან შემოდის. დღეს საქართველო კვერცხის მდებელი ქათმის ხორცით იკვებება. სხვა ქვეყნებში ბარკლის გაყიდვა აკრძალულია.

***— სად არის აკრძალული და რატომ?***

— ბარკლის გაყიდვა თავად თურქეთშია აკრძალული, აღარაფერს ვამბობ ამერიკლასა და ევროპის ქვეყნებზე. კვერცხის მდებელი ქათმის ფეხებში ჩადის ყველა ავადმყოფობა, რომელიც ფრინველს სჭირს. ჩვენი ხალხი სწორედ ამ პროდუქციით იკვებება. ამის გარდა საქართველოში ისეთი ფქვილი შემოდის თურქეთიდან, რომლის გაყიდვაც თავად იმ ქვეყანაშია აკრძალული. ამას ემატება წყალის ხარისხი.წყალი, როგორც წესი, იწმინდება ქიმიურად, ბიოლოგიურად და მექანიკურად. ჩვენთან მარტო მექანიკური წმენდაა. ამას უცხოელები რომ ისმენენ, გიჟდებიან. მეუბნებიან, თქვენ ბატონო გენოციდი მოგიწყვიათ საკუთარი ხალხისთვისო. აინტერესებთ ამ ფონზე რატომ დუმან პოლიტიკოსები და ინტელიგენცია. ხელისუფლებამ გარე ფრონტზე ძალიან კარგად იმუშავა. მათ იყიდეს მსოფლიოში ცნობილი გაზეთები და ტელევიზიები. სადაც სააკაშვილი დროდადრო გამოდის. ამ მედიასაშუალებებით გაიძახის, რომ მაშინ, როცა მთელი მსოფლიო დაინგრა საქართველო აშენდა. ამის გარდა იგნორირება ხდება იმ პოლიტიკოსების, რომლებსაც ანალიზის უნარი გააჩნიათ. საზღვარგარეთ სააკაშვილის დაპიარებისთვის ძალიან დიდი ფული იხარჯება. ამდენი ფული სამუშაო ადგილების შექმნას რომ მოხმარებოდა, საქართველო იქნებოდა ძლიერი ქვეყანა. ძალიან ბევრი ფული იხარჯება ჭორების გავრცელებაში. დღეს იაგო თუ არა ხარ, სამსახურში არ მიგიღებენ. ვერ დავაჯერე უცხოელები იმაში, რომ 5-მილიონიანი საქართველოდან 1,5 მილიონი საზრვარგარეთ არის წასული ლუკმაპურის საშოვნელად. ვერაფრით დავაჯერე, როგორც უკვე გითხარით, რომ საქართველოში ასეთი მაღალი კომუნალური გადასახადებია. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენთან ყველაფერი უფრო ძვირია, ვიდრე ამერიკაში. ხედავთ, როგორ მოაწყო ხელისუფლებამ საქმე, რომ არავის არ სჯერა საქართველოში არსებული პრობლემებისა. ჩვენ ამ მხრივ ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ. ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ სააკაშვილი იტყუება.

***— საელჩოები ხომ არიან საქართველოში, ვითომ იმათ არ იციან, რა მდგომარეობაა ქვეყანაში?***

— როგორ არ იციან. ძალიან კარგად იციან. იციან, მაგრამ არაფერს არ იტყვიან. მათ დემოკრატიული საქართველო არ სჭირდებათ. მათ ისეთი საქართველო აწყობთ, რომელიც დენს, ნავთობს და გაზს გაატარებს. ამერიკელებმა თქვეს, რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა. და როგორ შეიძლება ტყილი იყოს? არ იტყვიან არაფერს იმიტომ, უკრაინაში ჩაფლავდნენ და არ უნდათ, საქართველოშიც იგივე დაემართოთ. ეს საქართველოსთვის ცუდად დასრულდება. მე ვუთხარი ექსპერტებს, წამოდით და ნახეთ, როგორ ცხოვრობენ უცხოეთში ქართველები. ვუთხარი, რომ მშობლების დაკრძალვაზე ვერ ჩამოდიან. იქ წასული ერთი კაცი აქ რამდენიმეს არჩენს. ხელისუფლებამ სათავისოდ გააკეთა დიდი რამე. პოლიტიკური ომი გააჩაღა ოპოზიციის შიგნით. ქართული ოპოზიციისადმი მსოფლიოში უკვე დაიკარგა კეთილი განწყობა. ოპოზიცია მთლიანად გასვარეს. ამიტომაც ძნელია უკვე დავაჯეროთ მსოფლიო, რომ საქართველოს მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს.

***— ქვეყანა ასეთ მდგომარეობამდე რომ მივიდა, ეს თავად ხალხის ბრალიც ხომ არის?***

— ხალხის ბრალი არაფერი არ არის. ყველაფერი არის პოლიტიკოსების ბრალი. პოლიტიკოსებმა მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე ხალხი. დამშეული და დაუძლურებული ხალხი სამართავად უფრო ადვილია. ჩვენი ხალხის სამართავად მოგონილია სპეციალური პროგრამა.

***— რა პროგრამაზე საუბრობთ?***

— ეს პროგრამა მოგონილია ქვეყნის გარეთ, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს მოსახლეობის დამშევა და დაავადმყოფება. ეს იმ წყლის მეშვეობითაც ხდება, რომელიც მხოლოდ მექანიკურად მუშავდება. დღეს ქართული წყალი არ ეკუთვნის საქართველოს. პატრიარქმა თქვა — ნუ გაყიდით წყალს და მიწას. ამათ არ დაუჯერეს და გაყიდეს. მერე ვინ იყიდა ეს წყალი? რუსებმა. ენერგეტიკა ეკუთვნის რუსებს. საზღვარგარეთ ჯერ ისევ ჰგონიათ, რომ ენერგეტიკა ეკუთვნის ამერიკელებს. სიმართლე როცა გაიგეს, გაგიჟდნენ. თქვეს, თქვენი პრეზიდენტი იმით ამაყობსო, რომ შუქი და გაზი გვაქვსო. მე ვუთხარი, ყველაფერი, რითიც ის ამაყობს ეკუთვნის რუსებს. აზერბაიჯანელები და სომხები საქართველოს ყიდვაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ლუკმაპური რომ აქვს დღეს ხალხს იმის დამსახურებაა, რომ აქედან წასულები ეხმარებიან. ლუკმაპურის შოვნა მონობითაა განპირობებული. ჯიხური რომ გახსნა საქართველოში, ვიღაცას ფეხქვეშ უნდა გაეგო. აქ მილიონერიც კი დამონებულია.

***— მილიონერი როგორღა არის დამონებული?***

— ეს ამბავი არც საზღვარგარეთ სჯერათ. მე ვამბობ, აბა, მაჩვენეთ მეწარმე, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ოპოზიციური პარტია დააფინანსა. ამას ხმამაღლა ვერავინ იტყვის. ამის გაკეთებას საქართველოში ვერავინ გაბედავს. მეწარმის თავისუფლება არის ნებისმიერი ქვეყნის საზომი. სამაგიეროდ მე ყველას ვაჩვენებ იმ მეწარმეებს, ვინც რამე გააკეთა და თავისი შემოსავლის 10% ნაციონალურ მოძრაობას ჩაურიცხა. ვითომ შემთხვევითია, რომ მადნეული და მსგავსი საწარმოები რუსეთის დუმის დეპუტატებს ეკუთვნით. უცხოელები გადაირივნენ, ეს რომ ვუთხარი. მე კიდევ უარესი ამბავი გავაგებინე. მათ იციან, რომ ამ კომპანიებში ხელმძღვანელ პოსტებზე არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები.

***— ვისზე საუბრობთ?***

— მიხეილ მაჭავარიანის და გია ბარამიძის ძმებზე.

***— სად მუშაობენ მათი ძმები?***

— ერთ-ერთის ძმა მუშაობს მადნეულში.

***— რომლის ძმა, უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვით?***

— რატომ არ გეტყვით, მადნეულში არის დასაქმებული მაჭავარიანის ძმა. ბარამიძის ძმა დასაქმებულია პორტში. ენერგეტიკის მინისტრის ოჯახის წევრები მუშაობენ სემეკში. ამაზე ოპოზიცია განგაშს არ ტეხს. იმიტომ, რომ ხელისუფლების წყალობით ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირდით. ამ დაპირისპირებას დიდი ენერგია მიაქვს. ამიტომაც მივმართე ყველას, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებას თავი დავანებოთ და მტრის წინააღმდეგ გავერთიანდეთ. დღეს საქართველოს ნაციონალებზე დიდი მტერი არა ჰყავს. ჩვენ ხელისუფლების სიძულვილით ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ქვეყნის სიყვარულით უნდა დავამარცხოთ ქვეყნის მოძულე ხელისუფლება, რომელიც დღეს გამოდის და მთელ მსოფლის ეტრაბახება, ქვეყანას დენი ჩემი მისვლის შემდეგ აქვსო. მალე გაირკვევა, რატომ არ ჰქონდა მაშინ საქართველოს დენი. იმ პერიოდში მოქკავშირის ხელმძღვანელი იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელიც შეგნებულად რთავდა ელექტროენერგიას. მალე გაირკვევა ისიც, რატომ ამოწყვიტეს სინამდვილეში აფრასიძეები.

***— ისინი რა შუაში არიან?***

— იმათ ისეთ რაღაცეებს აკეთებინებდნენ, რომ არ აწყობდათ ამის გამჟღავნება. მათ დენის გამორთვასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციები ჰქონდათ. დადგება დრო და ეს ყველაფერი გაირკვევა. კიდევ ბევრი რამე გაირკვევა. დღეს კი ქვეყანა თავზე გვემხობა. არ გჯერათ? მე ვალდებული ვარ, ეს ვთქვა. ვისაც გჯერათ, დაიჯერეთ.ვისაც არ გჯერათ, გაეგეთ ამ ხელისუფლებას ფეხქვეშ.

# რუსეთი მერაბიშვილის წინააღმდეგ ახალ გეგმას ამუშავებს

**— ჩათვალა რა რუსეთმა, რომ ოპოზიციური სპექტრიდან ბევრი არაფერი გამოვიდა, უახლოეს მომავალში თვითონ ხელისუფლების შიგნით მიმდინარე კლანებს შორის ბრძოლას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს და მიიღებს ისეთ ახალ ხელისუფლებას, რომელიც უფრო მეტად მოემსახურება მის ინტერესებს. ეს ბრძოლა პრაქტიკულად 2010 წლის ბოლოს, 2011 წლის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, გახსნილად გამოცხადდა, — აცხადებს სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე.**

**აფასებს რა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი რუსეთის ხელისუფლების ბოლო ნაბიჯებსა და ვლადიმერ სანაკოევის აღიარებით ჩვენებას, მიუთითებს, ძალიან საინტერესო თემაა, რატომ მოხდა ყურადღების გამახვილება სანაკოევის განცხადებაში შს და უშიშროების მინისტრ ვანო მერაბიშვილზე. მამუკა გიორგაძის თქმით, ეს გარკვეულწილად იყო ტალახის სროლა მერაბიშვილზე.**



## ხელისუფლების შიგნით დაპირისპირება გარდაუვალია

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო მამუკა, ერთის მხრივ ვხედავთ, როგორ აქებენ რუსები მერაბიშვილს და პოლიციის რეფორმას. მეორეს მხრივ კი მიანიშნებთ, რომ სანაკოევის მიერ მერაბიშვილის ხსენება გარკვეულწილად მასზე ტალახის სროლაა. რაზე მიანიშნებს ეს ყველაფერი?***

— მართალია, მერაბიშვილს რუსეთში აქებენ. სწორედ ამაშია საქმე. შესაძლებელია აქ ორი რუსული სპეცსამსახური ერთმანეთს ეჯახებოდეს.

***— ფიქრობთ, რომ ვიღაცას რუსეთში უკვე აღარ აწყობდეს მერაბიშვილის მინისტრობა?***

— როგორც ჩანს, მეორე ნაწილს სურს გარკვეულწილად მისი ჩაჩოჩება. თუ გავითვალისწინებთ გარკვეული ჯგუფების მიერ შეტევას შს სამინისტროს რეფორმირებაზე, უკვე ეს ინტერესი თვალნათელი ხდება.

***— გამოდის, ეს თემა საკმაოდ დიდხანს იტრიალებს.***

— მე ვფიქრობ, ჩათვალა რა რუსეთმა, რომ ოპოზიციური სპექტრიდან ბევრი არაფერი გამოვიდა, უახლოეს მომავალში თვითონ ხელისუფლების შიგნით მიმდინარე კლანებს შორის ბრძოლას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს და მიიღებს ისეთ ახალ ხელისუფლებას, რომელიც უფრო მეტად მოემსახურება მის ინტერესებს. ეს ბრძოლა, პრაქტიკულად, 2010 წლის ბოლოს 2011 წლის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, რომ გახსნილად გამოცხადდა.

***— როგორ ფიქრობთ, სანაკოევის გარდა სხვების აღიარებით ჩვენებებსაც მოვისმენთ?***

— ალბათ. მოვისმენთ სხვადასხვა ინფორმაციებს, სხვადასხვა მასალას ამა თუ იმ კლანის საქმიანობის შესახებ. უფრო სწორად, ახალ მასალას ვერ მოვისმენთ. თქვენ რასაც საუბრობდით, ამ წლების განმავლობაში იგივე თემები იქნება გაჟღერებული. უბრალოდ დოკუმენტურად და თვითმხილველების მხრიდან დასაბუთებული. ისე როგორც გარკვეულ პიროვნებებს აქვთ დოკუმენტები და ჩვენ უბრალოდ ანალიზით და ფაქტებით ვიცით და შეფასება შეგვიძლია მოვლენების, ისინი დადებენ დოკუმენტებს. მაგალითად, სანაკოევის აღიარებითი ჩვენება პრაქტიკულად არის დადასტურება იმისა, რასაც ეროვნული პარტიები ვამბობდით, რომ ეს არის რუსული პროექტი. ბევრი სხვა თემა. ისე როგორც თავის დროზე, 99 წელს როცა მოქალაქეთა კავშირმა გაიმარჯვა არჩევნებში რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით, 1999 წელს ჯერ კიდევ და ჟვანია-სააკაშვილის გამარჯვება, ხელისუფლებაში მოყვანა უზრუნველყო, და ეს ჩვენ ყველაფერი ვიცოდით, შევარდნაძემ აგერ ახლახან გამოიტანა ამის დოკუმენტები ვინმე სიტნიკოვის 12-კაციანი ჯგუფი რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები, როგორ ახორციელებდა ამ საქმეს. ასე რომ, ახალს კი არ იტყვიან, მაგრამ ამ დოკუმენტალურ მასალას წარმოადგენენ. რადგან პრესა-ტელევიზია მათგან მართავადია, ამას ისეთი საბურველით შემოსავენ, რომ მოსახლეობა პირს დააღებს და ჩაერთვება კლანებს შორის ამ ბრძოლაში, რომელიც ბუნებრივია მოსკოვიდან იქნება მართული. ცოტა ხანში შემდგომ უკვე არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის ჩანაცვლების საკითხიც დადგეს.

# ხელისუფლება ახალი პროვოკაციისთვის ემზადება

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ რამაზ კლიმიაშვილთან

***— ბატონო რამაზ, 7 წლის წინ, 2004 წლის 25 იანვარს სააკაშვილის ინაუგურაცია გაიმართა. მის ინაუგურაციაზე თქვენც იყავით მიპატიჟებული. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს 7 წლის შემდეგ?***

— გეთანხმებით, 25 იანვარს სრულდება ზუსტად 7 წელი სააკაშვილის საქართველოს ტახტზე ასვლიდან. რატომ შეირჩა მაინცდამაინც 25 იანვარი, იმიტომ, რომ ამ დღეს დაბადების დღე აქვს საქართველოს ექსპრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. თუ არ ვცდები, ბატონ ედუარდს 85 წელი უსრულდება. საერთოდ სააკაშვილის ქმედებებში რომ გაერკვე, მეც ბევრჯერ მითქვამს და სხვებსაც უთქვამს, რომ საჭიროა ფსიქიატრი, მე კი მაგდენი ნამდვილად არ შემიძლია, რომ სააკაშვილის აზროვნებას ჩავწვდე, მხოლოდ ასპირანტურის პირველ კურსზე ვსწავლობდი ფსიქოლოგიას, თუმცა, ჩემი ცოდნა მაძლევს ნებას, გამოვთქვა აზრი, რომ ეს ყველაფერი შევარდნაძის ჯინაზე გააკეთა, გადატრიალებიდან ორი თვის თავზე და მაინცდამაინც მის დაბადების დღეზე, იმდენად ვერ იტანდა შევარდნაძეს. ყველამ კარგად ვიცით, რომ შევარდნაძის ფავორიტი იყო ზურაბ ჟვანია და როგორც ჩანს, ამაზე ეჭვიანობდა და იბოღმებოდა. ჩვენ ვიცით ასევე როგორ ვერ იტანდა ასლან აბაშიძეს, ბათუმს რასაც უშვება, ამ ყველაფერს მხოლოდ ასლან აბაშიძის ჯინაზე აკეთებს. ამით ეუბნება — ჩემია ბათუმი, შენი კი არ არის. 7 წლის წინ გამართულმა ინაუგურაციამ რა უბედურებებიც მოგვიტანა, ყველამ კარგად ვიცით. მე მინდა ვიყო ობიექტური და ვთქვათ, 2003 წლის რევოლუცია რომ მოხდა, ჩვენთან ისმის შეფასებები, რომ მიშა ამერიკელებმა ჩამოიყვანეს, ამერიკელებმა დაგვისვეს და მათვე წაიყვანონ. მაპატიეთ, მაგრამ ეს არის არასერიოზული.

***— რატომ, ამერიკელები არ დახმარებიან სააკაშვილს?***

— სინამდვილეში მიშა ამერიკის ხელისუფლებას კი არ დაუსვამს, არამედ სწორედ ამერიკის ხელისუფლებასთან დაპირისპირებულმა ჯორჯ სოროსმა, რომელიც ბუშს ვერ იტანდა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს ჰყავდა ამერიკის სენატშიც მფარველი, მაკკეინის სახით. მაკკეინმა სააკაშვილს ჯანშანჟილეტიც კი აჩუქა, რომელიც მიშას პარლამენტში შევარდნის დროს ეცვა. კიდევ ერთ საინტერესო დეტალს გეტყვით, 2003 წლის ნოემბრის დასაწყისში რევოლუცია ჩაფიქრებულიც კი არავის ჰქონდა. არჩევნებზე სააკაშვილი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა, მაგრამ ეს გამარჯვება ვერ მოიპოვა. შემდეგ სიტუაცია უკიდურესად რომ დაიძაბა სოროსის ფსონი, რასაკვირველია, სააკაშვილზე იყო, მაგრამ ამერიკის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, შევარდნაძის კარნახით, რადგან მაშინ დიდი კონტაქტები იყო შევარდნაძესთან, ჩამოდიოდნენ მაღალი თანამდებობის ხალხი. იმ პერიოდში სააკაშვილზე გაცილებით მაღალი რეიტინგი ბურჯანაძეს ჰქონდა, ჟვანია კი შევარდნაძის ფავორიტი იყო. შევარდნაძის სურვილი იყო, რომ პრეზიდენტი ბურჯანაძე გამხდარიყო, ხოლო პრემიერი — ზურაბ ჟვანია, ამას ამერიკის მთავრობაც უჭერდა მხარს. სხვა ბევრსაც შეუძლია ამის დადასტურება, ვისაც ნანახი აქვს შედგენილი სია, მომავალი მთავრობის, ზუსტად ვიცი, რომ სააკაშვილს ამერიკის მთავრობა გენერალური პროკურორის პოსტს სთავაზობდა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამერიკის ხელისუფლებას არ დაუსვამს სააკაშვილი, სააკაშვილმა თავისი თავი თვითონვე გაიპრეზიდენტა სოროსელების დახმარებით, ეს არის რეალობა.

***— ბუშმა სააკაშვილს ხომ დემოკრატიის შუქურა უწოდა...***

— მოგვიანებით ბუშს მართლაც მოეწონა სააკაშვილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოვიდა, ბუში არ ელოდა, ისეთი დახვედრა მოუწყვეს. ჯორჯ ბუშს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ქონია ასეთი დახვედრა, ყველგან პამიდვრებით, ლაყე კვერცხებით და ბატინკებითაც ხვდებოდნენ. სააკაშვილმა კი ერთ-ერთ ქუჩას ბუშის სახელიც კი უწოდა და შეგვირცხვინა ქვეყანა. მოკლედ, სააკაშვილის 7 წელი არის საქართველოს სირცხვილი, პატარ-პატარა რაღაცები გააკეთდა, თუმცა, ამაში სააკაშვილის დიდი წვლილი არ არის, ის მხოლოდ იმისთვის ხარჯავს მილიონებს, რომ ახალი წლის ღამეს კონცერტები მოაწყოს. ბათუმში და



მესტიაში მილიონების დახარჯვა კონცერტებში, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობს, ეს არის დანაშაული ერის წინაშე, იმიტომ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ეწყობა ასეთი რამე. რადგან ასეთი დამთხვევაა და არის შევარდნაძის დაბადების დღეც, მოდით, გავიხსენოთ, როგორ სიტუაციაში მოვიდა შევარდნაძე, შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი პრეზიდენტი, იმიტომ, რომ როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს ყველა აღიარებს, რომ შევარდნაძის დროს მცირე დემოკრატია მაინც იყო და სააკაშვილმა ესეც მოსპო.

***— იმ პერიოდში მედია მაინც იყო თავისუფალი...***

— მედია თავისუფალი იყო, იყო ტელევიზიები, რომელსაც ჩვენ ჩავრთავდით და მოვისმენდით განსხვავებულ აზრს. შევარდნაძის დროს რაც ცუდი იყო, ყველამ ვიცით, მაგრამ კარგიც არ უნდა დავუკარგოთ. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, საქართველოში იყო სრული ქაოსი, აბსოლუტური და დიდი დრო დაჭირდა სიტუაციის დალაგებას. პირველი, რაც მან გააკეთა, შექმნა სრულიად ახალი ინსტიტუცია, რომლის მსგავსი საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. ეს იყო შევარდნაძის იდეა, რომ შეექმნა მძლავრი ადამიანის უფლებათა და ეროვნებათა შორის კომიტეტი — ასე ერქვა. მან შეკრიბა ხალხი, რომლებიც არასოდეს სახელისუფლებო სტრუქტურაში არ ყოფილან. მან ამ კომიტეტს სათავეში ჩაუყენა თავისი ფავორიტმ, როგორც იმ დროს მოიაზრებოდა მის შემცვლელად სანდრო კავსაძე, დღეს ის ბერად არის აღკვეცილი რომელიღაც მონასტერში. ეს იყო ძალიან მძლავრი ორგანო, სრულიად ახალი, დემოკრატიის სამჭედლო ეწოდა მაშინ. ამ კომიტეტში იყვნენ იგივე მიშა სააკაშვილი, გია ბარამიძე, პეტრე მამრაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გოგი ხუციშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, იყვნენ პროფესორები, ლია მელიქიშვილი და ასე შემდეგ, სხვათა შორის, მეც იქ ვიყავი. არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა საბჭოთა სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება, არც ერთს. შევარდნაძე ქმნიდა რაღაც ახალს, უნდოდა, რომ დემოკრატია შექმნილიყო. ეს ინსტიტუტი იყო იმისათვის, რომ შეექმნა საფუძველი ქართული დემოკრატიისთვის. ვინ არია ყველაფერი, თუ იცით?

***— ალბათ სააკაშვილმა...***

— საუბედუროდ, იქ აღმოჩნდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც მანმადე არსად არ ემუშავა, თუ კაკებს არ ჩავთვლით. იცით, როგორ შედარებას გავაკეთებ, ერთი კასრი თაფლი რომ მოიტანო და შიგ ერთი წვეთი მაზუთი ჩააწვეთო, ხომ წარმოგიდგენიათ, რაც მოუვა იმ თაფლს. ყველაფერი არივ-დარია.

***— საერთოდ, რატომ მოიყვანა სააკაშვილი შევარდნაძემ?***

— ეს უფრო ბიძამისის, თემურ ალასანიას ნამუშევარია. იმ პერიოდში სააკაშვილის ბიძა ნიუ იორკში იჯდა, იმ დროს აფხაზეთის ომი იყო, როგორც ჩანს, ალასანია დაუკავშირდა სანდრო კავსაძეს და სანდრო კავსაძემ მოიყვანა მიშა და მე ჩამაბარა. იმ პერიოდში საგარეო ურთიერთობებს მე ვკურირებდი. მეცინება, ის პერიოდი რომ მახსენდება. რას ვიზამთ, იყო ეს დრო... ვიმეორებ, ეს იყო შესანიშნავი იდეა, რომლისთვისაც მხოლოდ მადლობა უნდა ვუთხრათ შევარდნაძეს. ერთადერთი მინუსი სააკაშვილი იყო, მიშა რომ იქ არ ყოფილიყო, ბევრი რამე გაკეთდებოდა, მაგრამ გვყავდა შიდა რევოლუციონერი. რადგან დავინახე, რომ კომიტეტი აღარ მუშაობდა, შემდეგ მე დიდხანს ჟენევაში ვიჯექი, ვეჯებდი სხვადასხვა ვარიანტს და ჩამოვიტანე ომბუდსმენის ინსტიტუტი. ამასაც დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, სხვათა შორის, არ უნდოდათ დამოუკიდებელი ომბუდსმენის ინსტიტუტი, აი, ისეთი დამოუკიდებელი, სოზარ სუბარის დროს რომ იყო. თუმცა ისევ შევარდნაძის დამსახურებაა, რომ მან მხარი დაუჭირა ამ ინსტიტუტის შექმნას. თავდაპირველად ომბუდსმენად სანდრო კავსაძის კანდიდატურის დასახელება გვინდოდა, მაგრამ როდესაც შევარდნაძემ წამოაყენა მისი კანდიდატურა, მირეკავს სააკაშვილი და მეუბნება: რამე გავაკეთოთ, არ უნდა გავიდეს მისი კანდიდატურაო, ისე მოხდა, რომ პარლამენტმა ჩააგდო მისი კანდიდატურა. ცოტა ხნის შემდეგ შევარდნაძემ ახალი კანდიდატურა წამოაყენა — გოგი ხუციშვილის. ამჯერად უკვე ჟვანიამ დამირეკა — ეს კარგი კანდიდატურაა და მოდი, მხარი დავუჭიროთ, აუცილებლად მოდიო. მეც მივედი მხარდასაჭერად, ე.ი. შევარდნაძე უჭერს მხარს, ჟვანია უჭერს მხარს და მოულოდნელად ისევ ჩავარდა. აღმოჩნდა, რომ ისევ მიშას არ მოეწონა. იმ დროიდან არ უნდოდა, რომ ძლიერი დამოუკიდებელი ინსტიტუტი ყოფილიყო ადამიანის უფლებათა დაცვის და მიაღწია კიდეც. თავის დროზე სუბარი იმიტომ დანიშნა, რომ თავისუფლების ინსტიტუტიდან იყო, რას იფიქრებდა, რომ ეს კაცი უცებ სოროსის ჯაჭვებს მოიცილებდა და მართლა ომბუდსმენი გახდებოდა.

***— 7 წელი გავიდა უკვე, დღეს აქტიურად საუბრობენ, რომ ამერიკა მხარს არ დაუჭერს სააკაშვილს მესამედ მოსვლაში, როგორია თქვენი პროგნოზები?***

— ვინმე რომ გამოჩნდეს ამ მომენტში ისეთი, რომელიც ლიდერობას სერიოზულად აიღებს თავის თავზე, რასაკვირველია, შვებით ამოისუნთქავს, რადგან მათ ჰაერივით სჭირდებათ სააკაშვილის შემცვლელი, იმიტომ, რომ ისინი ხედავენ, რომ სააკაშვილი ქვეყანას არ მართავს, იმიტომ, რომ მან არც იცის ქვეყნის მართვა, მას ურჩევნია, საზღვარგარეთ იჯდეს ან ბათუმში. ასეულობით მილიონი დახარჯა უზარმაზარ სასახლეზე და ბათუმის შერატონში ცხოვრობს. კიდევ ერთი რამ მინდა გითხრავ, რასაც დასავლეთში ხშირად მეუბნებიან. მიშას ბევრ რამეს უთმენენ ქალბატონი სანდრას პატივისცემის გამო, ისეთ რამეებს პატიობენ, რასაც სხვას არ აპატიებდნენ. სანდრა დიდი პატივისცემით სარგებლობს, ეს ჩემთვის სხვადასხვა ქვეყნის ელჩებსაც აქვთ ნათქვამი. მიშას პოპულარობა თავის კარიერის დასაწყისში დასავლეთში სწორედ ქალბატონმა სანდრამ მოუტანა, რომ ჰოლანდიიდან ჰყავს მეუღლე. პირველი ინაუგურაცია რომ ჩატარდა, ეს ქალბატონი ნამდვილი ვარსკვლავი იყო, მე მაშინ ინაუგურაციაზე მიწვეულიც კი ვიყავი. მე ყველაფერს გეუბნებით იმას, რაც ჩემი თვალით მაქვს ნანახი და ჩემი ყურით მაქვს გაგონილი. სააკაშვილი არის პროვოკატორი, მას პროვოკატორობის მეტი არაფერი არ შეუძლია. ის შავი ასოებით შევა ისტორიაში.

***— სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილი ახალ პროვოკაციაზე წავაო...***

— არ არის გამორიცხული, რომ წავიდეს, აბა, რისთვის გაუხსნა ჩეჩნებს საზღვარი. არაერთხელ დაიწერა რუსულ პრესაში, რომ ის აქეზებს და აფინანსებს კიდეც ჩეჩენ ტერორისტებსო. ყველამ კარგად იცის, რომ ჩრდილო კავკასიაში არის უზარმაზარი ტერორისტული ორგანიზაცია და თუ დამტკიცდა, რომ საქართველოდან შედის ფული, მაშინ გადაგვივლიან და ჩვენგან მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება. არ გვინდა, რომ ეს მოხდეს? საკმარისია, 7 წელიწადი ხომ ვითმინეთ, შექსპირის სიტყვებისა არ იყოს, „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს!“ ნამდვილად დადგა იმისი დრო, რომ მიშა წავიდეს!

## აფეთქებისას დაშავებული მაღაროელის მდგომარეობა კვლავაც მძიმეა

ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში 22 იანვარს მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავებული, 56 წლის ვიტალი ტურძელაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც მძიმედ რჩება. როგორც „მედიანიუსს“ თბილისის დამწვრობის ცენტრში განუცხადეს, მას სხეულის 60 პროცენტისა და სასუნთქი გზების დამწვრობა აქვს მიღებული. იგი შოკის მდგომარეობიდან გამოვიდა, თუმცა მისი მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა. ვიტალი ტურძელაძეს მკურნალობის კურსი რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში უტარდება.

ამავე განყოფილებაში მკურნალობს შედარებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი კიდევ ორო მაღაროელი: 60 წლის მამული კუბლაშვილი და 67 წლის ნუგზარ ჯავახიძე. კუბლაშვილს სხეულის 15 პროცენტისა და სასუნთქი გზების, ხოლო ჯავახიძეს 10 პროცენტისა და სასუნთქი გზების დამწვრობა აღენიშნებათ. ისინი შოკიდან უკვე გამოვიდნენ. შეგახსენებთ, რომ ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში 21 იანვარს ღამით მომხდარ აფეთქებას 36 წლის მერაბ კალანდაძე ემსხვერპლა, ოთხი მაღაროელი კი დაშავდა.

**მედიანიუსი**

## იმერეთში განმეორებითი მიწისძვრა მოხდა

იმერეთში მიწისქვეშა ბიძგები გუშინ დილით ისევ განმეორდა. როგორც „მედიანიუსს“ სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, თბილისის დროით 07.51 საათზე მომხდარი განმეორებითი ბიძგების სიმძლავრემ 4,4 მაგნიტუდა შეადგინა. ეპიცენტრი ბაღდათის რაიონის ტერიტორიაზე, კურორტ საირმიდან 5 კილომეტრის დაშორებით იყო. განმეორებით ბიძგებს ნგრევა არ მოჰყოლია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ძლიერი მიწისძვრა 19 იანვარს მოხდა. მას შემდეგ მიწისქვეშა ბიძგები რამდენჯერმე განმეორდა.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი ხელისუფლებაში ოპოზიციამ დატოვა

## რატომ აწიოკებენ გარემოვაჭრეებს

შორენა გონგლა ე



**ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან**

***— ბატონო გიორგი, უცხოელი ექსპერტების გათვლით, უახლოეს ხანში მსოფლიოს 37 ქვეყანაში მოსალოდნელია სოციალურ ნიადაგზე აფეთქება, ამ სიაში კი საქართველოს მეოთხე ადგილი უჭირავს. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ამის ნიშნები საქართველოში?***

— არავისთვის არ არის ახალი, რომ ქვეყანაში არის მძიმე სოციალური ფონი, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ხელისუფლება ამბობს, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. სამწუხაროდ, ეს ასე ნამდვილად არ არის. ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა სამუშაო ადგილის გარეშე და ეს მოხდა ხელისუფლების მიერ გატარებული მცდარი პოლიტიკის შედეგად. ბოლო წლებში აიკრძალა გარევაჭრობა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა იმ ადამიანებს, რომლებიც ამით ირჩენდნენ თავს. ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა მაღაზიები და სავაჭრო პუნქტები. ეს არის იმის შედეგი, რომ ავიწროებენ მცირე ბიზნესს. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი საკმაოდ მძიმედ აისახება მოსახლეობაზე. ამ ფონზე ხდება ფასების კატასტროფული მატება საკვებ პროდუქტებზე, რაც კიდევ მეტად ართულებს შექმნილ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, ის, რომ უკმაყოფილება წლების მანძილზე იყო მოსახლეობაში, ამას ემატება დამძიმებული სოციალური ფონი, რაც საბოლოოდ მიგვიყვანს თავის ლოგიკურ დასასრულამდე.

***— ლოგიკურ შედეგში რას გულისხმობთ?***

— თავისთავად მოსალოდნელია სოციალურ ნიადაგზე ხალხის მღელვარება და გამოსვლები, რაც ძალიან ცუდად დაუმთავრდება ამ ხელისუფლებას. საქმე ის არის, რომ არ არსებობს ამ ეტაპზე გამოკვეთილი ლიდერი. როდესაც ვამბობ, რომ ამ ოპოზიციის მცდარმა ნაბიჯებმა სააკაშვილს გაუხანგრძლივა ხელისუფლებაში ყოფნა, ეს არის რეალობა. ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელსაც დღეს სიტუაცია მიჰყავს და ძალიან საეჭვოდ აპიარებენ ტელეარხები, რომ გადაედგათ სწორი ნაბიჯები, შესაძლოა, ეს ხელისუფლება დიდი ხნის დამთავრებული ყოფილიყო. მაგრამ ვინაიდან ოპოზიციამ ხალხს გაუცრუა იმედები, აქედან გამომდინარე, საზოგადოება ვერ ხედავს რეალურ დასაყრდენს და ჯერჯერობით ეს საკითხი უცვლელია. ხელისუფლება ბარბაროსულად მოექცა დევნილებს. ისინი გამოყარეს ქუჩაში ყოველგვარი ალტერნატიული ფართისა და კომპენსაციის გარეშე. გარემოვაჭრეები დააწიოკეს გორში, სამასამდე ადამიანი დარჩა ლუკმაპურის გარეშე, ბევრ მათგანს გაუნადგურეს საქონელი, რითიც ისინი ვაჭრობდნენ. პრობლემა არის ის, რომ ამ ადამიანებს აქვთ ბანკის კრედიტი აღებული და ისინი ვაჭრობით იხდიდნენ ამ ფულს, უმუშევრობა კი მათთვის ქმნის დიდ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ძალიან ბევრს აშავებს თავისი ხალხის წინაშე, ხელისუფლება უშვებს უამრავ შეცდომას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მე არ ვარ მომხრე ქვეყანაში რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლის. გამოსავალი არის ის, რომ ოპოზიცია და საზოგადოება გაერთიანდეს და ვაიძულოთ ხელისუფლება, გადადგას სწორი ნაბიჯები იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად, ვინც ჩვენი საზოგადოება მოიყვანა ამ მდგომარეობამდე. სასურველია გამოიკვეთოს ოპოზიციიდან ისეთი ძალა, რომელსაც რეალურად გული შესტკივა ხალხზე და არა ისეთი, ვინც ხალხის გულწრფელი ემოციები სათავისოდ გამოიყენა, ფარულად გაურიგდნენ ხელისუფლებას და ამით, ერთი მხრივ, სააკაშვილს შეუნარჩუნეს ხელისუფლებაში ყოფნა და, მეორე მხრივ, გაისქელეს ჯიბეები. მიმაჩნია, რომ ჩვენმა ხალხმა ამ მდგომარეობასთან, რაშიც იმყოფება, პასუხი უნდა მოსთხოვოს არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც იყო ხელისუფლებაში, შემდგომ გადმოვიდნენ ოპოზიციაში და დაიწყეს საზოგადოების გაბრიყვება. ისინი ხელისუფლებასთან ერთად არიან დამნაშავეები, რომ ეს საზოგადოება ამ დღეში ჩააგდეს.

***— თქვენ ახსენეთ ფასების მატება, ამ ყველაფრის მიზეზად ასახელებენ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც საკმაოდ მძიმედ აისახა საქართველოზეც, რა შეიძლება გააკეთოს ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ?***

— ხელისუფლება, რომელიც აწიოკებს გარემოვაჭრეებს, მცირე მეწარმეებს და საკუთარ დევნილებს თავის ქვეყანაში კიდევ ერთხელ აქცევს დევნილებად, ხელისუფლება ამით ამწვავებს ამ მძიმე მდგომარეობას. რაც შეეხება გლობალურ პრობლემებს, თავისთავად ამის რეგულირების მექანიზმები შეიძლება ხელისუფლებას არ გააჩნდეს, თუმცა შეიძლება სხვადასხვა მექანიზმით გარკვეულწილად მაინც შეჩერდეს ფასების მატება და დაბალანსდეს ფასები. მიმაჩნია, რომ ამის ბერკეტები უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას, მაშინ როდესაც ათიათასობით დოლარს უხდიან უცხოელ მომღერლებს და ამ მშიერ ხალხს აყურებინებენ ტელევიზიით იმათ როკვას. თუ ხელისუფლებამ არ გამოასწორა მეტ-ნაკლებად ეს მდგომარეობა, სოციალურ ნიადაგზე ხალხის გამოსვლები გარდაუვალი იქნება.

***— რაც შეეხება მგზავრობის საფასურის მატებას, ამ შემთხვევაში რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო?***

— სრულიად არაკანონიერად მიმაჩნია მუნიციპალურ ტრანსპორტზე ფასების მატება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ავილოთ თუნდაც მეტროპოლიტენი, ვერ ვიტყვით იმას, რომ საწვავზე ფასების მატების გამო გაიზარდა მგზავრობის ღირებულება, აქედან გამომდინარე, როდესაც ქვეყანას გააჩნია იმის ბერკეტი, რომ რამენაირად შეაჩეროს ფასების მატება თუნდაც მხოლოდ ტრანსპორტზე და ამას ხელისუფლება არ აკეთებს, ეს არის დანაშაული შენი ხალხის წინაშე. მაგრამ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ბიუჯეტში აქვს სერიოზული გარღვევა და ისევ ხალხის ჯიბიდან გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება. ეს ყველაფერი რომ ჩვენს მოსახლეობას აწვება მძიმე ტვირთად, ადრე თუ გვიან მივა თავის ლოგიკურ დასასრულამდე, ამაზე ხელისუფლება რატომღაც არ ფიქრობს.

***— თუ წინა წლებს გადავხედავთ, ხალხი გამოდიოდა ძირითადად პოლიტიკური მოთხოვნებით. დღეს უკვე ძირითადად არის სოციალური მოთხოვნები. რამდენად საშიშია ეს ყველაფერი ხელისუფლებისათვის?***

— დღეს ქართული ელიტური ოპოზიცია იმყოფება პოლიტიკურ ნოკაუტში სააკაშვილის მიერ. აქედან გამომდინარე, ხალხს არ აქვს რომელიმე პოლიტიკური ლიდერის მიმართ ისეთი ნდობა, რომ გამოვიდეს ქუჩაში გარკვეული მოთხოვნებით, მაგრამ ამ ყველაფერს უკვე დაემატა სოციალური მოთხოვნები, რაც უფრო მეტად ამძიმებს სიტუაციას და მეტი საშიშროება იქმნება ხელისუფლებისათვის. შესაძლოა, საზოგადოება გამოვიდეს სოციალური მოთხოვნებით და ამისათვის საერთოდ არ იქნეს საჭირო რომელიმე პოლიტიკური ლიდერის მხარდაჭერა. მაგრამ, უნდა დავფიქრდეთ, რას მოგვიტანს ეს ყველაფერი. თავისთავად, ამაზე ნამდვილად არის საფიქრალი და არა ის, რომ ცხელ გულზე მივიღოთ რაიმე გადაწყვეტილება. მოდით, ამ საკითხს ცოტა სხვანაირად შევხედოთ — დავუშვათ, გადადგა სააკაშვილის ხელისუფლება. ფაქტია, ეს მდგომარეობა უცბად ვერ გამოსწორდება. პოლიტიკური კურსის შეცვლა არ არის დაკავშირებული სამუშაო ადგილების შექმნასთან, აქ უფრო მეტი გათვლა და დაფიქრებაა საჭირო, მით უმეტეს, რომ დღეს არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც თავის თავზე აიღებს სახელმწიფოს მართვას და პრობლემის გადაწყვეტას. ამიტომაც ჩვენ, პოლიტიკური პარტიები, უნდა ვემზადოთ არჩევნებისათვის და დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოება, რომ ნაციონალურ მოძრაობას აღარ აქვს ქვეყნის მართვის უნარი და მათ არჩევანი გააკეთონ ისეთ პოლიტიკურ ძალაზე, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ამ მძიმე მდგომარეობიდან.

***— თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანაში არ არის ძალა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს პრობლემების მოგვარებას. არჩევნებამდე რა შეიძლება შეიცვალოს ამ კუთხით?***

— ოპოზიციამ ახლა მაინც უნდა ისწავლოს ჭკუა, უნდა მოხდეს მთელი რიგი საკითხების გარშემო გაერთიანება და ჩვენს საზოგადოებას უნდა დავანახვოთ ერთი რამ, რომ არა კარიერისთვის იბრძვის ჩვენი ოპოზიცია, არამედ ხალხის პრობლემების გადაწყვეტისთვის. თუ საზოგადოებამ ეს რეალურად დაინახა, თავისთავად, ის მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც მათ დაუდგება გვერდით. სწორედ ამის გამოკვეთაა საჭირო და ერთ რამეს გეტყვით, თუ ოპოზიცია გააქტიურდება და მათ შორის სოციალურ პრობლემებზეც გაამახვილებს ყურადღებას, ხელისუფლება იძულებული გახდება, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდეს დათმობებზე ხალხის საკეთილდღეოდ. სამარცხვინოა, როდესაც ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს ლანძღავენ, ერთმანეთს ელაპარაკებიან კომპრომატების ენით და ამ ფონზე რჩება მოგებული სააკაშვილი, ნაციონალური მოძრაობა. ხელისუფლება ბედავს, შუა ზამთარში დევნილები გამოყაროს ქუჩაში, დააწიოკოს გარემოვაჭრეები და ასე შემდეგ. ოპოზიცია რომ იყოს ძლიერი, მერწმუნეთ, ხელისუფლება ამას ნამდვილად ვერ გაბედავდა. თუ ოპოზიცია იქნება მიზანმიმართული და იმოქმედებს კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, ბევრი საკითხის გადაწყვეტა იქნებოდა შესაძლებელი

# გამსახურდია შევარდნაძის, გუგუშვილის, ბალუაშვილის, მარგიანის დაკითხვას მოითხოვს

ნანა მიშელაშვილი

**თებერვალში პარლამენტი პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის საბოლოო დასკვნას მოისმენს. საბოლოო დასკვნა უკვე მომზადებულია და ის 14-23 თებერვლის ფარგლებში გამოქვეყნდება.**

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის ხელმძღვანელმა კონსტანტინე გამსახურდიამ პირველი პრეზიდენტის საქმის განახლების თხოვნით პრეზიდენტს, იუსტიციის მინისტრსა და უშიშროების საბჭოს მდივანს მიმართა.

მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და გიგა ბოკერიას უკვე გადაეგზავნა კომისიის თავმჯდომარის მიმართვა, რომელშიც რამდენიმე რეკომენდაციაა. კომისია საქმე ნომერი 7494802-ის განახლების რეკომენდაციას იძლევა. კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე აღძრული საქმე უნდა განახლდეს.

კომისია ასევე ითხოვს იმ ადამიანების დაკითხვას, რომლებთან გასაუბრებაც ვერ მოახერხა. კერძოდ, საუბარია: ედუარდ შევარდნაძის, ბესარიონ გუგუშვილის, ანზორ ბალუაშვილის, ავთანდილ მარგიანის და უშიშროების სხვადასხვა ოფიცრების დაბარებასა და მათ დაკითხვაზე.



პარლამენტის კომისიას, დროებითი კომისიის სტატუსი ჰქონდა და არა საგამოძიებო, ამდენად, კომისიამ მხოლოდ იმ პირების დაკითხვა მოახერხა, ვინც თავად გამოცხადდა ახსნა-განმარტების მისაცემად. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც კომისიამ წერილი გაუგზავნა, მაგრამ ისინი ახსნა-განმარტების მისაცემად კომისიაში არ მისულან.

წელიწადზე მეტი ხნის მუშაობის შემდეგ, დროებითმა კომისიამ საკმაოდ ბევრ ადამიანთან მოახერხა გასაუბრება, თუმცა, კომისიას საჭიროდ მიაჩნია, კიდევ რამდენიმე პირის დაკითხვა.

— ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ცხადი ხდება, რომ პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაუსრულებია და იგი მოკლეს. დროებით საპარლამენტო კომისიას ბრალის წაყენების, თავისუფლების აღკვეთის და სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გატარების უფლება არა აქვს. ჩვენ მუშაობა დავასრულეთ, დავდეთ დასკვნა. ახლა რჩება საკითხები, რომლის გადაწყვეტაც პროკურატურის პრეროგატივაა. საბოლოო სიტყვა კი სასამართლომ უნდა თქვას, — განაცხადა და კონსტანტინე გამსახურდიამ.

დასკვნის გამოქვეყნება პარლამენტის სხდომაზე მოხდება. კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა დაახლოებით 300 გვერდიანია, რომელსაც თან ერთვის როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა და ფოტომასალა.

კონსტანტინე გამსახურდიას კომისიის დასკვნის მოსახლეობაში გავრცელების სურვილი აქვს. გამსახურდიას დასკვნის დაბეჭდვაც სურს, რადგან მას მოსახლეობის დიდი ნაწილი გაეცნოს.

მას შემდეგ, რაც კომისია საბოლოო დასკვნას გამოაქვეყნებს, დროებითი კომისია მუშაობას შეწყვეტს.

სპორტი

# ქართველი მოჭიდავეების ცუდი სტარტი

22 იანვარს თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო მეგობრობის თასზე ქართული კლუბი „ჯეოფაიტი“ რუსულ „ელბრუსს“ დაუპირისპირდა და პრესტიჟულ ტურნირზე ქართველი მებრძოლების დებიუტი სრული კრახით დასრულდა. მასპინძელთა ხუთეულმა სახელოვანი კლუბის გადახალისებული შემადგენლობისთვის რიგიანი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ შეძლო. მართალია მშრალადაც არ წაუგია — 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჩხუბარმა გოჩა სმოიანმა „ჯეოფაიტს“ ერთადერთი ქულა მოუტანა, მაგრამ...

სალამო აზერბაიჯანული „ნეფჩისა“ და პოლონური „როკის“ ჩხუბით დაიწყო. აზერბაიჯანელებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს — ხუთივე ბრძოლა მოუგეს, აქედან ოთხი ნოკაუტებითა და მტკივნეული ილეთებით.

ქართულ-რუსული ჯახი დიმიტრი რობაქიძისა და ისლამ ბეგიდოვის შეხვედრით გაიხსნა. არნახული მხარდაჭერის მიუხედავად, 37 წლის ქართველმა მებრძოლმა მოწინააღმდეგის დაჩაგვრა ვერაფრით მოახერხა და მსაჯთა გადაწყვეტილებით დამარცხდა.

საერთო ანგარიში, როგორც უკვე გითხარით სმოიანმა გაათანაბრა, რომელმაც ალბერტ ტუმენოვი დაამარცხა. გადამწყვეტი ამ შემთხვევაშიც მსაჯთა სიტყვა აღმოჩნდა, მაგრამ სიმართლე ვთქვათ, „ჯეოფაიტის“ წევრს მნიშვნელოვანწილად საკუთარი კედლების ფაქტორიც დაეხმარა. ეს შეხვედრა რომ რუსეთში, ან თუნდაც სხვა ნეიტრალურ ქვეყანაში ჩატარებულიყო, მაყურებლებს ალბათ საპირისპირო შედეგს გამოუცხადებდნენ.

84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველაფერი ორიოდ წუთში დამთავრდა — ლუხუმ ხულელიძემ რატმირ კარაცუკოვის მტკივნეულ ილეთს ვერ გაუძლო.

93 კილოგრამში მოჩხუბარი დიმიტრი ჭუმბურიძე სულაც 12 წამში აღმოჩნდა ნოკაუტში და საერთო ანგარიში 1:3 გახდა, რითიც „ელბრუსმა“ გამარჯვება ნაადრევად გაინაღდა.

მძიმე წონაში, ყველასგან გამორჩეული ათლეტური აღნაგობის ლადო ჩოჩიშვილმა თავისზე ერთი თავით დაბალ სალიმგერ რასულოვთან შეხვედრის დასაწყისშივე ცხვირის ტრავმა მიიღო. მე-6 წუთამდე მაინც შეუპოვრად იბრძოლა.

შემდეგ კი, ტურნირის მთავარმა მსაჯმა ჯამბულ ძაძამიამ, ექიმებთან კონსულტაციის შედეგად, შეხვედრის შეწყვეტა და გამარჯვებულად რასულოვი გამოცხადდა, რამეთუ ქართველი მძიმეწონოსნისთვის სისხლდენის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა.

საერთაშორისო მეგობრობის თასის მე-13 ეტაპი 13 თებერვალს, უკრაინის ქალაქ ხარკოვში გაიმართება და მასში „ეოფაიტიც“ მიიღებს მონაწილეობას და კიდევ ერთ ცნობილ რუსულ კლუბს შეხვდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ოპერის ორკესტრი სიმფონიურ კონცერტებს გამართავს

ეკა ირემაშვილი

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი 27 იანვარს, 1 თებერვალსა და 11 თებერვალს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში სიმფონიური მუსიკის კონცერტებს გამართავს. კონცერტებს ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟორებს.**

28 იანვარს დაგეგმილ კონცერტზე შესრულდება ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებები — „სლავური ცეკვები“ და კონცერტი ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისთვის და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია. სოლისტი გიორგი ჯორჯაძე (ჩელო).

ანტონინ დვორჟაკის „სლავური ცეკვები“ ორი თხზულების 16 საორკესტრო პიესის სახით არის წარმოდგენილი. ორივე თხზულება რვა-რვა ცეკვისგან შედგება. თავდაპირველად კომპოზიტორმა ისინი შექმნა ორ როიალზე შესასრულებლად. ნაწარმოები შთაგონებული იყო ბრამსის „უნგრული ცეკვებით“. პირველი ოპუსის შექმნამდე დვორჟაკი ახალბედა, საზოგადოებისთვის უცნობი კომპოზიტორი იყო, მას არ გააჩნდა სახსრები საკუთარი ნაწარმოებების გამოცემისთვის. ამ მიზნით კომპოზიტომა მიმართა ავსტრიის სახელმწიფო მუსიკალური სტიპენდიის კომიტეტს, რომელმაც ნიჭიერ მუსიკოსს ოთხჯერ დაუნიშნა სტიპენდია. ბრამსმა, რომელიც ამ კონკურსის კომიტეტის წევრი იყო, დვორჟაკი თავის გამომცემელს ფრიც ზიმროკს წარუდგინა. ზიმროკმა თავდაპირველად დაბეჭდა ახალგაზრდა კომპოზიტორის მორავიული დუეტი, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა, რის შემდგომ გამომცემელმა დვორჟაკს საცეკვაო ჟანრის ნაწარმოები შეუკვეთა. კომპოზიტორმა მოდელად აირჩია ბრამსის „უნგრული ცეკვები“ და ოც დღეში შექმნა „სლავური ცეკვები“. ამ თხზულებებს შორის დიდი განსხვავებაა. თუკი ბრამსი ხალხურ მელოდიებს მიმართავს, დვორჟაკი მხოლოდ მათი სახასიათო ინტონაციებითა და რიტმებით იფარგლება. „სლავური ცეკვების“ მელოდიები აშკარად მიუთითებს ორიგინალურ საკომპოზიტორო სტილზე. ზიმროკი მოიხიბლა საფორტეპიანო ცეკვებით და კომპოზიტორს მისი საორკესტრო ვერსიის შექმნაც შესთავაზა. ნაწარმოების ორივე ვერსია ერთი წლის ფარგლებში გამოიცა და დვორჟაკის საერთაშორისო რეპუტაცია განამტკიცა. ნაწარმოებში გამოყენებულია სხვადასხვა სლავური ცეკვების მოდელები. ნაწარმოების გასაოცარი პოპულარობის გამო ზიმროკმა დვორჟაკს ცეკვების კიდევ ერთი ციკლის შექმნა შესთავაზა. მეორე ციკლსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. გამომდინარე იქიდან, რომ პირველი თხზულება 8 ცეკვას მოიცავს, მეორე თხზულების ცეკვების ნუმერაცია ზოგ გამოცემებში იწყება 9-დან, ზოგან კი ერთიდან, გამოცემათა უმეტესობაში კი ცეკვების ორივე ნუმერაციაა მითითებული. მეორე თხზულების ზოგიერთ ცეკვას კონკრეტული პროგრამული დასათაურებაც გააჩნია, თითოეული ოპუსის საერთო ხანგრძლივობა 40 წუთია. „სლავური ცეკვები“ ანტონინ დვორჟაკის ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია, რომელსაც მუდამ აღტაცებით ასრულებენ და ასევე აღტაცებით ისმენენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

კომპოზიტორმა კონცერტზე ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისთვის მუშაობა ამერიკაში დაიწყო და ფინალის დაკვნითი ეპიზოდები სამშობლოში — ჩეხეთში დაასრულა. მეგობრისთვის ვიოლონჩელისტ ჰანუშ ვიჰანოვისთვის დაწერილი კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის კომპოზიტორის ბოლო კონცერტი აღმოჩნდა. კონცერტი სამნაწილიანია. თავის დროზე კომპოზიტორმა სცადა დაეწერა კონცერტი ჩელოსთვის, ნაწარმოების გარკვეული მონაკვეთების შექმნის შემდეგ საკუთარი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა და ნაწარმოების დასრულება გადაიფიქრა. ჰანუშ ვიჰანოვი უმორჩილესად სთხოვდა კონცერტის დაწერას, მაგრამ კომპოზიტორი განმარტავდა, რომ ჩელო ორკესტრის შემადგენლობაშია გენიალური ინსტრუმენტი, მისი სოლირებულ საკრავად გააზრება კი წარმოუდგენელია. კომპოზიტორს მოსწონდა ჩელოს შუა რეგისტრის ხმოვანება, მაგრამ არანაირად არ ხიბლავდა კიდურა რეგისტრების შესაძლებლობები და ჟღერადობა. შემდგომ, როდესაც კონცერტის დაწერა ნამდვილად გადაწყვიტა, დვორჟაკი წერდა, რომ ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად თვითონ იყო გაკვირვებული. როდესაც ამ შედევრს ქმნიდა, იგი ნიუ იორკის ნაციონალური კონსერვატორიის დირექტორი იყო. კონსერვატორიის პედაგოგმა, კომპოზიტორმა ვიქტორ ჰერბერტმა ერთ-ერთ კონცერტზე აუდიტორიას წარუდგინა საკუთარი მეორე კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა დვორჟაკზე და შეუდგა ვიჰანოვის თხოვნის განხორციელებას. პარტიტურის გაცნობის შემდეგ ვიჰანოვმა მრავალი მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ კომპოზიტორმა მხოლოდ მცირე მათგანი გაიზიარა და მინიმალური ცვლილებები შეიტანა თხზულებაში. დვორჟაკმა კატეგორიულად არ გაიზიარა აზრი ორი კადენციის შესახებ. გამომცემლისთვის გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „გადმოგცემთ ჩემს ნაწარმოებს დასაბეჭდად იმ შემთხვევაში, თუ მპირდებით, რომ არავის, თვით ჩემს მეგობარ ვიჰანოვსაც კი არ მისცემთ ჩასწორებების უფლებას ჩემი ნებართვის გარეშე, რომ ბოლო ნაწილში არ იქნება კადენცია, რომ მისი ფორმა იქნება ისეთი, როგორც მე ჩავიფიქრე, ფინალში იგი იჩემებდა დიმინუენდოს, როგორც ამოსუნთქვას, თუმცა, იქ არის კრეშჩენდო და ბოლო ტაქტებს ორკესტრი მხურვალედ ასრულებს, ეს ჩემი იდეაა და მას არ დავთმობ“. მიუხედავად იმისა, რომ დვორჟაკმა არ გაიზიარა ვიჰანოვის შენიშვნები, სურდა, რომ სწორედ მას შეესრულებინა კონცერტი საპრემიეროდ. ეს პრემიერა შედგა ლუჟანიში. ლონდონში კონცერტი პირველად შესრულდა დედოფლის დარბაზში. ლონდონის ფილარმონიურ ორკესტრს დირიჟორობდა ანტონინ დვორჟაკი, სოლისტი იყო ლეო შტერნი, რომელიც ფლობდა სტრადივარიუსის მიერ დამზადებული 60 ჩელოდან ერთ-ერთს. დვორჟაკი თავის მეგობარს წერდა: „ეს კონცერტი გაცილებით მაღლა დგას ჩემს როგორც სავიოლინო, ასევე საფორტეპიანო კონცერტებზე. თავის ქება შესაძლოა ნაკლებად სანდო იყოს, მაგრამ ეს ნაწარმოები უდიდეს სიხარულს მანიჭებს და, ვფიქრობ, არ ვცდები მის შეფასებაში“. დვორჟაკის ეს კონცერტი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა ჟანრში, რასაც იოჰანეს ბრამსის ცნობილი ფრთიანი შეფასებაც ცხადყოფს.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია კომპოზიტორის მიერ შექმნილ სიმფონიებს შორის ყველაზე მეტად გმირულ-მონუმენტურია. ის რიტმულად საოცრად ორგანიზებულია, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მთელი ქსოვილის ერთიან რიტმულ ქარგაზე აგება. ამ მხრივ ეს სიმფონია მეხუთე სიმფონიას გვაგონებს, თანაც, მის მეორე ნაწილში კომპოზიტორისთვის ესოდენ მახლობელი სიკვდილისა და ბედისწერის სახე აშკარადაა გამოკვეთილი. თუკი მეხუთე სიმფონიაში იგი შესაბამისი რიტმული ფორმულითაა პერსონიფიცირებული, ამ სიმფონიაში იგი დასრულებული მხატვრული სახის ფორმით იჩენს თავს. სიკვდილისა და ბედისწერის სახე გადმოცემულია სტიქიური ენერგიის უწყვეტი დინების ფორმით, სადაც ყოველი მომდევნო ტალღა წინაზე მეტად დამუხტულია რაღაც უხილავი ძალმოსილების ენერგიით. ამგვარი რიტმული სტიქია თანამედროვეებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს, რადგან მისთვის არ არსებობდა მზაობა, ეს სიმფონია უფრო ორგანულად ჩვენი XX-XXI საუკუნეების რიტმთან რეზონირებს. ბეთჰოვენმა მეშვიდე სიმფონიაზე მუშაობა დაიწყო ბოჰემიის ერთ-ერთ კურორტზე ტეფლისში ყოფნისას, სადაც გამოსაჯანმრთელებლად მკურნალობდა. სიმფონია მიუძღვნა გრაფ მორიც ფონ ფის. ნაწარმოების პრემიერა გაიმართა ჯარისკაცებისთვის გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე, რომელსაც თავად კომპოზიტორი დირიჟორობდა. მეორედ ეს სიმფონია შესრულდა ველინგტონის საზეიმო სიმფონიასთან ერთად. ორკესტრი, რომელსაც დირიჟორობდა იგნაც შუპანციგი, დაკომპლექტებული იყო უმაღლესი დონის მუსიკოსებით. ლუის შპორის გადმოცემით, ბეთჰოვენის სცენაზე გამოსვლის შემდეგ ბისზე გამეორდა ნაწარმოების მეორე ნაწილი. პარიზში ბეთჰოვენის ძალზე პოპულარული მეორე სიმფონიის შესრულებისას პარიზის სიმფონიური ორკესტრი ამ სიმფონიის მეორე ნაწილის ნაცვლად უკრავდა მეშვიდე სიმფონიის მეორე ნაწილს. მეორე ნაწილის ოსტინატური ფიგურა ეყრდნობა ძველი ბერძნული მეტრული პოეზიის ერთ-ერთ საზომს-დაქტილურ ჰექსამეტრს, რომელსაც ხშირად მიმართავდა ჰომეროსი. მესამე ნაწილის ტრიო ეყრდნობა ავსტრიელი პილიგრიმების ჰიმნის მელოდიას, რაც კიდევ ერთი მაგალითია პოეზიის გავლენისა სიმფონიაზე. ნაწარმოების შეფასებაში არ არსებობდა ერთსულოვნება და მის მიმართ მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა.

1 თებერვალს გამართულ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე შესრულდება ბედრჟიხ სმეტანას „გაყიდული საცოლე“ უვერტიურა, ფერენც ლისტის კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის №1 და იოჰანეს ბრამსის სიმფონია №4. სოლისტი ანა გოგავა (ფორტეპიანო). ბედრჟიხ სმეტანა ოპერას „გაყიდული საცოლე“ (ცნობილი მწერლის კარელ საბინის ლიბრეტოს მოხედვით) სამი წლის განმავლობაში ქმნიდა. ოპერის პრემიერა შედგა პრაღაში. თავდაპირველად „გაყიდული საცოლე“ ორმოქმედებიანი ოპერეტის სახით მოევლინა მსმენელებს, თუმცა, დიდი წარმატება არ მოუპოვებია. სანქტ-პეტერბურგში დასადგმელად კომპოზიტორს მოუხდა ნაწარმოების ძირფესვიანი რედაქტირება — დაემატა ტექსტი, შეიქმნა ახალი მუსიკალური ეპიზოდები, სალაპარაკო დიალოგები გარდაისახა რეჩიტატივებად, გადაკეთდა სამმოქმედებიან ოპერად. ამ ვარიანტით ოპერამ მალე მოიპოვა აღიარება. ვენაში გამართული წარმოდგენების შემდეგ „გაყიდულმა საცოლემ“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მალე დაიდგა ჩიკაგოში, ნიუ იორკში, ლონდონში. „გაყიდული საცოლის“ უვერტიურა იმთავითვე დამკვიდრდა სიმფონიური მუსიკის ტრადიციულ საკონცერტო რეპერტუარში. ის ხშირად სრულდება დამოუკიდებელი საკონცერტო ნომრის სახით. უვერტიურა მსმენელს იპყრობს მიზანსწრაფულობით, ცეცხლოვანი მხიარულებით. უვერტიურა თემატურად დაკავშირებულია ოპერის მუსიკასთან.

პიანიზმის დიდი რეფორმატორი და საორკესტრო წერის დიდოსტატი ფერენც ლისტი დაახლოებით 25 წელი მუშაობდა №1 საფორტეპიანო კონცერტზე (ნაწარმოები მიძღვნილია ბელგიელი კომპოზიტორის ანრი ლიტოლფისადმი). 19 წლის კომპოზიტორის ამ კონცერტის პირველი ესკიზები თარიღდება 1830 წლით. კონცერტის მუსიკალური სახეები ხატოვნად გამოკვეთილი და რელიეფურად დაპირისპირებულია. 20 წუთის ხანგრძლივობის კონცერტი ერთნაწილიანია, თუმცა, გარკვეული ნაწილები აქვს, რომლებიც სიმფონიური ციკლის ოთხ ნაწილს შეესაბამება. ლისტის პირველი საფორტეპიანო კონცერტის პრემიერა შედგა ვაიმარში. სოლისტი იყო თავად კომპოზიტორი, დირიჟორობდა ჰექტორ ბერლიოზი. ლისტმა ნაწარმოების გამოცემამდე კვლავ შეიტანა შესწორებები მასში. ლისტის პირველი საფორტეპიანო კონცერტი (მეორის მსგავსად) ძალზე პოპულარული და აღიარებული ნაწარმოებია როგორც მსმენელთათვის, ასევე საშემსრულებლო წრეებშიც.

დიდ სიმფონიურ ტილოებს იოჰანეს ბრამსი ქმნიდა მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებში, სრულქმნილი ოსტატობით აღჭურვილობის ხანაში, მაშინ, როდესაც უკვე ჩამოყალიბებული იყო მისთვის სახასიათო მხატვრული სახეების წრე და დამკვიდრებული იყო შემოქმედებითი სტილის თვითმყოფი ნიშან-თვისებები. სიმფონია №4 ბრამსმა უშუალოდ მესამე სიმფონიის შემდეგ დაწერა. ის კომპოზიტორის უკანასკნელი სიმფონიაა. მეოთხე სიმფონია ბრამსის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და თვითმყოფი ნაწარმოებია. სიმფონია კლასიკურ ოთხნაწილიანობის პრინციპს ემყარება, რაც ძალზე სახასიათოა ბრამსისთვის, ამ ჭეშმარიტი კლასიკოსისთვის რომანტიკოსებს შორის. ყველაზე გვიან დაიწერა სიმფონიის მესამე მხიარული ნაწილი, მეოთხე ნაწილი სიმფონიური ჩაკონას იშვიათი მაგალითია. კომპოზიტორი იმხანად კითხულობდა სოფოკლეს ტრაგედიებს და მათი სერიოზული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, რაც აისახა კიდეც სიმფონიის კონცეფციაზე. სიმფონიის პრემიერას ბრამსი თავად დირიჟორობდა.

სიმფონიური მუსიკის დასკვნითი კონცერტი 11 თებერვალს გაიმართება. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილია იოჰანეს ბრამსის ნაწარმოებები „ტრაგიკული უვერტიურა“ და კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის №2 და სერგეი პროკოფიევის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის.

ბრამსის „ტრაგიკული უვერტიურა“ საკონცერტო უვერტიურაა. მისი პრემიერა შედგა ვენაში. ნაწარმოების ხანგრძლივობა 15 წუთია. „ტრაგიკული უვერტიურა“, სათაურის მიუხედავად, არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დრამატულ პროგრამას. ბრამსისთვის მიუღებელი იყო პროგრამულობა, მთავარი იყო ემოციური განცდების ფიქსირება. სათაური კომპოზიტორმა შეარჩია იმ მშფოთვარე, ტანჯული ინტონაციების ხაზგასასმელად, რაც განასხვავებს ამ თხზულებას იმავე პერიოდში შექმნილი აკადემიური საფესტივალო უვერტიურისგან. ნაწარმოების გარკვეული მოტივები ბრამსმა გამოიყენა საკუთარი მეორე სიმფონიის ფინალიდან. ეს არის სახეცვლილი სონატური ფორმა.

ბრამსის კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის №2-ს 22 წელი აშორებს მისი პირველი საფორტეპიანო კონცერტიდან. მასზე მუშაობა ბრამსმა დაიწყო ვენის მახლობლად პრესბაუმში. ბრამსმა კონცერტი მიუძღვნა საკუთარ პედაგოგს ედუარდ მერქსენს. კონცერტის დამთავრებისთანავე კომპოზიტორმა იგი გაუგზავნა ქირურგსა და მევიოლინეს თეოდორ ბილროთს, რომელსაც მანამდე პირველი ორი კვარტეტი მიუძღვნა. მწყობრი კომპოზიციის მქონე ეს კონცერტი ერთგვარი ოთხნაწილიანი სიმფონიაა სოლო ფორტეპიანოთი. ამ ერთგვარი მონუმენტური კონცერტ-სიმფონიის პრემიერა გაიმართა ბუდაპეშტში და გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად. სოლისტი გახლდათ თავად კომპოზიტორი, რომელმაც შემდგომში ნაწარმოები ევროპის მრავალ ქვეყანაში შეასრულა.

სერგეი პროკოფიევმა თავად შეასრულა ფორტეპიანოს პარტია პრემიერაზე პავლოვსკში. კონცერტის ცეცხლოვანმა ტემპერამენტმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელების ნაწილზე, ნაწილი კი გააღიზიანა ნაწარმოების მოდერნისტულმა ხმოვანებამ. მსმენელთა დიდმა ნაწილმა დემონსტრატიულად დატოვა დარბაზი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი პროკოფიევმა მიუძღვნა პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში გაცნობილ მაქსიმილიან შმიდტჰოფს, რომელთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა. კონცერტის პარტიტურა ხანძარმა გაანადგურა. ის კომპოზიტორმა აღადგინა, უფრო ზუსტად, შექმნა ნაწარმოების სრულიად ახალი რედაქცია. ამ კონცერტის ვარიანტების შექმნის შუალედში პროკოფიევმა მესამე კონცერტიც დაწერა. მეორე საფორტეპიანო კონცერტის ახალი ვერსიის პრემიერა გაიმართა პარიზში სერგეი კუსევიცკის დირიჟორობით. ტექნიკური თვალსაზრისით ეს 4-ნაწილიანი ნაწარმოები ერთ-ერთი ყველაზე რთული საფორტეპიანო კონცერტია. ამ კონცერტში მთავარი როლი სოლირებულ ინსტრუმენტს აქვს მინიჭებული. მეორე კონცერტი კომპოზიტორის უსაყვარლესი თხზულება იყო, რომელსაც 30-იანი წლებიდან თავადაც საკმაოდ ხშირად ასრულებდა ხოლმე კონცერტებზე. პროკოფიევის მეორე საფორტეპიანო კონცერტი ამ ჟანრის ბრწყინვალე და იმავდროულად ურთულესი ნიმუშია, რომელიც დამკვიდრებულია საუკეთესო თანამედროვე პიანისტთა საკონცერტო რეპერტუარში.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
<u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**



## განცხადებები

● იყიდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 2000 და 2500 კვ.მ. ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით, ფასი 1 კვ.მ. 3 დოლარი. თბილისიდან 30 კილომეტრში, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში (მუხრანთან ახლოს) ტელ: 890 53-02-41; 53-15-87.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# იტალიის პრემიერი სექს-სკანდალის გამო გადადგომას არ აპირებს




იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თავისი პარტიის „თავისუფლების ხალხის" წევრების წინაშე გამოსვლის დროს განაცხადა, რომ პროკურატურის მიერ არასრულწლოვან მეძავთან კავშირის ეჭვით მის მიმართ დაწყებული გამოძიების გამო თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს.

ამასთან, ბერლუსკონიმ გამომძიებლები მის უკანონო თვალთვალში დაადანაშაულა.

„მე არ გავრბივარ და გადადგომას არ ვაპირებ", — განაცხადა მან თავისი პარტიისადმი სატელეფონო მიმართვაში.

ბერლუსკონი ამტკიცებს, რომ ბრალდებები პოლიტიკურად არის მოტივირებული და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.

მილანის პროკურატურაში პრემიერ-მინისტრის დაკითხვა მეძავებთან ურთიერთობის, მათ შორის 18 წლის მაროკოელ მოცეკვავესთან ურთიერთობასთან დაკავშირებით სურთ. ეს უკანასკნელი 17 წლის ასაკში პრემიერ-მინისტრის მიერ გამართულ წვეულებას სტუმრობდა.

გამოძიების ვარაუდით, ბერლუსკონიმ მას ინტიმური კავშირისათვის ფული გადაუხადა, რაც იტალიის კანონებით დანაშაულად ითვლება.

74 წლის ბერლუსკონი და მოცეკვავე კარიმა ელმაჰრუკი სქესობრივ კავშირს უარყოფენ.

მაჰრუკი, რომელიც უფრო სცენური ფსევდონიმით, რუბით, არის ცნობილი, აცხადებს, რომ ბერლუსკონისაგან 7 ათასი ევრო საჩუქრად მიიღო.

იტალიის პრესამ გამოაქვეყნა 20 ქალის სატელეფონო საუბრების გაშიფრული ვარიანტი, რომლებიც აცხადებენ, რომ ბერლუსკონის რეზიდენციაში გამართულ ინტიმურ წვეულებებს სტუმრობდნენ.

თავისი პარტიისადმი სატელეფონო მიმართვაში ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ იგი თავის დაცვას ცდილობს და წინააღმდეგობას უწევს იმას, რაც ამომრჩეველთა ნების გატეხას ისახავს მიზნად.

მან გააკრიტიკა მედია-პუბლიკაციები ამ თემაზე და განაცხადა, რომ მაგისტრატურის სასამართლოები ცდილობენ, მას პრემიერ-მინისტრის პოსტი დაატოვებინონ.

ბერლუსკონის თქმით, 2010 წლის შემდეგ მისი ყველა სტუმარი ქალის ტელეფონი ისმინება და ეს მდგომარეობა მას არანორმალურად მიაჩნია.

პარასკევს ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ პროკურატურისათვის ჩვენების მიცემას არ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ მილანის სასამართლოს ამ საქმის განხილვის უფლება არ აქვს. იმავე დღეს რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მ განაცხადა, რომ ოფიციალური პირები მორალური თვალსაზრისით სამაგალითონი უნდა იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პაპს ბერლუსკონი არ დაუსახელებია, მისმა აუდიტორიამ დაასკვნა, რომ იგი პრემიერ-მინისტრს გულისხმობდა.

იმავდროულად, იტალიური კინოს მეტრმა, რეჟისორმა მარკო ბელოჩიომ განაცხადა, რომ ცენზურის გამო ამ ისტორიის ეკრანიზების დაწყება არ შეუძლია.

რეჟისორის თქმით, ბერლუსკონის თავგადასავლების შესახებ იგი სატირული ფილმის გადაღებას აპირებდა, მაგრამ თავისი კარიერის განმავლობაში პირველად ფილმისათვის პროდიუსერის მოძებნა ვერ მოახერხა.

# ჯორჯ კლუნი მალარიისაგან განიკურნა

ამერიკელი მსახიობი, ჯორჯ კლუნი, რომელიც სუდანში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს მალარიით დაავადდა, სავსებით გამოჯანმრთელდა.

ჰოლივუდის 49 წლის ვარსკვლავი აფრიკის ამ ქვეყნის ხშირი სტუმარია. თავისი ვიზიტებით იგი სუდანის დასავლეთით, დარფურის პროვინციაში არსებული ვითარებისადმი ყურადღების მიპყრობას ცდილობს. აქ მრავალი წლის განმავლობაში ფაქტობრივად სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

როგორც თავად კლუნი აღნიშნავს, ეს დაავადება და მისი გამოჯანმრთელების ფაქტი მოწმობს, რომ მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს ამ სასიკვდილო დაავადების „არცთუ სასიამოვნო 10 დღედ" გადაქცევა შეუძლია.

პარასკევს საღამოს ჯორჯ კლუნი ამერიკული ტელეარხის „სიენენის" ერთ-ერთ გადაცემაში სუდანში ბოლო სტუმრობისა და თავისი ავადმყოფობის შესახებ საუბარს აპირებს.

მისი წარმომადგენლის, სტენ როზენფილდის თქმით, ჯორჯ კლუნი მალარიით უკვე მეორედ დაავადდა.

# ტარანტინოს „სეზარით" დააჯილდოვებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფილმებმა „მაკულატურა", „მოკალი ბილი".

ფესტივალის გრან პრის კანდიდატებს შორის არის ალჟირული სურათი „ადამიანებისა და ღმერთების შესახებ", აგრეთვე რომან პოლანსკის „აჩრდილი", ჟოან სბარის სადებიუტო ნამუშევარი „გინსბურგი. ხულიგნის სიყვარული".

ეს უკანასკნელი, გარდა ამისა, კიდევ ორ ჯილდოზე — „საუკეთესო დებიუტსა" და „მამაკაცის საუკეთესო როლზეა" ნომინირებული.

შვიდ „სეზარზეა" ნომინირებული რეჟისორ ბერნარ ტავერნიეს „პრინცესა მონპენსიე" და მეთიუ ამალრიკის „ტურნე".

ქალის საუკეთესო როლის „სეზარზე" პრეტენზიას ინგლისელი ქრისტინ სკოტ თომასი აცხადებს. მან ფილმში „სარასნაირად" ითამაშა. სხვა პრეტენდენტებს შორის არიან იზაბელ კარი, შარლოტ გინსბურგი, სარა ფორესტიე და კატრინ დენევი.

რიგით 48-ე დაჯილდოების ცერემონიალს წლეულს ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი, 48 წლის ჯოდი ფოსტერი გაუძღვება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# თემურ ჩხეიძეს წიგნი მიუძღვნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აქვს სამოცდაათზე მეტი სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა ქალაქის თეატრებში თუ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ბოლოს რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრში იმუშავა, სადაც დადგა სპექტაკლი „ბრმა მხედველი", რომელშიც ალეკო მახარობლიშვილი, გოგა პიპინაშვილი და ნანი ჩიქვინიძე დააკავა. ქართველი რეჟისორი არც წიგნის პრეზენტაციისას ყოფილა საქართველოში, ამიტომ წიგნის წარდგინებამ მისი მეგობრებისა და კოლეგების გარემოცვაში ჩაიარა. წიგნში „საუბრები თემურ ჩხეიძესთან" შესულია ინფორმაცია თავად რეჟისორზე და მასთან მომუშავე მსახიობებზე.

**ნინო ჩხიკვიშვილი, წიგნის ავტორი:**

— ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი რეჟისორი ჰყავს ქართულ თეატრს და მასზე წიგნი არ არის გამოსული. თემურ ჩხეიძე უდავოდ დიდი რეჟისორია, ამიტომ მის შესახებ წიგნი უნდა არსებობდეს. პროფესიით თეატრმცოდნე არ ვარ, მაგრამ ჩემი წიგნი არის ერთგვარი გამოწვევა იმ თეატრმცოდნეებისთვის, რომლებსაც ევალებათ და ხელეწიფებათ შექმნან წიგნი ამ დიდ შემოქმედზე.

**ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი:**

— თემურ ჩხეიძე უდავოდ დიდი რეჟისორია. ხომ გაგიგიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. მიმაჩნია, რომ თემურ ჩხეიძეზე წიგნი კიდევ უფრო დიდი ხნის წინ უნდა შექმნილიყო. მას უფრო მეტი მოფერება სჭირდება. ამ გენიალურ რეჟისორს უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან თემურ ჩხეიძე უდავოდ დიდი რეჟისორია.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე როლანდა, ქალიშვილი მაია, სიძე კახა ჭეღელიძე, და ირა, ძმა რაჟდენი, შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები იუწყებიან

**პარმენ ვლადიმერის ძე ქარდავას**

გარდაცვალებას.

გამოსვენება: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა 193. 14 საათზე.

ქარდავების გვარი, ახლო ნათესავები, მეგობრები და გალის რაიონის ინტელიგენცია გულისტკივილით იუწყებიან ღვაწლმოსილი სწავლული აგრონომის, კაცური კაცის, ღირსეული სამურზაყანოელის

**პარმენ ვლადიმერის ძე ქარდავას**

გარდაცვალებას

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## 24 - 39 იანვარი




**სოხუმი**

24.01 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
25.01 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 10-11
26.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
27.01 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
28.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
29.01 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 4-5
30.01 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 7-8

**ზუგდიდი**

24.01 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
25.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 11-12
26.01 მზე, წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
27.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
28.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
29.01 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 6-7
30.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9

**ბათუმი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 10-11
25.01 ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 12-13
26.01 მზე, წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
27.01 წვიმა, დღისით — 9-10,, ღამით — 3-4
28.01 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
29.01 ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 8-9
30.01 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 10-11

**ქუთაისი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 10-11
25.01 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 11-12
26.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
27.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
28.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
29.01 ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 6-7
30.01 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9

**გორი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 5-6
25.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
26.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
27.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
28.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -1-0
29.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
30.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4

**თბილისი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 4-5
25.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 5-6
26.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 4-5
27.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -1-0
28.01 მზე, წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
29.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
30.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — 3-4

**გურჯაანი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
25.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
26.01 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
27.01 მზე, წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
28.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -4 -3
29.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
30.01 მზე, ღრუბელი, წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 0-1

**მანგლისი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
25.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
26.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
27.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
28.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -4 -3
29.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
30.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — 1-2

**დმანისი**

24.01 მზე, ღრუბელი, დღისით — -1-0, ღამით — -14 -13
25.01 ღრუბელი, დღისით — -1-0, ღამით — -13 -12
26.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -10 -9
27.01 თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -14 -13
28.01 თოვლი, დღისით — -7 -6, ღამით — -17 -16
29.01 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -10 -9
30.01 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -13 -12

გ.თ.

# კროსვორდი



1. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 2. თევზსაჭერი მოწყობილობა; 3. ძვირფასი მეტალი; 4. ახალი (ბერძნულად); 5. „... დაიდარდო"; 6. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 7. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 8. ჰერას ქურუმი ქალი; 9. ცის თაღი; 10. ქალაქი ინგლისში; 11. ჟორჟ სანდის რომანი; 12. ... სამპრასი; 13. მეხუთე ნოტი; 14. ... მატისი; 15. ერთ-ერთი მშობელი; 16. მდინარე აფრიკაში; 17. ჯაჭვლიანების ფილმი; 18. სპორტული სატყორცნი იარაღი; 19. რისამე განხილვა შეფასების მიზნით; 20. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 21. შებოლილი ძეხვი; 22. ბატკანი; 23. ყმის ვალდებულება; 24. დიდი ხვლიკი; 25. სპილენძის შენადნობი ოქროსთან; 26. გარეული ხარი; 27. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 28. სტადიონი ბრაზილიაში; 29. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 30. უოლტერ ... (მწერალი); 31. სიმებიანი საკრავი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩუღურეთი; 2. ხორბალი; 3. არაყი; 4. ნებიერი; 5. პორტალი; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. პლეიბეი; 17. რეტორტა; 20. ოკაპი.

**თარაზულად:** 6. ბურგომისტრი; 7. ბენთოსი; 8. ვაიკულე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. „პერიე"; 21. რკალი; 22. შირაქი; 23. ტანგანიკა; 24. ტრიგლიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კვებეკი; 2. „ჯოკონდა"; 3. ალგეთი; 4. „ნივეა"; 5. ლინოტიპი; 7. ჩაი; 11. კოპიჭი; 15. ითხვისი; 16. ბაზუკა; 17. ბიეფი; 18. ქცევა; 20. ლანცა; 22. ჟირო.

**თარაზულად:** 6. ვაგიფი; 8. მორთული; 9. „შევრონი"; 10. ბასკაკი; 12. გოთუა; 13. აზოტი; 14. კამპრადი; 19. მუხთალი; 21. მირაჟი; 23. ცენზი; 24. აფიორა; 25. ფსირცხა; 26. ჩასპანდი.

# ზვიად სიჭინავა ისევ პრეზიდენტია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში დომენტი სიჭინავა უხელმძღვანელებს. ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" გამართულ სფფ-ის XIX საარჩევნო ყრილობაზე, პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი სიჭინავა გახლდათ, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ოცმა სუბიექტმა წარადგინა.**



ამ 20 სუბიექტის წარმომადგენლის გარდა, ყრილობაზე მიწვეული იყო კიდევ 13 დელეგატი და ადვილი მისახვედრია, რომ სიჭინავას 50 პროცენტს პლუს ერთის ხმის მიღება არ გაუჭირდებოდა.

წესით ყრილობას 33 დელეგატი უნდა დასწრებოდა: გიორგი არევაძე (ს.კ. ბოლნისის „სიონი“), გიორგი აღდგომელაძე (სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია), თეიმურაზ ბარქაია (ს.კ. ფოთის „კოლხეთი“), რუსლან ბაქრაძე (ინვალიდ-ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგა), შოთა ბაქრაძე (ეზოს ფეხბურთის ასოციაცია), აკაკი ბირბიჩაძე (საფეხბურთო სკოლების ასოციაცია), ჯემალ გოგია (სამეგრელო -ზ. სვანეთის რფფ), გიორგი დარჯანია (ფუტსალის ასოციაცია), მერაბ დგებუაძე (აფხაზეთის ა/რ ფეხბურთის ფედერაცია), ავთანდილ თადუმაძე (ს.კ. „სამტრედია“), ვახტანგ თამაზაშვილი (თბილისის ფეხბურთის ფედერაცია), თამაზ თევდორაძე (პროფესიული ფეხბურთის ლიგა), გიორგი კიკაჩეიშვილი (იმერეთის რფფ), ილია კოკაია (ს.კ. „ზესტაფონი“), თამაზ კოსალაშვილი (ს.კ. რუსთავის „ოლიმპი“), სერგო კოტრიკაძე (ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი), გელა მაისურაძე (სამცხე-ჯავახეთი რფფ), ირაკლი ნაკაიძე (ბიჩ-სოკერის ასოციაცია), რევაზ პერტაია (ს.კ. ზუგდიდის „მგლები“), ვაჟა ჟვანია (ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი), ალექსანდრე რევაზიშვილი (შიდა ქართლის რფფ), დავით სამუშია (ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია“), დიმიტრი სანაკოევი (ს.კ. ცხინვალის „სპარტაკი“), ნინო სორდია (ქალთა ფეხბურთის ასოციაცია), თენგიზ ტურძელაძე (მცხეთა-მთიანეთის რფფ), რომან ფიფია (ს.კ. თბილისის „დინამო“), ლევან ფხაკაძე (ს.კ. ქუთაისის „ტორპედო“), ლევან ქორიძე (აჭარის ა/რ ფეხბურთის ფედერაცია), ავთანდილ შალამბერიძე (მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი), ერმილე ჩიტალაძე (რაჭა-ლეჩხუმ-ქვ.სვანეთის რფფ), კარლო ჩხაიძე (ქვემო ქართლის რფფ), ხარიტონ ჩხატარაშვილი (გურიის რფფ), გიორგი ცინცაძე (კახეთის რფფ).

ჩამოთვლილთაგან, „ჰოლიდეი ინ“-ში არ მისულან არევაძე, რომელიც ავად ყოფილა, კოკაია უცხოეთში არის წასული და ფიფია, რომელსაც ჯერ საბუთების მიხედვით „დინამო“ გადაფორმებული არ აქვს.

ყრილობაზე მყოფმა 30-ვე დელეგატმა კი სიჭინავას კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირა. ყრილობაზე სიჭინავას საარჩევნო პროგრამა არ წარმოუდგენია და პრინციპში, განვლილ პერიოდში არც წინასაარჩევნო კამპანია უწარმოებია. მან დარბაზში შეკრებილთა წინაშე ფეხბურთის ფედერაციის პრიორიტეტებზე ისაუბრა და სიტყვა დადო — თუკი პრეზიდენტად ამირჩევთ, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქართულად საუბარსაც გამოვასწორებო:

— პირველი და მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ეროვნული ნაკრები. შესაძლოა, ბევრი არ გაგვიკეთებია, მაგრამ ყველაზე კარგი ნაბიჯი იყო თემურ ქეცბაიას საქართველოში ჩამოყვანა. ეროვნული ნაკრების თამაში პრიორიტეტულია და ღმერთმა ქნას, საქართველომ მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის ევროპის და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებში. მეორე პრიორიტეტი ეროვნული ჩემპიონატია. თუ მისმა დონემ არ აიწია... ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გაკეთებულია: ფხაკაძეები „ტორპედოში“ მივიდნენ, ფიფია — „დინამოში“, „მადნეული“ — „სიონში“. უნდა მოვიძიოთ ხალხი, რომელთაც ფეხბურთი უყვართ. კვლავ ვუბრუნდებით ინფრასტრუქტურას. თბილისის „დინამოში“ დაიწყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. 2010 წელს გადმოგვეცა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. უეფა მის რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. მარტში უეფაში ყველაფერი გადაწყდება და 2012 წელს ისეთ სტადიონს მივიღებთ, სადაც საქართველოს ჩემპიონატის მატჩების გარდა, ევროტურნირების თამაშებიც ჩატარდება. კომპანია „ქართუს“ დახმარებით, კეთდება საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზა „ბასა“. ძალიან ცუდი მგომარეობაა რეგიონებში. 2011 წელს, ფიფას დახმარებით კახეთში, კერძოდ, თელავში ქალთა ნაკრების ბაზა უნდა გაკეთდეს, რომელიც მთელი რეგიონის საფეხბურთო ბაზა იქნება. რაც შეეხება ბავშვთა ფეხბურთს, მისი პოპულარიზაცია რომ მოხდეს, ბავშვს შანსი უნდა ჰქონდეს 5-6 კლუბი გამოიცვალოს. სიმართლე რომ ითქვას, ბავშვები არსად არიან ხოლმე რეგისტრირებული და უცებ გამოჩნდება რამდენიმე კაცი, რომელიც იჩემებს — „არა, ჩემი გაზრდილია, არა ჩემიო“. 2011 წელს, საფეხბურთო სკოლების ლიცენზირებას დავიწყებთ და ფიფას დახმარება იმ კლუბებზე განაწილდება, ვინც საფეხბურთო სკოლებში ინვესტიციას ჩადებს. რაც მთავარია, არ არსებობს ბავშვების დაზღვევა. 2011-2012 წლების სეზონში ვაპირებთ, რომ უმაღლესი და პირველი ლიგის ყველა ფეხბურთელი დავაზღვიოთ. საბჭოთა კავშირის პერიოდში, საქართველოში 32.000 ფეხბურთელი იყო რეგისტრირებული, ხოლო ახლა მისი რიცხვი მხოლოდ 17.000-ია. არ უნდათ ფეხბურთის თამაში, იმიტომ, რომ არც დაზღვევა აქვთ და არც არაფერი. სამწუხაროდ, მსაჯის პროფესია არაპრესტიჟულია. მსაჯთა აკადემია, რომელიც უნდა აღვადგინოთ. მსაჯებს ხელფასებიც უნდა გავუზარდოთ, რათა ეს პროფესია უფრო პრესტიჟული გახდეს. დაცული უნდა იქნეს მათი ინტერესები. ხშირად მსაჯებს აგინებენ და იყო შემთხვევები, როდესაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ქართულ ფეხბურთში მოღვაწე არც ერთი პიროვნება დაუცველი არ უნდა იყოს. შურით ვუყურებდი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უზბეკი მსაჯობდა. 29 დეკემბერს მოვაწერეთ ხელშეკრულებას ხელი კომპანია „სოკართან“. თუ ამირჩევთ, პირობას გაძლევთ, რომ გავაგრძელებ მუშაობას ახალი კომპანიების მოსაზიდად. ფულს ერთი ასეთი ჩვევა აქვს, რომ იხარჯება. ამიტომ, მირჩევნია, კომპანიამ საქმე გააკეთოს. მაგალითად, როგორც „ქართუ“ არემონტებს „ბასას“ ან როგორც „სოკარმა“ დაიწყო მოედნის საფარის დაგება ეროვნული ნაკრების ბაზაზე. 2010 წელს, რაც სახელმწიფომ თანხა მოგვცა, სრულიად საკმარისია ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების, როგორც შეკრებების მოსაწყობად, ასევე, თამაშებზე გასამგზავრებლად. ვფიქრობდით, რომ 2011 წელს ვალები არ გვექნებოდა, მაგრამ ამ პროცესმა ერთი წლით გადაიწია. თუმცა, ეს ქართულ ფეხბურთს არ დაეტყობა. არ შეფერხდება ფედერაციის, ნაკრებებისა და მსაჯების მუშაობა. კარგი ურთიერთობა გვაქვს ფიფა-უეფასთან. მარტში ჩატარდება უეფას არჩევნები და მხარს მიშელ პლატინის დავუჭერთ, რადგან ვიზიარებთ იმ საფეხბურთო პოლიტიკას, რასაც ის ატარებს. და ბოლოს, ჩემი ქართულის მიმართ ყველას პრეტენზია აქვს და თუ ამირჩევთ, სიტყვას გაძლევთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში, ქართულს უფრო კარგად ვისწავლი.

სიჭინავას შემდეგ, ტრიბუნასთან მურად ანჯაფარიძე მივიდა, რომლის გამოსვლის ძირითადი პათოსი მომავალი პრეზიდენტის მხარდაჭერა იყო. შემდეგ, სიტყვა ინვალიდ-ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის წარმომადგენელმა, რუსლან ბაქრაძემ აიღო, რომელმაც ფედერაციას დახმარება სთხოვა და დაპირებაც მიიღო.

ამის შემდეგ, დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში და ვიდრე ხმებს დაითვლიდნენ, 10-წუთიანი შესვენება გამოცხადდა. დათქმული დროის გასვლის შემდეგ, ყრილობა განახლდა და არჩევნების შედეგიც გაცხადდა.

— დიდი მადლობა ნდობისთვის. იმედია, იმ გეგმებს განვახორციელებთ, რაც ქართულ ფეხბურთს სჭირდება, — თქვა სამადლობელ სიტყვაში სიჭინავამ, რომელიც სფფ-ის პრეზიდენტად პირველად 2009 წლის 1 ოქტომბერს აირჩიეს, მას შემდეგ, რაც ნოდარ ახალკაცმა თანამდებობა დატოვა. ახლა კი ის სრული, 4-წლიანი ვადით გააგრძელებს მუშაობას.

სიჭინავამ იქვე პრესკონფერენციაც გამართა, მაგრამ იმაზე მეტი არც არაფერი უთქვამს, რაც მის არჩევამდე განაცხადა.

ახალი აღმასკომის დასაკომპლექტებლად კიდევ ერთი ყრილობის ჩატარება იქნება საჭირო. მომავალ გენერალურ მდივანს კი, თავად აღმასკომი დაამტკიცებს. ამჟამად, გენმდივანი რევაზ არველაძეა, რომელსაც მიჰყავდა კიდეც XIX ყრილობა.

განვლილ ყრილობას უეფას აღმასკომის წევრი ფრანტიშეკ ლავრინეკი დამკვირვებლად ესწრებოდა.

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალს ახალი გამარჯვებული ეყოლება

**შსს — თსუ 77:82**

**(1§:16 29:23 1§:1§ 23:26**

**შსს:** ლაფანაშვილი (6), ბ. ლეჟავა (30), ნიკოლაძე (2), კოტონი (8), მარკოიშვილი (2), ტუჯანი (8ქ, 12მ), ბარბაქაძე (6), იმნაძე (2), წივწივაძე (13ქ, 5მ, 6პ), ტომარაძე

**თსუ:** გაფრინდაშვილი (12ქ, 8მ, 8პ), კოხრეიძე (7ქ, 8მ), ლონდარიძე (14), კორკოტაძე (20), ჩიტაშვილი (5), მათიაშვილი (9ქ, 17), მ. ბერიშვილი (15ქ, 8მ)

თსუ ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალშია. ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა გმირულად იბრძოლა და გვარიანად გაძლიერებულ შსს-ს დრამატული მატჩი მოუგო. სტუდენტურმა გუნდმა უდიდესი მონდომების და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე იმარჯვა.

ძალთა თანაფარდობა აშკარად შსს-ს მხარეზე იყო. თსუ-ს ტრავმის გამო 2 წამყვანი მოთამაშე აკლდა — მიხეილ ფანჩულიძე და გიორგი მარხვაშვილი. ამის გამო თსუ-მ მხოლოდ 7 კალათბურთელით ითამაშა და თავიდან ბოლომდე დაძაბული შეხვედრა გმირული გამარჯვებით დაასრულა. ძნელია, სტუდენტთაგან ვინმე გამოყო, თსუ-მ ერთსულოვნების და გუნდური თამაშის ხარჯზე იმარჯვა და ფინალის საგზურიც მოიპოვა.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. ორივე გუნდმა შემტევი, სწრაფი თამაში აირჩია და თვალსასეირო ბრძოლაც გაჩაღდა. უფრო სწრაფები სტუდენტები იყვნენ, რომლებიც მოიხელთებდნენ თუ არა ბურთს, უკანმოუხედავად უტევდნენ. თსუ სწრაფ შეტევებს შორ სროლებსაც უნაცვლებდნენ. ორივე ამ კომპონენტში ზურაბ კორკოტაძე გამოირჩა, რომელმაც რამდენიმე გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა და შორი თუ საშუალო დისტანციებიდანაც ჩააგდო.

შსს კი შედარებით დინჯად უტევდა და ცდილობდა, მრავალფეროვანი კომბინაციებით ეპოვნა თსუ-ს კალათშის ჩასაგდები ბურთები. პირველი მეოთხედი შსს-მ ქულით მოიგო, მეორე ათწუთეულში კი ძალოვნებმა შეცდომებს უმატეს, სამიზნე გაუმრუდდათ და სტუდენტებმაც ისარგებლეს და დიდ შესვენებაზე მცირე უპირატესობით გავიდნენ — 39:37.

მესამე მეოთხედს ბევრი რამე უნდა გაერკვია. საკითხავი იყო, გატყდებოდა თუ არა 7 კალათბურთელით მოთამაშე თსუ, მაგრამ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს ამის მაგვარი არაფერი ეტყობოდა. მიხეილ ბერიშვილის, ილია ლონდარიძის და რიჩარდ მათიაშვილის ფარქვეშა აქტიურობამ და შედეგიანობამ თსუ-ს მესამე მეოთხედის შუაწელში 5-ქულიანი ლიდერობა დაუბევა. შსს-ს თავკაცმა დავით უსტიაშვილმა წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც მოედანზე მობრუნებულმა სტუდენტებმა მორიგი ორქულიანი ჩააგდეს, მაგრამ... თსუ-ს უნებლიე შეცდომა მოუვიდა — წუთშესვენებიდან მოედანზე

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

ს.აფრიკა-შვედეთი ... 1:1
აშშ-ჩილე ... 1:1

**აზიის თასი**

ავსტრალია-ერაყი ... 1:0(დდ)
ს.კორეა-ირანი ... 1:0(დდ)

**ცენტრალური ამერიკის თასი**

ჰონდურასი-სალვადორი ... 2:0
პანამა-კოსტა რიკა ... 1:1(2:4პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ლივერპული ... 0:3
არსენალი-უიგანი ... 3:0
ბლექპული-სანდერლენდი ... 1:2
მანჩესტერი-ბირმინგემი ... 5:0
ნიუკასლი-ტოტენჰემი ... 1:1
ფულემი-სტოკი ... 2:0
ევერტონი-ვესტ ჰემი ... 2:2
ასტონ ვილა-სიტი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 22 | 13 | 9 | 0 | 48:19 | 48 |
| 2.არსენალი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:22 | 46 |
| 3.სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:20 | 45 |
| 4.ჩელსი | 22 | 11 | 5 | 6 | 38:19 | 38 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:26 | 38 |
| 6.სანდერლენდი | 24 | 9 | 10 | 5 | 28:24 | 37 |
| 7.ბოლტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 34:31 | 30 |
| 8.სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:28 | 30 |
| 9.ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:33 | 30 |
| 10.ლივერპული | 23 | 8 | 5 | 10 | 30:31 | 29 |
| 11.ბლექპული | 22 | 8 | 4 | 10 | 32:38 | 28 |
| 12.ბლექბერნი | 23 | 8 | 4 | 11 | 29:37 | 28 |
| 13.ევერტონი | 23 | 5 | 12 | 6 | 27:29 | 27 |
| 14.ფულემი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:25 | 26 |
| 15.ვესტ ბრომ. | 22 | 7 | 4 | 11 | 29:41 | 25 |
| 16.ასტონ ვილა | 23 | 6 | 7 | 10 | 25:39 | 25 |
| 17.ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:31 | 23 |
| 18.უიგანი | 22 | 4 | 10 | 8 | 19:34 | 22 |
| 19.ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| 20.ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:43 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ნოტინგემი ... 0:1
ბარნსლი-სუონსი ... 1:1
იფსვიჩი-დონკასტერი ... 3:2
კარდიფი-უოტფორდი ... 4:2
კრ.პალასი-ბრისტოლი ... 0:0
ლესტერი-მილუოლი ... 4:2
მიდლსბრო-პრესტონი ... 1:1
პორთსმუთი-ლიდსი ... 2:2
რედინგი-ჰალი ... 1:1
შეფილდი-ნორვიჩი ... 1:2
სკანთორპი-ბარნლი ... 0:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ბრეშა ... 1:0
პარმა-კატანია ... 2:0
რომა-კალიარი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 20 | 12 | 5 | 3 | 35:18 | 41 |
| 2.რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31:24 | 38 |
| 3.ნაპოლი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:20 | 37 |
| 4.ლაციო | 20 | 11 | 4 | 5 | 26:18 | 37 |
| 5.ინტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 32:19 | 35 |
| 6.იუვენტუსი | 20 | 9 | 7 | 4 | 35:25 | 34 |
| 7.პალერმო | 21 | 10 | 4 | 7 | 34:25 | 34 |
| 8.უდინეზე | 20 | 9 | 3 | 8 | 31:27 | 30 |
| 9.კალიარი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:22 | 26 |
| 10.სამპდორია | 20 | 6 | 8 | 5 | 20:18 | 26 |
| 11.ფიორენტინა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:20 | 24 |
| 12.ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 15:19 | 23 |
| 13.კიევო | 20 | 5 | 8 | 7 | 20:22 | 23 |
| 14.პარმა | 21 | 6 | 7 | 8 | 21:25 | 25 |
| 15.კატანია | 21 | 5 | 7 | 9 | 18:27 | 22 |
| 16.ბოლონია | 20 | 6 | 7 | 7 | 20:28 | 22 |
| 17.ჩეზენა | 20 | 5 | 4 | 11 | 15:25 | 19 |
| 18.ლეჩე | 20 | 5 | 4 | 11 | 19:37 | 19 |
| 19.ბრეშა | 21 | 5 | 3 | 13 | 17:27 | 18 |
| 20.ბარი | 20 | 3 | 5 | 12 | 13:30 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ატალანტა-ვარეზე ... 0:0
გროსეტო-სასუოლო ... 1:0
მოდენა-ასკოლი ... 0:0
პადოვა-კროტონე ... 1:0
პესკარა-ემპოლი ... გადაიდო
პორტოგრუარო-ვიჩენცა ... 1:0
რეჯინა-სიენა ... 0:0
ტორინო-ჩიტადელა ... 1:1
ფროსინონე-პიაჩენცა ... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ლევანტე ... 4:1
ბარსელონა-რასინგი ... 3:0
ვალენსია-მალაგა ... 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 17 | 1 | 1 | 60-11 | 52 |
| 2.რეალი | 18 | 14 | 3 | 1 | 43-15 | 45 |
| 3.ვილიარ. | 18 | 12 | 3 | 3 | 36-16 | 39 |
| 4.ვალენსია | 19 | 11 | 4 | 4 | 32-23 | 37 |
| 5.ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 21-25 | 31 |
| 6.ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 30-19 | 30 |
| 7.ბილბაო | 18 | 9 | 1 | 8 | 28-30 | 28 |
| 8.ხეტაფე | 18 | 8 | 2 | 8 | 28-29 | 26 |
| 9.სოსიედადი | 18 | 8 | 1 | 9 | 27-28 | 25 |
| 10.მალიორკა | 18 | 7 | 3 | 8 | 19-23 | 24 |
| 11.სევილია | 19 | 8 | 2 | 9 | 27-30 | 26 |
| 12.დეპორტ. | 18 | 5 | 6 | 7 | 15-22 | 21 |
| 13.ერკულესი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-27 | 19 |
| 14.რასინგი | 19 | 5 | 4 | 10 | 14-28 | 19 |
| 15.ოსასუნა | 18 | 4 | 5 | 9 | 17-25 | 17 |
| 16.სარაგოსა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-28 | 16 |
| 17.მალაგა | 19 | 5 | 1 | 13 | 26-44 | 16 |
| 18.ლევანტე | 19 | 4 | 3 | 12 | 20-33 | 15 |
| 19.ალმერია | 18 | 2 | 8 | 8 | 16-28 | 14 |
| 20.ხიხონი | 18 | 3 | 6 | 9 | 15-26 | 15 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ვალიადოლიდი ... 1:0
ბარსელონა ბ-რაიო ... 1:2
ვილიარეალი ბ-ბეტისი ... 1:0
გრანადა-უელვა ... 2:1
კარტახენა-სელტა ... 0:4
უესკა-ალბასეტე ... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-კაიზერი ... 5:1
დორტმუნდი-შტუტგარტი ... 1:1
ჰანოვერი-შალკე ... 0:1
მაინცი-ვოლფსბურგი ... 0:1
ფრაიბურგი-ნიურნბერგი ... 1:1
კიოლნი-ვერდერი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 19 | 15 | 2 | 2 | 43:12 | 47 |
| 2.ჰანოვერი | 19 | 11 | 1 | 7 | 28:28 | 34 |
| 3.ბაიერნი | 19 | 9 | 6 | 4 | 37:22 | 33 |
| 4.მაინცი | 19 | 11 | 0 | 8 | 30:21 | 33 |
| 5.ლევერკუზენი | 18 | 9 | 6 | 3 | 36:28 | 33 |
| 6.ფრაიბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 28:28 | 30 |
| 7.ჰამბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 29:28 | 30 |
| 8.აინტრახტი | 19 | 8 | 2 | 9 | 24:25 | 26 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 7 | 5 | 33:24 | 25 |
| 10.შალკე | 19 | 7 | 4 | 8 | 26:25 | 25 |
| 11.კაიზერი | 19 | 6 | 4 | 9 | 29:33 | 22 |
| 12.ვოლფსბ. | 19 | 5 | 8 | 6 | 26:26 | 23 |
| 13.ნიურნბერგი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:30 | 23 |
| 14.ვერდერი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:39 | 22 |
| 15.კიოლნი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:34 | 19 |
| 16.ზ.პაული | 18 | 5 | 3 | 10 | 18:32 | 18 |
| 17.შტუტგარტი | 19 | 4 | 4 | 11 | 34:36 | 16 |
| 18.გლადბახი | 18 | 3 | 4 | 11 | 27:47 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-კარლსრუე ... 4:2
კოტბუსი-არმენია ... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლანსი-კანი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 19 | 9 | 8 | 2 | 35-21 | 35 |
| 2.პსჟ | 20 | 9 | 7 | 4 | 32-22 | 34 |
| 3.რენი | 20 | 9 | 7 | 4 | 22-12 | 34 |
| 4.ლიონი | 20 | 9 | 7 | 4 | 29-21 | 34 |
| 5.მარსელი | 20 | 8 | 8 | 4 | 29-18 | 32 |
| 6.ტულუზა | 20 | 9 | 3 | 8 | 22-20 | 30 |
| 7.მონპელიე | 20 | 8 | 6 | 6 | 17-20 | 30 |
| 8.სტ.ეტიენი | 20 | 7 | 8 | 5 | 27-22 | 29 |
| 9.ბრესტი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-18 | 28 |
| 10.ბორდო | 20 | 6 | 9 | 5 | 25-23 | 27 |
| 11.სოშო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-25 | 25 |
| 12.ლორიენი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-27 | 25 |
| 13.ნანსი | 19 | 7 | 4 | 8 | 21-27 | 24 |
| 14.ოსერი | 20 | 4 | 12 | 4 | 26-23 | 24 |
| 15.ნიცა | 19 | 5 | 8 | 6 | 14-18 | 23 |
| 16.ლანსი | 20 | 5 | 7 | 8 | 23-37 | 22 |
| 17.ვალანს. | 20 | 5 | 7 | 8 | 22-23 | 21 |
| 18.კანი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-29 | 21 |
| 19.მონაკო | 20 | 3 | 11 | 6 | 20-21 | 20 |
| 20.არლე | 20 | 1 | 5 | 14 | 10-40 | 8 |

**საფრანგეთი. თასი**

შამბერი-ბრესტი ... 0:0(4:3პ)
კლერმონი-რეიმსი ... 1:3
ანჟე-ბორდო ... 1:0
ბულონი-დრანსი ... 0:1
ნიმი-ნანსი ... 1:2(დდ)
კევიი-მარტინი ... 1:1(3:5პ)
ნანტი-რონი ... 2:1
ფონტენე-ლორიენი ... 0:1(დდ)

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალს ახალი გამარჯვებული ეყოლება

დასაწყისი მე-10 გვერდზე



6 კალათბურთელით დაბრუნდნენ. სტუდენტების ჩაგდებული ორქულიანი არბიტრმა მაკა კუპატაძემ იქვე გააუქმა და ტექნიკური ჯარიმით დასაჯა. შესაბამისად, შსს-მ ანგარიში შეამცირა და თამაშიც ისევ თანაბარ კალაპოტში ჩადგა.

მესამე მეოთხედი ფრედ, 17:17 დასრულდა, შესაბამისად, თსუ-ს გადამწყვეტი ათწუთეულის წინ კვლავ ორქულიანი უპირატესობა შერჩა, რომელსაც კარგა ხანს ინარჩუნებდა. შსს-მ გადამწყვეტ მომენტში სიზუსტეს და სისწრაფეს უმატა. ბექა წივწივაძემ სამიანიც ჩააგდო და თავისიანებს პასებითაც ამარაგებდა. თამაში საკუთარ თავზე კი ბესო ლეჟავამ აიღო, ვისი ზუსტი სროლების შემდეგ შსს-მ შეხვედრის დასრულებამდე ორწუთ-ნახევრით ადრე 5-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა.

და კვლავ თსუ□ს გმირობის ჯერი დადგა. ეს უპირველეს ყოვლისა სტუდენტების უკანახაზელებზე ითქმის, რომლებმაც ბოლო წუთებზე უმნიშვნელოვანესი ბურთები ჩაჭრეს, რაც ნუგზარ ჭეიშვილის საყვარელი ტაქტიკის, პრესინგის შედეგი გახლდათ. შალვა კოხრეიძემ და გიორგი გაფრინდაშვილმა მიყოლებით ჩაუჭრეს ბურთი ძალოვნებს, მიხეილ ბერიშვილმა კი მათ გარჯა მორიგი ორქულიანებით დაუფასა. თსუ-მ ჩამორჩენა გააბათილა და ბერიშვილის ორქულიანს მოყოლილი საჯარიმოს შემდეგ 75:74 დაწინაურდა. თამაშის დასრულებამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა შსს□ს ამერიკელმა ლეგიონერმა ტროი კოტონმა ზუსტი სამქულიანით ძალოვნებს ლიდერობა დაუბრუნა — 77:75. თამაშის დასრულებამდე 28 წამით ადრე გიორგი გაფრინდაშვილმაც ოქროს სამქულიანი ჩააგდო და კვლავ თსუ დაწინაურდა — 78:77.

შსს წაგების რეალური საფრთხის წინაშე დადგა და ერთ-ერთი ბოლო შეტევა წამოიწყო, რომელიც ბესიკ ლეჟავას არაზუსტი შორი სროლით დასრულა. ბურთი შალვა კოხრეიძემ მოიხელთა და მასზე მყისვე დაჯარიმდნენ. თსუ-ს უკანახაზელმა 1 საჯარიმო ჩააგდო და სტუდენტები სირენამდე 16 წამით ადრე 2 ქულით გავიდნენ წინ. კვლავ შსს-ს შეტევა და კვლავ აცილებული ბურთი, რომელიც ისევ კოხრეიძემ მოიხელთა და მეტოქეს სხვა გზა არ დარჩენოდა და კვლავ მასზე დაჯარიმდა — კოხრეიძემ ისევ 1 სროლა ჩააგდო.

შსს-ს შეეძლო თამაშის გადარჩენა, მაგრამ ბექა წივწივაძის სამქულიანი მიზანს ასცდა და თსუ-მ მატჩის ბოლო წამზე დამაგვირგვინებელი ორქულიანიც ჩააგდო — 82:77.

### ენერჯი — სოხუმი 57:84

**(19:21 §:24 29:29 29:18**

**ენერჯი:** მაჭავარიანი (2), ბერუაშვილი, მებურიშვილი, აბაიშვილი (18), გუგავა (4), ზედელაშვილი (10); ლამუ (9ქ, 11მ), თვარაძე, გ. არაბული (12), ობგაიძე

**სოხუმი:** ფარღალავა (23), ჰარისი (9ქ,), ჩლაიძე (4), კვეტენაძე (4), შანიძე (13ქ, 10მ), სორდია (9), კანკია (5), კოპალიანი (2), კვარაცხელია, რ. დამუსი (7ქ, 18მ), ანთაძე (9ქ, 8მ)

ვაჟა კვარაცხელიასა და დიმიტრი ჟაკობოვის გაწვრთნილმა სოხუმელებმა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი „ენერჯი-ინვესტი" იოლად დაამარცხეს.

ყველაფერი ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც „სოხუმმა" 45:17 მოიგო. სტუმართა შორის შესანიშნავად თამაშობდა ლაშა ფარღალავა, რომელმაც წინა ტურის მატჩი „დინამოსთან" გამოტოვა და დასვენებულმა რუსთაველებს დიდი პრობლემები გაუჩინა. ფარღალავა სამქულიანებსაც აგდებდა, თავის თანაგუნდელებს პასებითაც ამარაგებდა და პირველ შეტევაშიც სწრაფად გარბოდა. მას კარგად აუბა მხარი სოხუმელთა ამერიკელმა უკანახაზელმა იუჯინ ჰარისმა, ხოლო წინა ხაზში კიდევ ერთი ამერიკელი, რიჩარდ დამუსი იყო მოწოდების სიმაღლეზე, რომელმაც საბოლოოდ 18 ბურთი მოხსნა. შედეგად, სოხუმელებმა პირველი მეოთხედი 21:10 მოიგეს, ხოლო მეორე ათწუთეულში უპირატესობა 30 ქულამდეც გაზარდეს.

რუსთაველები სამქულიანებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ მასპინძლების უკანახაზელებს სროლები არ წაუვიდათ, რითაც კარგად ისარგებლეს სოხუმელებმა და მესამე მეოთხედიდან მოყოლებული ლიდერობა თამაშის ბოლომდე უპრობლემოდ შეინარჩუნეს.მეორე ტაიმის უმეტესობა რუსთაველებმა ახალგაზრდა კალათბურთელებით ითამაშეს, რომელთაგან 17 წლის გიორგი ზედელაშვილმა იყოჩაღა. მან 10 ქულა მოაგროვა და ფარქვეშაც აქტიური იყო — 6 ბურთი მოხსნა.

# რუუდ ვან ნისტელროი: „ყოველთვის მსურდა „რეალში" დაბრუნება"

**გერმანული „ჰამბურგის" ჰოლანდიელი ლეგიონერის, რუუდ ვან ნისტელროის დაბრუნება მადრიდის „რეალს" სურს და საამისოდ გარკვეულ თანხასაც ჩადის. თუმცა, ჯერ გადაუწყვეტელია, გაუშვებენ თუ არა გერმანელები ფეხბურთელს.**

თავად ფეხბურთელს კი ამის დიდი სურვილი აქვს და არც მალავს, რომ „რეალში" დაბრუნება უნდა.

***— როგორ შეხვდით პრესის ფურცლებზე გავრცელებულ ცნობას, მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში, მადრიდის „რეალს" თქვენი გადაბირება რომ სურს?***

— ჩემ შესახებ, ლამის, ყოველდღიურად უამრავი რამ იწერება, მაგრამ ამ ამბავმა მოსვენება დამიკარგა. „რეალში" დაბრუნება საოცნებო რამაა. ესპანეთის დედაქალაქში შესანიშნავი საფეხბურთო წლები გავატარე. გადაწყვეტილების მიღების მომენტი დამიდგა, თუმცა, ისე არ გამიგოთ, ჩემს სამომავლო კარიერაზე ზრუნვითა და ფიქრით, „ჰამბურგს" რაიმე სახის ზიანი მიადგება. კვლავინდებურად მონდომებით დავიცავ გუნდის ღირსებას. გამოგიტყდებით და, რამდენიმე კლუბმა საკმაოდ სარფიანი წინადადებით მომმართა. ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობენ, მაგრამ იქ თამაში არ მაინტერესებს. აი, „რეალი" კი, სულ სხვა კლუბია.

***— გამოდის, „რეალს" უარს ვერ ეტყვით?***

— მადრიდელებს კარგად ესმით საკითხის დელიკატურობა. ისინი კარგად მიცნობენ და იციან, მათი წინადადებით აღელვებული რომ ვარ. ჩემი მხრიდან, „ჰამბურგი" პატივისცემით მოპყრობას იმსახურებს. კლუბის ხელმძღვანელობას, გუნდის მწვრთნელებს, ფეხბურთელებს გულახდილად უნდა ვესაუბრო, საკუთარი სურვილები გავაცნო და მათი აზრი ყურადღებით მოვისმინო. თანაც, „ჰამბურგთან" კონტრაქტით ვარ დაკავშირებული და ამიტომ, ბევრი რამ კლუბზეა დამოკიდებული. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას — უახლოეს დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.

***— გულახდილად გვიპასუხეთ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნება გსურთ?***

— აკი მოგახსენეთ, ჯერ „ჰამბურგს" უნდა დაველაპარაკო. ამ გუნდმა ხომ ნდობა გამომიცხადა, გულშემატკივრებმა და პარტნიორებმა გულთბილად მიმიღეს, ამიტომაც, მათი აზრის გათვალისწინების გარეშე, რომელიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს ვერ გადავდგამ. მადრიდელებმა კარგად იციან, როგორ ვაფასებ „რეალს", რაოდენ დიდი სურვილი მაქვს ჟოზე მოურინიოსთან ერთად მუშაობისა, მაგრამ ყველაფერი „ჰამბურგის" მიერ დაკავებულ პოზიციაზეა დამოკიდებული.

***— თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა „ჰამბურგი"?***

— ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, იოლად ვერ შემელევა. კლუბთან ხელშეკრულება მაქვს ხელმოწერილი და მდგომარეობიდან ოპტიმალური გამოსავალი ყველამ ერთად უნდა მოვნახოთ. ბევრი რამ გაირკვევა ჩემი და „ჰამბურგის" ხელმძღვანელთა საუბრის დროს.

***— ჰამბურგელებმა მადრიდში გადასვლის ნება რომ არ დაგრთონ, მათთან სახელშეკრულებო ვალდებულებების გაუქმებას მოითხოვთ?***

— ვნახოთ, როგორ ჩაივლის ჩვენი დიალოგი. ჯერჯერობით, უფროსობასთან ურთიერთობისთვის დრო არ მქონია. სიტუაციისთვის გარკვევის დროც მალე დადგება. ჩემი მხრიდან, არასწორი ნაბიჯი არასდროს გადამიდგამს და დარწმუნებული ვარ, „ჰამბურგიც" ყურადღებით და გულისხმიერად მოეპყრობა ჩემს ამბავს.

***— გასაგებია თქვენი სულიერი მდგომარეობა. მადრიდში დაბრუნებაც გსურთ და არც „ჰამბურგი" გინდათ დატოვოთ გულნატკენი.***

— გელზენკირხენელებთან მატჩამდე, ძალიან რთული დღეები გამოვიარე. საბედნიეროდ, „შალკეს" წინააღმდეგ სათამაშოდ ბოლომდე მობილიზებული გავედი და გუნდმაც მოგება ჩემი გოლით მოახერხა. შექმნილი ვითარების გარკვევა კი, ყველა მხარის ინტერესშია. გავიმეორებ, „ჰამბურგის" მადლობელი ვარ, მაგრამ როცა საკუთარ რიგებში მადრიდის „რეალი" გეპატიჟება, ძნელია ცდუნებას გაუძლო. „სამეფო კლუბი" ერთადერთია, რომელში გადასვლასაც ვისურვებდი. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გასაოცარი პერიოდი გავიარე და ყოველთვის მსურდა კასტილიაში დაბრუნება.

***— კლუბებს შორის მოლაპარაკების დაწყების შემთხვევაში, დიალოგში ჩაერთვებით?***

— არა. ჯერჯერობით „ჰამბურგის" წევრი ვარ და ამ გუნდის ინტერესიდან გამომდინარე ვიმოქმედებ. მოლაპარაკების პროცესის წარმოება, კლუბების წარმომადგენელთა საქმეა.

## შედეგები

შერბური-ლე მანი ... 0:1
სტრასბური-ევიანი ... 1:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ერაკლესი-ალკმაარი ... 0:0
ტილბურგი-ვიტესი ... 1:0
ნაიმეგენი-ბრედა ... 2:2
ფეინოორდი-გრააფსხაპი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 19 | 12 | 5 | 2 | 53:19 | 41 |
| 2.ტვენტე | 19 | 12 | 4 | 3 | 40:21 | 40 |
| 3.აიაქსი | 19 | 11 | 5 | 3 | 39:17 | 38 |
| 4.გრონინგენი | 19 | 11 | 4 | 4 | 37:24 | 37 |
| 5.ალკმაარი | 20 | 9 | 7 | 4 | 27:20 | 34 |
| 6.როდა | 19 | 8 | 8 | 3 | 32:24 | 32 |
| 7.ჰერენვენი | 19 | 8 | 6 | 5 | 40:26 | 30 |
| 8.ბრედა | 20 | 9 | 4 | 7 | 31:30 | 30 |
| 9.უტრეხტი | 19 | 9 | 2 | 8 | 32:27 | 29 |
| 10.დენ ჰააგი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:30 | 29 |
| 11.ნაიმეგენი | 20 | 6 | 7 | 7 | 35:37 | 25 |
| 12.გრააფსხაპი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:37 | 24 |
| 13.ერაკლესი | 20 | 5 | 5 | 10 | 30:39 | 20 |
| 14.ფეინოორ. | 20 | 5 | 5 | 10 | 23:36 | 20 |
| 15.ვიტესი | 20 | 4 | 6 | 10 | 21:34 | 18 |
| 16.ექსელსი. | 19 | 4 | 4 | 11 | 22:36 | 16 |
| 17.ვენლო | 19 | 3 | 1 | 15 | 18:42 | 10 |
| 18.ტილბურგი | 20 | 1 | 4 | 15 | 17:51 | 7 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-აკადემიკა ... 2:1
ფერეირა-სეტუბალი ... 2:2
რიუ ავე-გიმარაეში ... 2:3
ბეირა მარი-პორტუ ... 0:1
ნავალი-პორტიმონენსე ... 1:1
ბენფიკა-ნაციონალი ... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 17 | 15 | 2 | 0 | 40:7 | 47 |
| 2.ბენფიკა | 17 | 13 | 0 | 4 | 35:16 | 39 |
| 3.სპორტინგი | 16 | 8 | 4 | 4 | 24:17 | 28 |
| 4.გიმარაეში | 17 | 8 | 4 | 5 | 24:21 | 28 |
| 5.ნაციონალი | 17 | 7 | 4 | 6 | 17:19 | 25 |
| 6.ლეირია | 17 | 7 | 4 | 6 | 17:21 | 25 |
| 7.ბრაგა | 17 | 7 | 3 | 7 | 31:23 | 24 |
| 8.ბეირა მარი | 17 | 5 | 8 | 4 | 20:19 | 23 |
| 9.მარიტიმუ | 16 | 4 | 7 | 5 | 18:16 | 19 |
| 10.ოლჰანენსე | 17 | 5 | 7 | 5 | 14:15 | 22 |
| 11.ფერეირა | 16 | 4 | 7 | 5 | 15:20 | 19 |
| 12.აკადემიკა | 17 | 5 | 4 | 8 | 21:28 | 19 |
| 13.სეტუბალი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:24 | 16 |
| 14.რიუ ავე | 17 | 3 | 5 | 9 | 17:24 | 14 |
| 15.პორტიმონ. | 17 | 2 | 4 | 11 | 17:33 | 10 |
| 16.ნავალი | 17 | 2 | 3 | 12 | 11:32 | 9 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-რეინჯერსი ... 1:0
ინვერნესი-ჰამილტონი ... 1:1
კილმანროკი-დანდი ... 1:1
სელტიკი-აბერდინი ... 1:0
მოზერველი-ჰიბერნიანი ... 2:0
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 22 | 16 | 4 | 2 | 46:14 | 52 |
| 2.რეინჯერსი | 20 | 15 | 2 | 3 | 44:20 | 47 |
| 3.ჰართსი | 21 | 14 | 3 | 4 | 36:16 | 45 |
| 4.კილმანროკი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:25 | 32 |
| 5.ინვერნესი | 23 | 7 | 8 | 8 | 31:28 | 29 |
| 6.მოზერველი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:25 | 28 |
| 7.დანდი | 17 | 6 | 7 | 5 | 21:24 | 25 |
| 8.სტ.ჯონსონი | 20 | 6 | 5 | 9 | 14:26 | 23 |
| 9.აბერდინი | 21 | 6 | 2 | 13 | 21:39 | 20 |
| 10.სტ.მირენი | 21 | 4 | 5 | 12 | 17:35 | 17 |
| 11.ჰიბერნიანი | 21 | 4 | 4 | 13 | 21:37 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 20 | 2 | 7 | 11 | 13:36 | 13 |

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-სტ.ტრუიდენი ... 3:0
გენკი-კონტრაიკი ... 3:2
ბეერსხოტი-ვარეგემი ... 3:0
სერკლი-ლიერსი ... 3:0
შარლერუა-მეხელენი ... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ლარისა ... 1:0
პაოკი-ქსანთი ... 2:1
აეკი-ოლიმპიაკოსი(ვ) ... 0:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

მანისა-ქარაბუკი ... 4:2
ტრაბზონი-ანკარაგიუჯიუ ... 1:1
გენჩლერი-ერჩიესი ... 0:1
ანთალია-ფენერბახჩე ... 0:1

**ფინეთი. თასი**

ჰონკა-მარიეჰამნი ... 3:1

**<u>კალათბურთი</u>**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

შარლოტი-ატლანტა ... 87:103
ზაზა ფაჩულია: 9 ქულა, 8 მოხსნა
ვაშინგტონი-ბოსტონი ... 85:83
ნიუ ჯერსი-დალასი ... 86:87
დეტროიტი-ფინიქსი ... 75:74
მაიამი-ტორონტო ... 120:103
ფილადელფია-იუტა ... 96:85
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო ... 96:72
ოკლაჰომა-ნიუ იორკი ... 101:98
ჩიკაგო-კლივლენდი ... 92:79
მილუოკი-მემფისი ... 81:94
ჰიუსტონი-ორლანდო ... 104:118
პორტლენდი-ინდიანა ... 97:92
კლიპერსი-გოლდენ სტეიტი ... 113:109

**<u>ხელბურთი</u>**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ხორვატია-არგენტინა ... 36:18
შვედეთი-სერბეთი ... 28:24
ისლანდია-გერმანია ... 24:27
დანია-პოლონეთი ... 28:27
ბრაზილია-ბაჰრეინი ... 37:30
საფრანგეთი-უნგრეთი ... 37:24

**<u>ჩოგბურთი</u>**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**ქალები**

პენეტა-პირი ... 3:6;7:6;6:4
სტოსური-კვიტოვა ... 6:7;3:6
ვოზნიაცკი-სევასტოვა ... 6:3;6:4
აზარენკო-ლი ... 3:6;3:6
კუზნეცოვა-სკიავონე ... 4:6;6:1;14:16
შარაპოვა-პეტკოვიჩი ... 2:6;3:6

**კაცები**

ჩილიჩი-ისნერი ... 4:6;6:2;6:7;7:6;9:7
მელცერი-ბაგდატისი ... 6:7;6:2;6:1;6:3
ნადალი-ტომიჩი ... 6:2;7:5;6:3
ჯოკოვიჩი-ალმაგრო ... 6:3;6:4;6:0
ბერდიხი-ვერდასკო ... 6:4;6:2;6:3
ფედერერი-რობრედო ... 6:3;3:6;6:3;6:2

**<u>ჰოკეი</u>**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ფილადელფია-ნიუ ჯერსი ... 1:3
დეტროიტი-ჩიკაგო ... 1:4
კოლორადო-ბოსტონი ... 2:6
ატლანტა-რეინჯერსი ... 2:2(0:1ბ)
მონრეალი-აჰანაიმი ... 3:3(0:1ბ)
პიტსბურგი-კაროლინა ... 3:2
ტორონტო-ვაშინგტონი ... 1:4
სენტ ლუისი-კოლამბუსი ... 2:5
ფინიქსი-ლოს ანჯელესი ... 3:4
ვანკუვერი-კალგარი ... 3:3(0:1ბ)
სან ხოსე-მინესოტა ... 4:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 24 იანვარი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** დოკ. ფილმი "ფილიპ ნუარე მოუხერხებელი ჯენტლმენი" **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "უთინარი კვალი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"პატრიოტი"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) **03.30** მოამბე **03.50** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"დივებს ხოცავენ, არა?"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"პატრიოტი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **15.30** "გუნცაძეები" **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** კონცერტი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"საზღაური 2"** (18) (ს. ბაგსი) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** მხ. ფილმი სუბტიტრით **00.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** სამსონაძეები **00.30** მხ.ფ. **"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **02.40** მხ. ფილმი **"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) **04.40** მხ. ფილმი **"ილაის წიგნი"** (15) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"მონტალბანო"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** ქართ. ფილმი **"ფესვები"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **19.30** სერ. **"კურტიზანები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ფესვები"** **13.40** კონცერტი **15.10** სპექტაკლი **17.10** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.35** ახალი აღთქმის განმარტებანი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** ტელეზღაპარი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** **21.05** კალენდარი **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი "ზარის დაბადება" **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ. "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-2 ს. **00.40** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 24 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,81

ევრო — 2,4110

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8946

რუსული რუბლი — 0,0526

**ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის**




__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-13, ღამით — 3-6

__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-29, ღამით — §-11

__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -1-11, ღამით — -14-3





ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო“

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


# თემურ ქეცბაია ახალ კონტრაქტზე ჯერ არ ფიქრობს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ახალი არჩევის შემდეგ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ეროვნული ნაკრები და მის თავკაც თემურ ქეცბაიასთან კონტრაქტის გაგრძელება მიიჩნია.**



— საუბარი ნაკრებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე კი იყო, მაგრამ გადაწყვეტილებამდე საქმე არ მისულა და ჯერ ნაადრევი იქნება რამის თქმა. მიმდინარე ხელშეკრულების ამოწურვამდე მთელი წელიწადია დარჩენილი და არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ, — თქვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც დამატებით კიდევ რამდენიმე კითხვას უპასუხა:

*— 9 თებერვალს სომხეთს ხვდებით ამხანაგურ მატჩში. რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გყავთ სიაში, რომლებსაც დებიუტი სლოვენიაში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდათ. ისინი უკვე „ჩაჯდნენ“ ნაკრებში, თუ კვლავაც გამოცდის პროცესში არიან?*

— ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს, რადგან სომხეთთან მატჩის შემდეგ ხორვატიასთან და ისრაელთან შეხვედრებია. ასე რომ, შეძლებისდაგვარად ოპტიმალური შემადგენლობა გამოვიძახე სომხეთთან სათამაშოდ. არის გარკვეული სირთულეები — ის, რომ ბევრ ფეხბურთელს კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. როგორც იცით, სიაში არაა მალხაზ ასათიანი. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ ეტაპზე ასე სჯობდა, უგუნდოდაა მალხაზი და ვერსად ვერ ვარჯიშობს. იმედია, ის ახლო მომავალში მოძებნის ახალ კლუბს და ეროვნულ ნაკრებსაც დაუბრუნდება. შარშან გამართულ მატჩებს თუ გადავხედავთ, ასათიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნაკრებში და ჩვენთვის დიდი ძალაა.

*— ლევან ყენიას კვლავ ტრავმა აქვს. მასზე ბოლო ინფორმაცია რა გაქვთ?*

— თურქეთში ვიყავი, სადაც „შალკეს“ შეკრება ჰქონდა. იქ ტრავმა მიიღო. კოჭი აწუხებს და როდის გამოჯანმრთელდება ბოლომდე, არ ვიცი.

*— ხორვატიასთან ვერ იქნება?*

— ჯერ არ ვიცი, იქამდე ორი თვეა დარჩენილი.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# თემურ ჩხეიძეს წიგნი მიუძღვნეს

**ეკა ირემაშვილი**



ცნობილ ქართველ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს პირველი წიგნი მიუძღვნეს. მისი წარდგინება კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენა „სხვენზე“ შედგა. წიგნის ავტორი ნინო ჩხიკვიშვილია. წიგნს „საუბრები თემურ ჩხეიძესთან“ ჰქვია და იგი გამომცემლობა „პეგასმა“ დაბეჭდა.

ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე უკვე ათეული წელია ქართულ თეატრში მოღვაწეობს. მართალია, საქართველოში იშვიათად ჩამოდის, მაგრამ მისი ჩამოსვლა ყოველთვის ახალი სპექტაკლის გამოშვებით სრულდება. საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი არაერთი მნიშვნელოვანი პრიზისა და ჯილდოს მფლობელია. მას მიენიჭა „ოქროს სოფიტი“ — სანკტ-პეტერბურგის უმაღლესი თეატრალური პრემია ნომინაციაში „რეჟისორის საუკეთესო ნამუშევარი“ ჟან ანუის „ანტიგონეს“ დადგმისათვის. რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე დიმიტრი ალექსიძისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნოში სწავლობდა. მუშაობდა რეჟისორად შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატულ თეატრში, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, იყო რუსთაველის თეატრის რეჟისორი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

უკვე 20 წელია თემურ ჩხეიძე სანკტ-პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორია, ასევე არის ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. თემურ ჩხეიძეს დადგმული

გაგრძელება მე-9 გვერდზე

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

# ასტროპროგნოზი 24 იანვრისთვის

__წარმატებული დღეა__

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — ყველაფერი გამოგივათ, იაქტიურეთ. **ქალწული** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **სასწორი** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, წარმატება არ აგცდებათ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იუმორი



— ბარში გოგონამ თუ გაგიღიმათ, გამოდის, ფული უკვე აღარ აქვს. ხოლო პასუხად თქვენც თუ გაუღიმეთ, გამოდის, ფული ჯერ კიდევ გაქვთ...

***

— მოცვი ჭამე და ასპროცენტიანი მხედველობა გექნება.

— მოცვს სოკო სჯობს, ასორმოცდაათიანი გექნება.

— ეგ როგორ?

— რაც არ არსებობს, იმასაც დაინახავ.

***

მოადგილე შეფს:

— მე მგონი, მოვიფიქრე, თუ როგორ შეიძლება, რომ ჩვენმა კომპანიამ მნიშვნელოვანი თანხა დაზოგოს.

შეფი მოადგილეს:

— რა, სამსახურიდან მიდიხარ?

***

ცოლი ქმართან ციხეში პაემანზე მივიდა. ხუთი წუთის შემდეგ ეუბნება:

— ძვირფასო, უნდა წავიდე, სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ჩვენს ფინიას მთელი დღე შინ ჩაკეტილს მოუწევს ყოფნა.

***

ცირკში:

— მამიკო, ბიძია დეიდას რატომ ხერხავს?

— რომ გაიგოს, რამდენი წლისაა...

**გ.თ.**

# ტარანტინოს „სეზარით“ დააჯილდოვებენ



ამერიკელ კინორეჟისორ კვენტინ ტარანტინოს პარიზის კინოფესტივალზე სტუმრობის დროს მსოფლიო კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო პრემიით დააჯილდოვებენ.

საფრანგეთის კინემატოგრაფიული ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტმა ალან ტერზიანმა განაცხადა, რომ ტარანტინო მსოფლიო დონის უდიდესი ხელოვანია.

ფრანგული კინოს უდიდესი პრემიის, „სეზარის“ დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად თებერვალში იმართება პარიზის „შატლეს“ თეატრში.

47 წლის რეჟისორს საყოველთაო აღიარება მოუტანა

გაგრძელება მე-9 გვერდზე



# კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ძვირფასი ქვა; 2. ტრამვაის მძღოლი; 7. ლომების ოჯახი; 9. მწვანილი; 11. დედა ლოსის შვილი (ბერძნულ მითოლოგიაში); 12. მეხანძრეთა შეძახილი „ფრთხილად“; 13. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 17. ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად; 18. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 19. დედანი; 20. დერეფანი.

**შვეულად:** 1. წონის ერთეული; 2. დიდი ვენახი; 3. უფლისწული; 5. სოფელი დუშეთის რაიონში; 6. თალის გამობურცული წიბო; 8. ქალაქი კალიფორნიის შტატში; 10. ამაღლებული ადგილი მსახიობებისა და მუსიკოსებითვის; 12. ამერიკის ზომიერი სარტყლიდან მონაბერი ცივი ქარი; 14. ფოტონი ანუ...; 15. საშუალო სიმაღლის რბილმერქნიანი ხე; 16. სპორტის სახეობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**ტესტი**

# გქირთ თუ არა ინტერნეტის დაავადება?



***1. როდესაც სადილად გიხმობენ:***

ა. სამზარეულოსკენ მიიჩქარით. ბ. ინფორმაციის ჩატვირთვის პროგრამას რთავთ და სადილად მიდიხართ. გ. „რა დროს სადილია, პროვაიდერთან კავშირი წარამარა მიწყდება, სჯობს, ბუტერბროდები მომიმზადე და დამივიწყე!“

***2. დილით, პირველ რიგში:***

ა. შხაპს იღებთ, კბილებს იხეხავთ, ყვავილებს წყალს უსხამთ, საუზმობთ. ბ. ბალიშის პარტნიორს აცილებთ, ტელევიზორს რთავთ, საუზმობთ. გ. „დღის სამ საათზე სადღა უნდა წავიდე, სჯობს, ინტერნეტს ჩავუჯდე“.

***3. ხშირად ჭორაობთ „სკაიპით“?***

ა. ეგ რაღა ჯანდაბაა? ბ. არ მიყვარს ეგ პროგრამა. გ. დღეში, ასე, 8 საათი.

***4. ახალ ამბებს იგებთ:***

ა. ტელევიზიით. ბ. „რა ჯანდაბად მინდა ახალი ამბები“ გ. „ინტერნეტის დროს განა ახალ ამბებზე დავხარჯავ?“

***5. მეუღლე რესტორანში წასვლას გთავაზობთ:***

ა. „მოიცა, კოსტიუმი ჩავიცვა“. ბ. „ფული არ გენანება? სჯობს, ნაცნობებს გავუაროთ“. გ. „რა თქმა უნდა, ძვირფასო, ერთი კარგი ინტერნეტ-კაფე ვიცი, ერთი თვის წინ უფასო ინტერნეტი ჩართეს“.

***6. როდესაც გსურთ, მეუღლეს რამე აცნობოთ:***

ა. ბარათს სამზარეულოს მაგიდაზე ტოვებთ. ბ. კომპიუტერზე უბეჭდავთ წერილს და სარკეზე ტოვებთ. გ. ელექტრონულ წერილს უგზავნით.

**შეაფასეთ პასუხები: ა — 1 ქულა; ბ. 2 — ქულა; გ. 3 — ქულა.**

**პასუხები**

**6-10 ქულა:** ჩვეულებრივი ადამიანი ხართ, არც კომპიუტერი გადარდებთ და არც ინტერნეტი.

**11-14 ქულა:** გაწონასწორებული და ჰარმონიული პიროვნება ბრძანდებით, სულიერად სავსე და ინტელექტუალურად საკმარისი, ჯანსაღი ირონია და იუმორის გრძნობა გაგაჩნიათ. იმდენად იდეალური ხართ, რომ თქვენ შესახებ რაიმეს თქმა საინტერესო არც არის.

**15-18 ქულა:** ინტერნეტის ინფექცია მწვავე ფორმით შეგყრიათ, სახეზეა აწითლებული თვალები, სიგამხდრე ან, პირიქით, ჭარბი წონა. მხოლოდ ბაიტებისა და ბიტების დაკარგვის შესაძლებლობა გაღელვებთ.

**გ.თ.**